

ბელა გამყრელიძე ● ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში

გელა გამყრელიძე

ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში



გაქორსულაქაურის
დაჯიოჯიოლოჯი

წიგნში ძველი საქართველოს ანტიკური პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, სამეცნიერო-პოპულარული ენით არის გადმოცემული. თვალსაჩინოებისათვის მოცემულია ჩანახატ-რეკონსტრუქციები. წიგნი განკუთვნილია არა მხოლოდ საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის, არამედ ახალ, საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის სამხედრო სასწავლებლების კურსანტებსა და შეიარაღებული ძალების მეომრებს.

WAR AND ARMAMENT IN IBERIA-COLCHIS (GEORGIA)

The present book considers the military history of ancient Georgia. Particularly, it's based on written and archaeological sources, which convey B.C. 5th – A.D. 5th centuries Georgian military, political and armament history. In this book there are artistic reconstructions from written sources and archaeological data.

ბელა გამყრელიძე

ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში

პირველი გამოცემა, თბილისი, 2010

რედაქტორი: ი.მ.დ., პროფ. თამაზ ბერაძე

გამომცემლობის რედაქტორი: რუსუდან გორგაძე

მხატვარ-არქიტექტორები: ინ. ესვანჯია, ლ. ფაველენიშვილი, ელ. სახვაძე

დაკაბადონება: გ. კველიშვილი

რედაქცია, დიზაინი © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010

ტექსტი © გ. გამყრელიძე. 2010.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112

ელფოსტა: info@sulakauri.ge

GELA GAMKRELIDZE

WAR AND ARMAMENT IN IBERIA-COLCHIS (GEORGIA)

ISBN 978-99941-15-242-9

www.sulakauri.ge

წიგნი ეძღვნება 2008 წლის სამამულო
ომში საქართველოსთვის
თავგანწირული 167 მეომრის ხსოვნას.

შინაარსი

წინათქმა	9
საიდან ვიცით იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ისტორია	11
საომარ მოქმედებათა სარბიელი.....	29
ხის თავდაცვითი სამოსახლოები კოლხეთში.....	45
სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ფარნავაზ-ქუჯის დროინდელ იბერია-კოლხეთში.....	55
მითრიდატე ევპატორი და კოლხეთი	81
იბერია-კოლხეთში რომაელების ექსპანსია.....	99
აღჭურვილობა, არტილერია და საზღვაო საქმე იბერია-კოლხეთში	135
იბერიის სამეფო აღმავლობის გზაზე	160
ბოლოთქმა	177
ლიტერატურა დაინტერესებული მკითხველისათვის	196
შემოკლებათა განმარტება.....	206
საძიებელი.....	207

წინათქმა

საქართველოს მინა-წყალზე ქართველების ისტორიული განვითარების პროცესი ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. ქართველები გამუდმებით ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი. ისინი მტერს გამირული შემართებით და შეუპოვრად ერკინებოდნენ. ამ ბრძოლებში ვითარდებოდა და იხვენებოდა მათი სამხედრო-საბრძოლო გამოცდილება, სტრატეგია, ტაქტიკა და შეიარაღება. დრო გადიოდა, წინა თაობის ნაღვა-ნი გამოცდილება უკვალოდ არ ქრებოდა – მომდევნო თაობას გადაეცემოდა და, შესაბამისად, საზოგადოება თანდათან ვითარდებოდა. თანამედროვე საქართველოს მყარი სახელმწიფოებრიობის, სტაბილურობისა და წინსვლის მთავარ გარანტს მაღალი თავდაცვისუნარიანობა წარმოადგენს. რთული და ბრძოლით აღსავსე იყო ის გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა დღემდე გამოიარა. იმის ცოდნა, თუ როგორ შეძლეს ჩვენმა წინაპრებმა, რომ ფიზიკურად არ გადაშენდნენ, როგორ იცავდნენ ისინი თავს, ჩვენი პატრიოტული ვალია. ამასთანავე, საკუთარი ისტორიის ცოდნა აწმყოსა და მომავლის უკეთ შემეცნების საშუალება და იარაღია.

ანტიკურ ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთისა და იბერიის სამეფოებმა მოიპოვეს, რომელთა ადგილსა და საფუძველზეც მომავალში წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო. ძველი საქართველოს განვითარების ამ პერიოდს პირობითად ვუნოდეთ საქართველოს ისტორიის იბერიულ-კოლხური ხანა – ძვ.წ. VII-ახ.წ. IV სს. ანუ ანტიკური ხანა. წინამდებარე წიგნში სწო-

რედ ამ ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური და საბრძოლო საქმის ისტორიაა განხილული. ნიგნში სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების (იხ. ჰეროდოტე, ქსენეფონტი, სტრაბონი, ტაციტუსი, აპიანე, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.), საბრძოლო შეიარაღებისა და ფორტიფიკაციის შესახებ არსებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, იბერია-კოლხეთის კულტურულ-ისტორიული განვითარების კონტექსტში, სამხედრო საქმის ისტორიაა წარმოდგენილი. აქვე მოცემულია არქეოლოგიური მასალის საფუძველზე გაკეთებული გრაფიკული რეკონსტრუქციები. ნიგნში ყურადღება გამახვილებულია იბერიისა და კოლხეთის პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე. წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემების ურთიერთშედარებისა და კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გარკვეულწილად ხერხდება საქართველოს ხსენებული ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის მეტ-ნაკლები აღდგენა-წარმოდგენა.

სამწუხაროდ, ნიგნში ალბათ ვერ ავცდით გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ ხარვეზებს, შიგადაშიგ გამეორებასაც. აქ მოცემული თემატიკის ყველა საკითხი, მონაცემების ნაკლებობის გამო, თანაბრად არ არის წარმოდგენილი. იმედია, კეთილგანწყობილი მკითხველი ამას დიდსულოვნად მოგვითმევებს.

საიდან ვიცით იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ისტორია

საქართველოს ისტორიის იბერიულ-კოლხური პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციისათვის წყარო-მონაცემთა ბაზა, სამწუხაროდ, მცირეა. აქ უპირველესი მნიშვნელობა არქეოლოგიურ, ქართულ და უცხოურ საისტორიო წერილობით წყაროებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებს ენიჭება. მათი შედარების საფუძველზე ხერხდება საქართველოს მოცემული პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის აღდგენა.

იბერიულ-კოლხური პერიოდის სამხედრო-საბრძოლო ისტორიის შესწავლა უპირატესად არქეოლოგიური მასალის საფუძველზეა შესაძლებელი, რადგან ამ პერიოდის წერილობითი წყაროები მცირეა და ხანდახან – წინააღმდეგობრივი. საბრძოლო იარაღისა და თავდაცვითი ნაგებობების შესახებ წლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაოდ მრავალფეროვანი მონაცემები დაგროვდა.

ეს მასალები შემდეგი არქეოლოგიური ძეგლებიდან მოგვეპოვება – გუადიხუ, კლდეეთი, დედოფლის გორა, ურბნისი, უფლისციხე, ყანჩაეთი, ჟინვალი, ციხიაგორა, კამარახევი, მუხათგვერდი, მცხეთა, სოხუმი, ეშერა, ნებელდა, ჭალადიდი, ღები, საირხე, ითხვისი, შორაპანი, ვანი, მთისძირი, სიმაგრე, ქობულეთ-ფიჭვნარი, ალგეთი, მცხეთიჯვარი, ეცო, წითელი

შუქურა, ყულანურხვა, სარკინე და სხვ. მნიშვნელოვანია აღნიშნულ არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული შეიარაღება: სატევრები, შუბები, საბრძოლო ცულები, მშვილდ-ისრები, შურდულები, ქვის ყუმბარები, მუზარადები, ჯაჭვ-ჯავშნები, ფარები, ცხენის აღკაზმულობები; ფორტიფიკაცია: ციხე-ქალაქები, თავდაცვითი თხრილები და კედლები, კოშკები და კარიბჭეები.

არქეოლოგიური მასალა რომ წყაროდ იქცეს (ამ შემთხვევაში – შეიარაღება და ფორტიფიკაცია), ამისათვის ის შეისწავლება ცალ-ცალკე კომპონენტად: შეიარაღება – არტეფაქტი, სტატისტიკურ-ტიპოლოგიური დახასიათება და კლასიფიკაცია, აღმოჩენის ტოპოგრაფია, თარიღი, გავრცელების არე; ფორტიფიკაცია – დასახლება, ტოპოგრაფია, სამშენებლო ტექნიკის დახასიათება, არქეოლოგიური კომენტარი და ლოკალიზაცია, ნაგებობის თარიღი. მხოლოდ ამის შემდგომ არის შესაძლებელი ცალკეული არქეოლოგიური მონაცემი შეჯერდეს წერილობით წყაროებთან, თუკი მოცემული ეპოქისათვის ის გაგვაჩნია.

იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს ისტორიისათვის და, კერძოდ, მისი სამხედრო-პოლიტიკური ისტორიისათვის ძირითად ქართულენოვან წერილობით წყაროს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნაწილი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ (ქართლის ცხოვრება, შემდეგ – ქ.ც.: 3-138), რომლის შემდგენელ-გადამწერია ქართველი სწავლული ლეონტი მროველი. ის თავის მხრივ წინამორბედთა მრავალფეროვანი წყაროებით სარგებლობდა, რომლებსაც ტექსტში ასახელებს – „ნიგნი ბერძენთა,“ „მოქცევაი ბერძენთა,“ „ცხოვრება სპარსთა“; აგრეთვე „მოქცევაი ქართლისაი.“ ლეონტი მროველი ქართულად და უცხოურად დაწერილი სხვადასხვა თხზულებითაც სარგებლობდა, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა ფარნავაზიანთა ეპოქის დროინდელიც კი იყო. „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ მოყვანილი ცნობების, პერსონაჟებისა და პუნ-

ქტების უმეტესი ნაწილი, ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სადღეისოდ დოკუმენტურად დადასტურებულია. მაგალითად, ციხე-ქალაქები: ნასტაკისი, სარკინე, ციხეგოჯი, არმაზი, შორაპანი, დიმნა; აგრეთვე, ისტორიული პერსონაჟები: არტაგი, ფარსმან I, ფარსმან ქველი, მიჰრდატი, ამაზასპი.

არქეოლოგიურად აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება ისტორიულ პირთა სახელები: მეფე ფარსმანი ნახსენებია 75 წლით დათარიღებულ ე.წ. ვესპასიანეს წარწერაში, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, არმაზციხე-კარსნის ხევთან აღმოჩნდა. მასში იხსენიება მეფე მითრიდატე (მიჰრდატი). ის აგრეთვე იხსენიება ე.წ. №1 წარწერაში, რომელიც არმაზში აღმოჩნდა. მეფე მითრიდატე მოიხსენიება ქ. რომში აღმოჩენილ წარწერაშიც. მეფე ფარსმანი ფიგურირებს ქ. რომის ნავსადგურ ოსტიაში აღმოჩენილ წარწერაში. იგივე მეფე ნახსენებია მცხეთაში, არმაზში აღმოჩენილ ე.წ. „არმაზის ბილინგვაზეც.“ ამავე წარწერაში მოხსენიებულია „იბერთა დიდი მეფე ქსეფარნუგი“. „იბერთა დიდი მეფე ამაზასპი“ მოიხსენიება 1996 წელს არმაზციხე-ბაგინეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ წარწერაში (იხ. ყაუხჩიშვილი, 1998: 12).

„ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ ნახსენებ ისტორიულ პირთა მოქმედებანი მრავალგზისაა აღნიშნული აგრეთვე ბერძნულ-ლათინურ წყაროებში. მაგ.: იბერიის მეფე არტაგს (არტოკეს) ძვ.წ. 65 წელს პომპეუსის იბერიაში ბრძოლების აღწერისას ახსენებს აპიანე (მითრიდატიკა, 103, 117), დიონ კასიუსი (რომის ისტორია, XXXVII,1). მეფე მითრიდატეს ახსენებს დიონ კასიუსი (რომის ისტორია XLIX, 24; LVIII, 26), მეფე ფარსმანს – ტაციტუსი (ანალები, VI, 33, 34) და დიონ კასიუსი (LVIII, 26). მეფე ფარსმან II-ს იხსენიებს ფლავიუს არიანე თხზულებაში „პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო“ (11), დიონ კასიუსი (LXX,2), აელიოს სპარტიანეს ადრიანოსი, იული კაპიტოლინი (იხ. ლატიშვილი, 1904: 293, 294).

წერილობით და ეპიგრაფიკულ წყაროებში ნახსენები იბერიის მეფეები ქართლში სამხედრო საქმის ხელმძღვანელ-ორგანიზატორები იყვნენ. მეფე ფარნავაზის მიერ გატარებულმა სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა საფუძველი ჩაუყარა იბერიის ანუ ქართლის სამეფოს – „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთავან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განანესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“ (ქ. ც.: 24). შემდგომ ეს რეფორმები ფარნავაზიანთა დინასტიის სხვა მეფეებმა განავრცეს. მნიშვნელოვანია, რომ ფარნავაზი, იბერიის მეფე, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი, ნახსენებია არქეოლოგიურად აღმოჩენილ ე.წ. არმაზის ბილინგვის არმაზულ-არამეულ ტექსტში, კერძოდ, მე-8 სტრიქონში. უნინ ამ სიტყვის გაშიფრვა არ ხერხდებოდა. ახლა აქ სახელის – ფარნავაზის ამოკითხვა, მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ, ერთხმად არის გაზიარებული (იხ. გიორგაძე გრ. 1986: 151).

ძველი ქართული საისტორიო წყარო „ქართლის ცხოვრება“ ძირითადად სანდოდ მიიჩნეის ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილმა ევროპელმა მეცნიერ-ისტორიკოსებმა – ფ. სენ-მარტინმა და მარი ბროსემ. XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსებისათვის „ქართლის ცხოვრება“ ძირითადი წყარო იყო საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის რეკონსტრუქციისათვის (იხ. ბაგრატიონი თ., „ისტორია ივერიისა“, 1848; ბარათაშვილი ს., „საქართველოს ისტორია“, I, 1895; ბაქრაძე დ., „ისტორია საქართველოსი“, 1889). „ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ-კრიტიკული შესწავლის და ახალი არქეოლოგიურ-ეპიგრაფიკული მონაცემების საფუძველზე თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა მართებული თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრებაზე“, როგორც საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან წყაროზე.

„ქართლის ცხოვრების“ ნაწილთან – „ცხოვრება ქართველ-

თა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა,“ ერ-
თად იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოს ისტორიის
მნიშვნელოვანი წყაროა „მოქცევაი ქართლისაი“ (შემდეგ: იხ.
d.ქ.ა.ლ.d – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის
ძეგლები, 1963: 81-163). მასში ჩვენთვის განსაკუთრებით სა-
ყურადღებოა ამ თხზულების პირველი ნაწილი, სადაც მოკლე
ქრონიკის სახით ქართლის ანუ იბერიის სამეფოს ისტორიაა
გადმოცემული. აქვე მოთხრობილია იბერიის მეფეების სამ-
ხედრო-ფორტიფიკაციის, ზღუდე-ციხეების მშენებლობის
ამბები. „მოქცევაი ქართლისაიში“ მოყვანილი ისტორიული
ცნობების რეალობა ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრებისა,“
არქეოლოგიური, ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყარო-
ებითა და ეპიგრაფიკული მონაცემებით დასტურდება. ბოლო
ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ „მოქცევაი ქართლისაი“
შედგენილია V საუკუნეში. შესაძლებელია, „მოქცევაი ქარ-
თლისაის“ ავტორი, ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრებისა,“
იბერიულ-კოლხური ხანის შესახებ ჩვენამდე მოუღწეველი ის-
ტორიული თხზულებებით სარგებლობდა. ამდენად, ამჟამად
მხოლოდ ამ ორ ქართულენოვან თხზულებაში – „ქართლის
ცხოვრებაში“ და „მოქცევაი ქართლისაიში“ არის შემონახული
ფასდაუდებელი მეცნიერული ინფორმაციის მქონე ცნობები,
რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ მთლიანად საქართველოს
იბერიულ-კოლხური ხანის ისტორიის და, კერძოდ, სამხედრო-
პოლიტიკური საკითხების კვლევისას.

ქართულთან ერთად იბერიულ-კოლხური ხანის საქართვე-
ლოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის კვლევა-ძიებისას გა-
მორჩეული მნიშვნელობა ბერძნულ-ლათინურენოვან წყარო-
ებსაც ენიჭება.

სამხედრო-პოლიტიკური საკითხების შესახებ საყურადღ-
ებო ცნობებს გვანვდის წარმომავლობით მცირეაზიელი ბერ-
ძენი ისტორიკოსი, ისტორიული მეცნიერების დამფუძნებ-
ლად აღიარებული ჰეროდოტე (ძვ.წ. 484-425 წწ.), რომელიც

კოლხეთშიც იყო ნამყოფი. ჰეროდოტემ თავის სქელტანიან თხზულებაში „ისტორია“ (I, II) ძირითადად თავისი თანადროული ამბები აღწერა. თხზულებაში ის, მის მიერ ნანახის გარდა, იმდროისათვის არსებულ წყაროებსაც იშველიებს. მონაცემები, რომლებიც „ისტორიაშია“ შემონახული, ხანგრძლივი კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, ძირითადად, სანდოდაა მიჩნეული. ჰეროდოტემ მიზნად დაისახა ბერძენ-ირანელთა ძვ.წ. 500-449 წწ.-ის ომების აღწერა და ამ ომების მიზეზების კვლევა. მასთან ქართველური მოსახლეობის შესახებ ცნობები საერთო სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის ფონზეა მოცემული. ის მოგვითხრობს ქართველური მოსახლეობის ირანის ჯარში სამსახურისა და მათი სამხედრო აღჭურვილობის შესახებ.

ქართველური მოსახლეობის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანეს, ფასდაუდებელ წერილობით წყაროს წარმოადგენს ბერძენი ავტორის, ქსენოფონტის (ძვ.წ. 435-355 წწ.) თხზულება „ანაბასისი“. ქსენოფონტი ირანელი უფლისწულის, კიროსის არმიაში მაღალ სამხედრო თანამდებობაზე მსახურობდა. ის კიროსის დაქირავებულ მეომართა ერთ-ერთი მეთაური იყო მეფე არტაქსერქსე II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ანაბასისი“ მახვილთვალიანი თვით-

მხილველის დღიურია, რომელსაც ომიდან

10.000 მეომართან ერთად შინ მიმავალი

ქსენოფონტი წერდა. ქსენოფონტის

ჯარს ქართველური მოსახლეობის –

კოლხების, ხალიბების, მოსუინი-

კების, ტიბარენების, ტაოხების

ტერიტორიებზე გავლა მოუწია. ის

„ანაბასისში“ აღწერს მათ სამხედ-

რო აღჭურვილობას და გამაგრე-

ბულ-საფორტიფიკაციო ნაგებობებს.

აკეთებს აგრეთვე სამხედრო-ფსიქო-



ქსენოფონტი

ლოგიურ შეფასებებს. მაგალითად – მამაცნი, უმამაცესნი, თავისუფალნი, საშიშნი, სწრაფ-მარდები.

ქართველური მოსახლეობის სამხედრო-პოლიტიკური ქმედებების შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული ძვ.წ. I საუკუნის ისტორიკოს დიოდორე სიცილიელის თხზულებაში „ისტორიული ბიბლიოთეკა“. ის წინამორბედთა თხზულებებს იმონმებს; კერძოდ – აპოლოდოროსს, ეფოროსს, აგათარქიდესს და არტემიდოროსს.

მნიშვნელოვანია ძვ.წ. I საუკუნის ავტორის, მცირე აზიაში დაბადებული მემნონის „ჰერაკლეს ისტორია“. მასში ის პონტო-რომის ომების ისტორიას გადმოგვცემს. შესაძლოა, მემნონი ამ ომების მომსწრეც კი იყო. ის მითრიდატე ევპატორის დასავლეთ კოლხეთში მოქმედების და იბერთა მეფესთან სამხედრო-პოლიტიკურ შეთანხმებაზე მოგვითხრობს.

ისტორიოგრაფიაში სანდო ავტორად არის მიჩნეული ბერძენი მწერალი, კოლხეთთან ახლოს, სამხრეთ შავიზღვისპირეთში, მდ. იეშილ-ირმაქთან მდებარე ქალაქ ამასიაში ძვ.წ. 64 წელს დაბადებული სტრაბონი. ის მითრიდატე პონტოელის სარდლის დორილაოსისა და კოლხეთის მმართველის მოაფერნეს ნათესავი იყო. მას კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეჭირა და ბევრს მოგზაურობდა. ივარაუდება, რომ კოლხეთშიც

არის ნამყოფი. ჩვენთვის საყურადღებოა სქელტანიანი ნაშრომი „გეოგრაფია“, რომლის წერისას ავტორი იყენებს დღემდე მოუღწეველ სხვადასხვა წყაროს – პოსეიდონოსს, თეოფანე მიტილენელს, ჰიფსიკრატეს და აგრეთვე ევრიპიდეს. სტრაბონის „გეოგრაფია“ იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის



სტრაბონი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ძირითადად, უტყუარი, შედარებით ვრცელი წყაროა. საყურადღებოა მასში მოცემული სამხედრო-პოლიტიკური მონაცემები; კერძოდ, სამხედრო-საზღვაო მოქმედების: საბრძოლო ნაგებობის, კამარებისაგან შემდგარი ფლოტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად კოლხეთიდან აჰყავდათ ხალხი საზღვაო ძალებში სამსახურისათვის. კოლხეთიდან გაჰქონდათ სტრატეგიული ნედლეული, გემთსაშენი მასალა – ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი. სტრაბონის მიხედვით, იბერია-კოლხეთში იყო გამაგრებული ციხე-ქალაქები – სარაპანა დღევანდელ შორაპანთან, ჰარმოზიკე დღევანდელ მცხეთასთან (არმაზციხე), სევსამორა დღევანდელ წინამურთან. სტრაბონის მიერ დასახელებული გამაგრებული პუნქტები არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა. სტრაბონი გადმოგვცემს იბერიის სამეფოს სამხედრო ფენასა და მათ ხელმძღვანელებზე; მოგვითხრობს მამაც და მეომარ სვანებზე, რომელთაც სპეციფიკური იარაღი, შხამიანი ისრები ჰქონდათ, რომლის მოხვედრის შემთხვევაში მოწინააღმდეგეები სწრაფად იღუპებოდნენ. აქვეა ცნობები მთიელი მებრძოლი იბერების შესახებ, რომლებსაც ომიანობის დროს „მრავალი ათასი“ მეომრის გამოყვანა შეეძლოთ. მათ ეცვათ ტყავის აბჯრები, შეიარაღებულები იყვნენ შუბებითა და მშვილდ-ისრებით. სტრაბონთან მოთხრობილია მითრიდატე ევპატორის, პომპეუსის, ფარნაკეს, მითრიდატე პერგამონელის ბრძოლების შესახებ. სტრაბონი XI, III, 6 თავში დასძენს, რომ იბერიის სამეფოში სოციალურ-იერარქიული ფენები არსებობდა. იერარქიული კიბის თავში გამაერთიანებელი ხელისუფალი, მეფე იდგა. მას მოსდევდა არისტოკრატია – „მოსამართლეები, სარდლები, ქურუმები,“ შემდეგ „მეომრები და მინათმოქმედები.“

იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიისათვის საინტერესო ცნობები აქვს ბერძენ ავტორს პლუტარქეს (46-120 წწ.) თხზულებაში „პარალელუ-

რი ბიოგრაფიები“. ცნობები ძირითადად ლუკულუსის, პომპეუსისა და ანტონიუსის ბიოგრაფიების თხრობისას გვხვდება. პირველ ორ თხზულებაში აღწერილია რომაელი სარდლების, ლუკულუსისა და პომპეუსის ომები მითრიდატე ევპატორთან. ამ ომებში ჩართული იყო იბერია და კოლხეთი. პლუტარქე მოგვითხრობს იბერების სპეციალური შუბოსანი რაზმის შესახებ. ისინი, მისი აზრით, საუკეთესო და სანდო მებრძოლებად იყვნენ მიჩნეული. აქვე აღწერილია პომპეუსის საბრძოლო მოქმედებები იბერიის სამეფოში და შემდგომ კოლხეთში.

მნიშვნელოვანი მონაცემები მოეპოვება ჩვენთვის საინტერესო თემის შესახებ რომაელ ისტორიკოს კორნელიუს ტაციტუსს (50-117 წწ.). მას საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული და გარკვეულ პერიოდში აზიის პროვინციის პროკონსულის თანამდებობაც ეჭირა. ტაციტუსი თავის თხზულებებში პირველწყაროებს ეყრდნობა. მას ხელი მიუწვდებოდა რომის სენატის სხდომების ოქმებსა და სახელმწიფო დოკუმენტებზე.

ტაციტუსი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაცემებს გადმოგვცემს თხზულება „ანალებში“, სადაც ძირითადად მის თანადროულ მოვლენებს აღწერს და კრიტიკულად განიხილავს. ზოგიერთი ცნობა ძველი საქართველოს შესახებ მხოლოდ ტაციტუსის თხზულებებში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ მისი თხრობის მთავარი ობიექტი

რომაული სამყაროა, მცირე აზიაკავკასიის ამბებსაც საკმაო ადგილი ეთმობა. იბერია-კოლხეთში მიმდინარე მოვლენები ტაციტუსთან განხილულია რომი-პართიის ურთიერთჭიდილის ფონზე. მასთან მოიპოვება ცნობები მცირე აზიაკავკასიაში რომაელთა ლეგიონების განლაგების, კორბულონთან ერთად იბერების ბრძოლის, კავკასი-



ტაციტუსი


ონის ქედზე სტრატეგიული გადასასვლელების, იბერიელთა მეფის ძმის – მითრიდატეს ქ. რომში ყოფნის, იბერიის მიერ ქალაქ არტაქსატის აღების, პართელთა და იბერიელთა, მეფე ფარსმანისა და სარდალ ოროდის ურთიერთბრძოლის შესახებ. აქვე აღნიშნულია იბერიელი მეომრების ამტანობის, მამაცობისა და ბრძოლის ასპარეზის კარგად ცოდნის შესახებ. ტაციტუსის თხზულებაში ფრიად საყურადღებოა ანიკეტის ამბოხის ისტორია. ანიკეტი ადრე სამეფო ფლოტის მეთაური და გავლენიანი პირი იყო. მან მოახერხა ადგილობრივი ქართველური მოსახლეობის გადაბირება, აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი და იქ რომაელი მეომრები გაჟლიტა.

უაღრესად მნიშვნელოვანი მონაცემებია დაცული რომაელი ისტორიკოსის, აპიანეს (90-170წწ.) თხზულებაში „რომის ისტორია.“ მასში განსაკუთრებით საყურადღებოა XII წიგნი „მითრიდატიკა“, რომელიც პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორის ომების ისტორიას გადმოგვცემს. ამ მონაკვეთის მიხედვით, პონტოს სამეფო არა მხოლოდ ტერიტორიულად იყო ახლოს იბერია-კოლხეთთან, არამედ ძირითადად ქართველური მოსახლეობით იყო დასახლებული. აპიანე ინფორმაციას გვანვდის სხვადასხვა საკითხის შესახებ; კერძოდ: მითრიდატე-პომპეუსის ბრძოლების, დასავლეთ კოლხეთში მითრიდატეს მოქმედებებისა და დიოსკურიაში, დღევანდელ სოხუმთან გამოზამთრების, იბერიის მეფის არტოკეს ჯარის, პომპეუსის და იბერიის მეფე არტოკეს მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყართან ბრძოლების, პომპეუსის რომში ტრიუმფის შესახებ, სადაც ნახსენებია კოლხთა სკეპტუხი ოლთაკე და იბერთა სამი მეთაური. ასევე მოგვითხრობს პომპეუსის მიერ კოლხეთში გამგებლად დანიშნული არისტარქეს (ამჟამად აღმოჩენილია არისტარქეს სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები), იბერიელთა აღჭურვილობისა და საომარი ტაქტიკის შესახებ.

უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მონაცემებია შემონა-

ხული არიანეს თხზულებაში „ მოგზა-
ურობა შავი ზღვის გარშემო“, რო-
მელიც იმპერატორ ადრიანესადმი
გაგზავნილ სამხედრო-სამსახუ-
რებრივ ანგარიშს წარმოადგენს.

კვინტუს ეპიუს ფლავიუს არი-
ანე (95-175 წწ.) დაიბადა მცირე
აზიის ქალაქ ნიკომედიასი, წარჩი-
ნებულ ოჯახში. მან კარგი განათ-
ლება მიიღო და წარმატებული სამ-
ხედრო კარიერა ჰქონდა. 131-137 წლებში



არიანე

კაპადოკიაში რომის იმპერატორის ლეგატი და ამ პროვინცი-
ის სამხედრო-ადმინისტრაციის მმართველი იყო. „პერიპლუ-
სი“ არიანეს მიერ მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიე-
ბის სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით საინსპექციო
დათვალეირება-საქმიანობის ანგარიშია, რომელიც გაეგზავნა
იმპერატორ ადრიანეს. არიანემ ქალაქ ტრაპეზუნტიდან სე-
ბასტოპოლისამდე (დღევანდელი სოხუმი) პირადად მოიარა
შავი ზღვის სანაპირო და აქ მდებარე გამაგრებული პუნქტები
აღწერა. ქ. სოხუმში არიანეს ლეგატობის დროინდელი საინ-
სპექციო საქმიანობის დამადასტურებელი, ქვაზე ამოკვეთი-
ლი წარწერაა აღმოჩენილი. არიანეს თხზულების ღირსებაა
ის, რომ ავტორი თვითმხილველია იმისა, რის შესახებაც მოგ-
ვითხრობს. არიანეს მიხედვით, აფსაროსი (დღევანდელი გო-
ნო) იმპერიის სასაზღვრო სიმაგრეთა სისტემაში ერთ-ერთი
ძირითადი სიმაგრეა. მას თხრილებით გამაგრებული მტკიცე
კედლები ჰქონია. იქვე სამხედრო ჰოსპიტალი და სურსათის
სტრატეგიული მარაგის შესანახი ნაგებობებიც ყოფილა.

არიანე ფასისის (დღევანდელ ფოთთან) ციხესიმაგრის შე-
სახებ საკმაოდ დანვრილებით ცნობებს გვანჯდის. ის ციხესი-
მაგრის მოხერხებულ-მიუდგომელ თავდაცვით განლაგებაზე
მიუთითებს. მოიხსენიებს საფორტიფიკაციო კედლებსა და

კომპებს, რომლებზედაც „სამხედრო მანქანებია.“ მოგვითხრობს აგრეთვე ადგილობრივ მებრძოლთა რაზმებზე. არიანეს ხელმძღვანელობით ციხესიმაგრე ფასისში სხვადასხვა სახის საფორტიფიკაციო სამუშაოები ჩატარებულა. სებასტოპოლისის ციხესიმაგრეში ყოფნისას არიანე აღწერს ციხესიმაგრის ფორტიფიკაციას, მებრძოლთა სურსათითა და იარაღ-საჭურვლით მომარაგების მდგომარეობას (არიანე, 10).

არიანეს თხზულებაში „აღანთა წინააღმდეგ“ (7) დაცულია მნიშვნელოვანი ცნობა „კოლხი შუბოსნების“ სამხედრო რაზმის შესახებ.

ისტორიოგრაფიაში დიონ კასიუს კოკეიანუსი (153-235 წწ.) სანდო და მცოდნე ისტორიკოსად არის მიჩნეული. იგი მცირე აზიის ქალაქ ნიკეიდან იყო წარმოშობით და წარჩინებული სენატორის ოჯახში აღიზარდა, მიიღო კარგი განათლება. მისი კარიერა წარმატებული გამოდგა. ის კონსული და იმპერატორთან დაახლოებული პიროვნება იყო. დიონ კასიუსის თხზულებებიდან მხოლოდ „რომის ისტორია“ შემორჩა. ეს ნაწარმოები ძირითადად რომის სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიას მოიცავს, სადაც ყურადღება, უპირატესად, ფაქტების გადმოცემაზეა გამახვილებული და არა მოვლენების ანალიზზე. ძველი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა დიონ კასიუსის თხზულების ის მონაკვეთები, სადაც ტრანსკავკასიაში რომის სამხედრო მოქმედებებია აღწერილი. მათში განსაკუთრებით ვრცლად რომი-პონტოს სამეფოს მესამე ომი, ლუკულუსისა და პომპეუსის ბრძოლებია გადმოცემული. აქვეა იბერიასა და კოლხეთში პომპეუსის ლაშქრობის ამბები. კერძოდ, დიონ კასიუსს, ყველა დანარჩენ ავტორთან შედარებით, ვრცლად აქვს მოცემული პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის მარშრუტი, იბერიის მეფე არტოკესთან ბრძოლები და შემდეგ – დიპლომატიური მოლაპარაკება. აქვე იბერიის მეფის, არტოკეს ჯარის საომარი ტაქტიკაა აღწერილი. დიონ კასიუსს მოეპოვება სა-

ყურადღებო ცნობა იბერიის მეფე ფარსმან ქველის შესახებაც.

იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს ისტორიის და, კერძოდ, სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების შესახებ მოკლე ცნობებს გვანვდიან სხვა ავტორებიც: ჰიპოკრატე, არისტოტელე, ფსევდო სკილაქს კარიანდელი, პოლიბიოსი, ჰეკათეოს მილეთელი, პავსანია, ნიკოლოზ დამასკელი, სკიმნოს ქიოსელი, პომპონიუს მელა, იოსებ ფლავიუსი, კლავდიოს პტოლემეოსი, დიონისიოს პერიგეტი, ლუკიანე სამოსატელი, ალკიფრონი, პომპეიუს ტროგუსი, გაიუს პატერკულუსი, მარკუს მანილიუსი, ლუციუს სენეკა, კვინტუს რუფუსი, გაიუს პლინიუს სეკუნდუსი, გაიუს სვეტონიუს ტრანკვილი და მოვსეს ხორენაცი. იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოში საომარი მოქმედებების, საჭურველ-იარაღისა და ფორტიფიკაციის შესახებ ზემოთ აღნიშნულ წერილობით წყაროებში მწირი ცნობებია შემონახული. მათში ზოგჯერ ძნელი გასარჩევია ნამდვილი და გამოგონილი, ნაწილში კი ცნობათა უმრავლესობა ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს და ერთსა და იმავეს იმეორებს.

წყარო-მონაცემთა შორის ეპიგრაფიკულ მასალას თითქმის დოკუმენტის ღირებულება აქვს. ჩვენს თემატიკასთან დაკავშირებული წარწერები უმეტესად შესრულებულია ქვაზე ან ლითონზე და ხშირად არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული.

ეშერის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრებისას ბრინჯაოს ფირფიტაზე ბერძნულად შესრულებული წარწერა აღმოჩნდა. ამ წარწერიდან, მისი ფრაგმენტულობის გამო, ძნელია შინაარსის გაგება. წარწერა სოხუმის მუზეუმში ინახება. ამ ძვ.წ. III საუკუნის წარწერის თარგმანი ასეთია – საბრძოლო მოქმედებების შედეგად, მომხდურმა მტერმა აიღო ქალაქი („ეშერი“?). შემდგომ ქალაქის მამაცმა მეგრძოლთა რაზმებმა შეძლეს, სამეფო ხელისუფლების სამხედრო დახმარებით დაებრუნებინათ და აღედგინათ ქალაქი. ალბათ, სწორედ ამ

მოვლენის, ქალაქის აღდგენის, აღსანიშნავადაა ეს წარწერა შექმნილი (იხ. ყაუხჩიშვილი, 1985: 218). ეშერის ნაქალაქარი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლია, სადაც საქალაქო ცხოვრება ძვ.წ. III-I საუკუნეებში მიმდინარეობდა. ის ქ. სოხუმიდან დასავლეთით 8 კმ-ზე, მდინარე გუმისთის მარჯვენა ნაპირზე, ზღვიდან ნახევარ კილომეტრზე 5 ჰა ბორცვზე მდებარეობს. ნაქალაქარზე ჯერჯერობით სასიმაგრო კედლების სამკოშკიანი მონაკვეთია გამოვლენილი. აქედან ორი სწორკუთხაა, ხოლო ერთი – ხუთკუთხა. ქალაქის მძლავრ კედლებზე სასიარულო ბაქნებია გამართული. ნაქალაქარის სამხრეთით თავდაცვითი არხია. კედლები ქვიშაქვის კვადრებითაა ამოყვანილი, რომელზედაც ალიზის წყობაა.

მცხეთაში, საქართველოს ძველ დედაქალაქში, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, არმაზციხე-ბაგინეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, 75 წლით დათარიღებული ბერძნულენოვანი ე.წ. ვესპასიანეს წარწერა აღმოჩნდა. მასში ნახსენებია იმპერატორი ვესპასიანე (69-79 წწ.-ში), მისი შვილები: ტიტე და დომიციანე. აქვე ნახსენებია იბერთა მეფე მითრიდატე, ფარსმან მეფის შვილი. განსაკუთრებით საყურადღებოა წარწერის ბოლო ნაწილი: „...იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და ამაზასპუსის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელების მომხრეს, და იბერიელ ხალხს ეს კედლები გაუმაგრეს“ (იხ. წერეთელი გ. 1958: 14). როგორც ჩანს, მეფე მითრიდატეს რომაული ორიენტაციის გამო რომის იმპერატორი ვესპასიანე იბერიის სამეფოს საფორტიფიკაციო აღმშენებლობაში დაეხმარა და თავდაცვითი კედლები გაუმაგრა, ანდა მათ გასამაგრებლად გარკვეული თანხა გაიღო. ეს წარწერა ადასტურებს იმ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთინტერესს, რომელიც რომსა და გაძლიერებულ იბერიის სამეფოს ჰქონდა ახ.წ. I საუკუნეში პართიის სახელმწიფოს საპირისპიროდ. წარწერა, როგორც

ჩანს, არმაზციხის მთავარ კარიბჭეში იყო ჩაშენებული, რათა რომი-იბერიის პოლიტიკური მეგობრობა საზოგადოებისათვის უფრო თვალნათელი ყოფილიყო.

ქ. ანკარასთან, თურქეთში ძვ.წ. II საუკუნის, ქალღმერთ კიბელას სახელზე აგებული ტაძრის კედელზე შემორჩენილია ახ.წ. 14 წლით დათარიღებული ლათინური და ბერძნული წარწერა, რომელიც „მონუმენტუმ ანკურანუმის“ სახელითაა ცნობილი. წარწერა აღწერს იმპერატორ ოქტავიანუს ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.) მოღვაწეობისა და ომების ამბებს. 31-ე მონაკვეთში ჩვენი თემის თვალსაზრისით საყურადღებო ცნობებია დაცული, კერძოდ: „რომაელების მეგობრობა მოითხოვეს ელჩების მეშვეობით... ბასტარნებმა, სკვითებმა და იმ სარმატთა მეფეებმა, რომლებიც ტანაისის გამოღმა და გაღმა არიან; აგრეთვე ალბანთა, იბერთა და მიდიელთა მეფეებმა“ (იხ. ლატიშევი, 1904: 41). წარწერა მიგვანიშნებს იმაზე, რომ I საუკუნეში რომსა და იბერიის სამეფოს შორის ურთიერთომგებიანი რაღაც ხელშეკრულება იყო დადებული. პომპეუსის იბერია-კოლხეთში 65 წელს ლაშქრობის შედეგად რომაელებმა ტრანსკავკასიაში მტკიცედ ვერ მოიკიდეს ფეხი. ამას რომის პართიასთან ქიშპობაც უშლიდა ხელს. საყურადღებოა, რომ ამ წარწერაში იბერიის სამეფო, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერ მიდიელებთან ერთად არის მოხსენიებული.

ქ. რომში აღმოჩნდა ქვათლილი ბერძნულად ამოკვეთილი ეპიტაფიით, რომლის თარგმანი ასეთია – „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მინა არის კასპიასთან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, ...გარდაიცვალა ...პართელებთან საბრძოლველად მისული, მიიცვალა უწინ ვიდრე გაისვრიდა ძლიერ ხელს მტრის სისხლში შუბის, მშვილდისა და მახვილის პირზე; ქვეითიცა და მხედარიც იყო...“ (იხ. ყაუხჩიშვილი, 1976: 245). ამ წარწერიდან ჩანს, რომ II საუკუნის პირველ ნახევარში რომსა და იბერიის სამეფოს შორის კარგი ურთიერთობაა, იბერიის სამეფო პრორომაული ორიენ-

ტაციის სახელმწიფოა და რომს პარტიის სახელმწიფოს წინააღმდეგ ეხმარება. წარწერის მიხედვით, იბერიელთა ლაშქარი, იბერთა მეფის მითრიდატეს ძმის, ამაზასპის მეთაურობით, რომაელების მხარეზე პართელების წინააღმდეგ იბრძვის.

იტალიაშივე, სანავსადგურო ქალაქ ოსტიაში, მდ. ტიბრის ნაპირზე მარმარილოს ფილას მიაკვლიეს, რომელზედაც ლათინური წარწერაა: „...სიანუს ... ფაბიანუს ... ფარსმანით (იბერიის მეფე) და მეუღლით ფრ... მისცა აპრილის კალენდებამდე ხუთი დღით ადრე მაისის ნონებამდე ერთი ... დღით ადრე გლადიატორთა...“ (იხ. გამყრელიძე, 2008: 122). წარწერაში ნახსენებია იბერიის მეფე და სამხედრო ხელმძღვანელი ფარსმან II ქველი, რომელიც წერილობით წყაროებში კარგ, მორჭმულ სახელმწიფო მოღვაწედ არის შეფასებული. დიონ კასიუსი გადმოგვცემს: „...როცა ფარსმან იბერიელი ცოლთან ერთად რომში ჩავიდა, იმპერატორმა განუვრცო სამფლობელო, პატივი დასდო კაპიტოლიუმში შეენირა; მისი ცხენზე ამხედრებული ქანდაკება ენიალიონზე დადგა და მისი ვაჟკაცის და სხვა შეჭურვილი წარჩინებული იბერების სამხედრო-საბრძოლო ვარჯიშებს აკვირდებოდა“ (LXX, 2, 3).

მცხეთაში, არმაზში №4 სამარხის არქეოლოგიური შესწავლისას ქვათლილი აღმოჩნდა, რომელზედაც ორენოვანი წარწერა ანუ ბილინგვაა და სამეცნიერო ლიტერატურაში „არმაზის ბილინგვის“ სახელითაა ცნობილი. პირველი, ზედა წარწერა ბერძნულია, ხოლო მეორე, ქვედა, ე.წ. არმაზულ-არამეული დამწერლობით არის შესრულებული. ჩვენთვის საყურადღებო ნაწყვეტი ქართულად ასეა: „... ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა, რომელიც იმარჯვებდა და ამრავლებდა ადრე ჩადენილ საგმირო საქმეებს, და არის ეზოსმოძღვარი ქსეფარნუგ მეფისა, ძე აგრიპასი, ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა, რომელმაც სძლია მძლეველნი, რაც ფარნავაზმა (ან წინა ფარნავაზიანებმა) ვერ დაასრულა...“ (იხ. გიორგაძე გრ. 1986: 151). ამ წარწერიდან უპირველეს ყოვლისა საყურადღ-

ებოა, რომ არამეული ტექსტის აქამდე გაუშიფრავი მერვე სტრიქონი ამოიხსნა, სადაც აღმოჩნდა, რომ ნახსენებია იბერიის მეფის, ქართლში სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმების გამტარებლის, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის, ფარნავაზის სახელი. აგრეთვე საყურადღებოა, რომ ამ ტექსტში მოხსენიებულია იბერიის მეფე ფარსმან II ქველი, რომელიც ცნობილია „ქართლის ცხოვრებიდან“, „მოქცევაი ქართლისაიდან“ და დიონ კასიუსის თხზულებიდან.

მცხეთაშივე, არმაზში №4 სამარხის არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩნდა ე.წ. №1 არმაზულ-არამეული წარწერა, რომელიც მთლიანად დღემდე გაუშიფრავია. ამ ტექსტის შესახებ სპეციალისტებს გამოთქმული აქვთ ზოგადი შენიშვნები. მათი აზრით, წარწერა I საუკუნისაა და ეხება იბერიის დიდი მეფის მიჰრდატის ანუ მითრიდატეს სამხედრო გამარჯვებებს, რომელიც მან იბერიის სამეფოს მოსაზღვრე სახელმწიფოებზე მოიპოვა. წარწერაში გამაგრებული ადგილები და ციხესიმაგრეებია დასახელებული. ტექსტიდან ისიც ჩანს, რომ მეფე მითრიდატე, ისევე როგორც მამამისი ფარსმანი, რომსა და პართიას შორის ომში იყო ჩაბმული.

ქალაქ სოხუმში 132 წლით დათარიღებული ლათინურწარწერიანი ქვათლილი აღმოჩნდა, რომელზეც ნახსენებია რომის იმპერატორ ადრიანეს კაპადოკიის ლეგატი, სამხედრო-ადმინისტრატორი კვინტუს ეპიუს ფლავიუს არიანე. ჩანს, ეს წარწერა არიანეს სებასტოპოლისის ციხესიმაგრეში წარმატებული სამხედრო-საფორტიფიკაციო საქმიანობის აღსანიშნავადაა ქვაზე ამოკვეთილი.

ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა რომაული სამხედრო შენაერთების არქეოლოგიურად დადასტურებული დამლები. ეს სამხედრო ნაწილები ადგილობრივ სამხედრო ძალასთან საბრძოლველად საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად, შავი ზღვისპირეთში იყო განლაგებული. კერძოდ, ბიჭვინთა-პიტიუნტში, სოხუმ-სებასტოპოლისში,

ფოთ-ფასისში, გონიო-ავსაროსში.

საყურადღებო საისტორიო წყაროა ე.წ. „შაპურის წარწერა,“ რომელიც ირანში, პერსეპოლისში, ამჟამად ქ. ისთახართან, „ზოროასტრის ქაბის“ ტაძრის კედელზე აღმოჩნდა. ის ძველ სპარსულ და ბერძნულ ენებზეა შესრულებული. წარწერაში მოთხრობილია სასანური ირანის მეფის, შაპურ I-ის (240-272 წწ.) სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. ნახსენებია მის სამეფოში შემავალი ქვეყნები, მის მიერ წარმოებული ძლევამოსილი ომები და სხვ. აქვე ნახსენებია იბერია, რომელიც პროსასანიდურ ქვეყნად ჩანს. აღნიშნულია იბერიის მეფე ჰამაზასპის შესახებაც. კონტექსტის მიხედვით, მეფე ჰამაზასპი სასანური ირანის ხელმწიფის მოკავშირე გავლენიანი პირი ყოფილა. ჰამაზასპი ანუ ამაზასპი, რომელიც პროსასანური ორიენტაციისაა, ვიცით „ქართლის ცხოვრებიდანაც,“ სადაც იგი მოხსენიებულია ძლევამოსილ მეფედ, კარგ სამხედრო მოღვაწედ. მას ფარსმან ქველს ადარებენ. ამაზასპი რომაელებს ებრძოდა და მათთან ომში ბრძოლის ველზე დაეცა.

ამრიგად, როგორც ზემოთ გამოჩნდა, ასეთია ის მცირე წყარო-მონაცემთა ბაზა, რომელთა ინტერპრეტაციას იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქცია ეყრდნობა. წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების კრიტიკულად განხილვისა და მათი ურთიერთმეჯერების შედეგად შესაძლებელია იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ერთიანი სურათის მეტ-ნაკლებად წარმოდგენა.

საომარ მოქმედებათა სარბიელი

გეოგრაფიული გარემოს როლი ზოგადად საზოგადოებისა და კონკრეტულად სამხედრო საქმის განვითარებაში ფრიად მნიშვნელოვანია. ამდენად, საომარ მოქმედებათა სარბიელის მიმოხილვის გარეშე შეუძლებელია სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის აღდგენა.

თანამედროვე საქართველო ტრანსკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ძველი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. ქართველები (ქართველური ეთნოსი) განვითარების თავდაპირველ საფეხურზე განსახლებულები იყვნენ სამი მდინარის – მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზებში. ეს კი, ზოგადად, ვანის ტბიდან შავ ზღვამდე და კავკასიონის ქედის ჩათვლით ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე სახლობდა ძველი ქართველური მოდგმის ხალხი, რომელთა სხვადასხვა გაერთიანებას საისტორიო წერილობითი წყაროები (იხ. ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.) სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ; კერძოდ – კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსუნიკები, სასპერები, მაკრონები, ჰენიოხები, მოსხები, ტაოხები, აფსილები, ტიბარენები, სანიგები; შემდგომ, ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი და ა.შ. (იხ. საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი... 1993).

ანტიკურ ეპოქაში ზემოხსენებულ ტერიტორიაზე დანინაურდა და პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვა ორმა ძველმა ქართულმა სახელმწიფომ – კოლხეთისა და იბერიის სამეფო-

ებმა (ისევე, როგორც ბერძენთა სახელმწიფოებმა – ათენმა და სპარტამ). კოლხეთ-ლაზიკის, ანუ ეგრისის და იბერიის, ანუ ქართლის ადგილსა და საფუძველზე შემდგომ განვითარდა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო.

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია: ჩრდილოეთით – კავკასიონის მაღალი ქედი; სამხრეთით – აჭარა-ლაზეთ-არსიანის მთიანეთი, ჯავახეთის ქედი, მდ. დებედას ხეობა; აღმოსავლეთით – მდ. აგრიჩაი-მინგეჩაურის აუზი; დასავლეთით – შავი ზღვა. მოცემულ ტერიტორიას ლიხის ქედი ყოფს. მის დასავლეთით მდებარეობს კოლხეთის დაბლობი მდ. რიონის აუზით, ხოლო აღმოსავლეთით – ივერიის ბარი მდ. მტკვრის აუზით. მთიანეთს შორის განლაგებულია შიდა და ქვემო ქართლის, ალაზნისა და კოლხეთის დაბლობ-ვაკეები.

ძველი საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესში წამყვანი როლი შეასრულა გეოგრაფიულმა გარემომ: კლიმატმა, ნიადაგმა, რელიეფმა, მადნეულმა, ზღვამ, ტბებმა, მდინარეებმა, ფლორამ და ფაუნამ. უპირატესად ამაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ფიზიონომიურ-ფსიქიკური, დემოგრაფიული, სამეურნეო-საწარმოო, სავაჭრო-კომუნიკაციური, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სულიერ-კულტურული, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი, სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა.

საქართველოს მთიანეთის ბორცვ-გორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები, ზეგნები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი დასასახლებლად მოსახერხებელია. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა: ხე, თიხა, ქვიშა, ქვა.

საქართველოში მეტალურგიული ნედლეულის – სპილენძის, რკინის, კალის მოპოვების ძირითადი ადგილებია: რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა, ქვემო ქართლი, მდ. დიდი ლიახვის ზემო ნელი, მდ. ძამის ხეობა. მდინარეების: ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის, რიონისა და მაშავერის ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს. ამას ადასტურებს

I საუკუნის ავტორი სტრაბონი (XI, II, 19): „წყლის ნაკადებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები მას აგროვებენ დაჩვეტილი ვარცლებითა და ბენვიანი ტყავებით“.


II საუკუნის ავტორი აპიანე აღნიშნავს: „კავკასიონიდან მომდინარე მდინარეებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეებში ცხვრის ტყავებს აგებენ და აგროვებენ დალექილ ქვიშას“ (მითრიდატეს ომები, 103). ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I საუკუნის ავტორი გაიუს პლინიუსი (NH, XXXIII): „კოლხეთის მეფე სამეუფეოში დიდძალ ოქროსა და ვერცხლს მოიპოვებდა...“ საყოველთაოდ ცნობილია ხალიბების, მოსუინიკების, მოსხების როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში. აქ მოსახლეობის მიერ მადნეულის დამუშავება-გამოყენებამ საზოგადოება უკვე ძვ.წ.

II ათასწლეულში განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. ამდენად, ამ სასარგებლო მადნეულის არსებობამ გამოიწვია პოზიტიური ძვრები წარმოების განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, სამხედრო აღჭურვილობის გაუმჯობესებაში აისახა.

საქართველოს რელიეფი ორ ძირითად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად. მთა-მთისწინეთი კავკასიონის მთავარი ქედი და გვერდითი ქედებია. აჭარა-მესხეთის მთიანეთი ორი ძირითადი ქედისაგან შედგება: ერთი არის მესხეთის, მეორე – შავშეთის ქედი. მათაც მრავალი განშტოება აქვს, რომლებიც მთისწინა ზოლში გადადის და ბარისაკენ ეშვება. დიდ და მცირე კავკასიონს ერთმანეთთან აკავშირებს ლიხის ქედი. დიდი და მცირე კავკასიონის მთიანეთში გადადიოდა ბილიკ-გზები, რომლებითაც ძველი მოსახლეობა დანარჩენ სამყაროს უკავშირდებოდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ გადასასვლელებს ახლაც იყენებენ. ესენია: ზეკარის, მეფისწყაროს, გოდერძის, მამისონის, ნაკრის, ქლუხორის, დარიალის და სხვ. მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი და იბერია თავისი რელიეფით – ქედებით, ზეგნებით, ხეობებით, სერებით, ტაფობებითა და ბორცვ-გო-

რაკებით მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ძვ.წ. I საუკუნის რომაელი მხედართმთავრის, ლუკულუსის მითრიდატე ევპატორთან ომის დროს კავკასიონის მთიანეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო მოქმედების თეატრის შეფასება: „მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მონინაალმდეგემ კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ წავიდეს მთა-ხეობებისაკენ. განა ვერ ხედავთ, რომ მათ უკან(კავკასიონია) და იქით გადაშლილია უსაზღვრო უდაბნო-სტეპი (აქ იგულისხმება ბოსფორისა და ყუბანის სტეპები); აქვეა კავკასიონი მაღალი მთებით...“ (პლუტარქე, ლუკულუსი, 14). მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს აგრეთვე II საუკუნის ავტორის, იმპერატორ ადრიანეს სამხედრო-ადმინისტრაციული წარმომადგენლის, ძველი საქართველოს ზღვისპირეთის თვითმხილველის, ფლავიუს არიანეს აღწერილი მოხსენება. ის წერს: ფასისის „...ციხესიმაგრე მე მეჩვენება ძალიან მიუდგომლად და უსაფრთხოდ ბუნებრივი გარემოს გამო. ის მეტად მოხერხებულ ადგილზეა განთავსებული. ...კედლები აგურისგანაა გაკეთებული, საძირკველი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული.“ „აქაური ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარია ხომალდებისათვის...“ (არიანე, 9).

აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფ-ლანდშაფტის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვინრო ხეობების, გადასალახად რთული მაღალი მთების, გასამაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი გაუვალი ტყეების, ძნელად დასაძლევ მდინარეების მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებით დაგვირგვინების გარანტია იყო. სამხედრო მოქმედებისას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება კლიმატს და წელიწადის დროის ცვლას. მაგალითად, მითრიდატე ევპატორი პომპეუსთან ომის დროს „მთე-



ბიჭვინთა
პიტუნტი
სოხუმი
დიოსკურია
სუბასტოპოლისი

ლოჩლაქევი
ციხეგოჯი
არქეპოლისი

მდ. რიონი

მდ. არაგვი

მდ. მტკვარი

ავხსინის კონტო

შავი ზღვა

ფოთი
ფასისი
კობულეთ-
ფიჭვნარი
გონიო
აფსაროსი

ტრაპეზუნტი

მდ. ქორღისი

საირსე
შორაპანი
სარაპანი

უფლსციხე
სარკინე
ნაცაქისი
მონაკაბი

მდ. ხრამი

მდ. ბლაგანი
მდ. იორი

ქართლის მთა
თაილისი

მდ. მტკვარი
კურსი

მდ. ხრამი

მდ. იორი

მდ. ბლაგანი

ბის გადაღმა კოლხეთში გაიქცა“ (სტრაბონი, XII, III, 28). მას ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. ამ შემთხვევაში მითრიდატემ ზამთარი და მთები თავისი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა (აპიანე, „მითრიდატე,“ 101).

საქართველოს მთათა მყინვარებიდან მდინარეები გამოედინება. მათი ნაწილი შავი ზღვის აუზს ეკუთვნის, ხოლო ნაწილი – კასპიის ზღვისას. მათ შორის წყალუხვობით უწინარესი ადგილი უჭირავს რიონს, ყვირილას, ცხენისწყალს, ტეხურას, ხობს, ენგურს, კოდორს, ბზიფს, ლალიძგას, ხანისწყალს, ფიჩორს, სუფსას, ნატანებს, ჭოროხს, მტკვარს, დიდ ლიახვს, ქსანს, არაგვს, იორს, ალაზანს, ხრამს. აქედან ხობს, ტეხურას, ფიჩორს, სუფსას, ჭოროხს და განსაკუთრებით, რიონ-ყვირილასა და მტკვარს სამდინარო-სატრანსპორტო გზებად იყენებდნენ. მათზე სავაჭრო-სატრანსპორტო და საბრძოლო ნაკვებით დაცურავდნენ.

მდინარე რიონი კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან, ფასის მთის მყინვარიდან გამოედინება. ქალაქ ქუთაისამდე ის ვიწრო ხეობაში მოდის, ხოლო ქვემოთ, კოლხეთის დაბლობზე მდორე დინება აქვს. წერილობით წყაროებში მდ. რიონის შუა და ქვემო წელი ხშირად მოიხსენება ფასისის სახელით, რომელიც პირველად ძვ.წ. VII საუკუნის ჰესიოდეს თხზულება „თეოგონიაშია“ ნახსენები.

მდინარე რიონ-ყვირილა ანუ ფასისი და მდინარე მტკვარი ანუ კუროსი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო და სტრატეგიული გზა იყო. ცნობები მისი გამოყენების შესახებ სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული. სტრაბონი ასე აღწერს ამ გზას: „ფასისზე აღმა ცურვა შორაპნამდე შეიძლება. ამ სიმაგრეს მთელი ქალაქის მოსახლეობა შეუძლია დაიტოს; შორაპნიდან საურმე გზით, ოთხ დღეში მისვლება მდ. მტკვრამდე“ (XI, II,

17). ამ გზის გაგრძელებას სტრაბონი (XI, VII, 3) ასე აგვიწერს: „...ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანის (კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვარზე და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინის (შავ) ზღვაში ჩააქვთ“. ამრიგად, ნათელია, რომ სტრაბონი აღწერს სავაჭრო-სტრატეგიულ



პლინიუსი

გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდ. მტკვრის და მდ. რიონის გავლით შავი ზღვისაკენ. ამავე გზას აღწერს I საუკუნის ავტორი პლინიუს სეკუნდუსი (VI, 52): „...პომპეუსის ლაშქრობის დროს, მისი ბრძანებით შესწავლილი იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში, მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქსს. აქედან სავაჭრო საქონელი გადააქვთ კასპიის ზღვის იქით მდ. მტკვარზე და ხმელეთით არა უმეტეს ხუთი დღისა, მათ შეუძლიათ მიაღწიონ მდ. ფასისს, რომელიც შავ ზღვას უერთდება“.

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი – კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონისა და მინის ჭურჭელი. ასეთი ნაგებობები მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე აღმოჩენილია შორაპანში, კლდეეთში, ვარციხეში, ვანში, შუამთაში, ფარცხანაყანებში, მთისძირში, დაბლაგომში, დაფნარში, საჯავახოში, პატარა ფოთში, ჭალადიღში და ფოთთან, პალიასტომის ტბასთან. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილია: ზღუდერში, ურბნისში, უფლისციხეში, ყანჩაეთში, ძალისაში, ციხიაგორასთან, ნასტაკისში, სამადლოში, სარკინესა და მცხეთაში.

რიონ-ყვირილას ანუ ფასისის სავაჭრო-სატრანზიტო გზის ბოლო პუნქტი იყო ტბა პალიასტომთან მდებარე ქალაქი, რომლის შემდეგაც სავაჭრო კარჭაპები შავ ზღვაში გადადიოდა.

გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა ძველად მდინარე რიონის ლაგუნა-ლიმანი იყო. ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ადგილას, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, ხომალდები შემოდის. ხომალდებიდან შემდეგ ტვირთი ბრტყელძირა სამდინარო კარჭაპებში გადაიტვირთებოდა და პალიასტომის გავლით მდინარე რიონზე აგრძელებდა გზას.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „კვალად ფოთის სამხრეთით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი.“ „აქიდან შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვის. იპყრობის თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხვნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან“ (ქ. ც., V: 790). აგათია პალიასტომის შესახებ აღმოგვცემს: „იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება;“ „...ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიცურდნენ ქალაქთან“ (იხ. აგათია).

პალიასტომის ტბის ფართობი თვრამეტ კვადრატულ კილომეტრამდეა. მას დაჭაობებული შემოგარენიდან მდორედ მომდინარე მდინარეები ერთვის. ამათგან ყველაზე წყალუხვია მდინარე ფიჩორი. წინათ, სანამ ჯებირებს ააგებდნენ, აქ რიონის ერთი ტოტიც შემოედინებოდა.

არქეოლოგიის ცენტრის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პალიასტომის ტბასთან, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში II-VII საუკუნეების ნამოსახლარს მიაკვლია. შესაძლოა, რომ ამ ნამოსახლარის სახით საქმე გვექონდეს პროკოპი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილ ქალაქ ფასისის ნაშთებთან.

მდინარე რიონზე ჩამოცურებული ნაგებებიდან ტვირთი პალიასტომის ტბაზე მდებარე ნავსაყუდელში უკვე საზღვაო ხომალდებში გადაჰქონდათ და შავი ზღვის გავლით მიჰქონდათ სხვა ქვეყნებში. შავმა ზღვამ დიდი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ნერილობითი და

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი გამაგრებული დასახლებული პუნქტებია მიკვლეული: აფსაროსი გონიოსთან, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი ფოთთან, ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი ოჩამჩირესთან, დიოსკურია-სებასტოპოლისი სოხუმთან, ემერა, პიტინტი ბიჭვინთასთან. ჩამოთვლილი დასახლებები ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ისინი წამყვან როლს ასრულებდნენ უცხოეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტი შავი და ხმელთაშუა ზღვების ქალაქებთან: მილეთთან, ათენთან, სინოპთან, ტრაპიზუნტთან, კ. ქიოსთან, კ. როდოსთან, რომთან (ოსტია); შემდგომ – კონსტანტინოპოლთან, გენუასთან, ვენეციასთან და სხვ.

ზღვისპირა ქალაქში, ვაჭრობის გარდა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგი – მეთუნეობა, მჭედლობა, ხურობა, ფეიქრობა იყო განვითარებული; მაგრამ აქ განსაკუთრებული ადგილი მაინც ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობას – ზღვაოსნობას, მეთევზეობასა და ზღვის მარილის მოპოვებას ეჭირა. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (I, III, 2) აღნიშნულია, რომ შავი ზღვისპირეთის „ხალხები დაცურავდნენ მეკობრეობის და ვაჭრობისათვის ...ნაპირ-ნაპირ“ ანუ კაბოტაჟურად. ზღვის სანაპიროებზე საომარი თავდასხმები ზღვისპირა ხალხების შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო.

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია კოლხეთის შესახებ გამოგვცემს: „ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები.“ ისინი „...ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით...“; გამოირჩევიან „...თავისი სიმდიდრით, ქვეშევრდომთა სიმრავლით, მიწა-წყლის მოსავლიანობით...“ „ მცხოვრებლები დაცურავენ ...და ვაჭრობიდან დიდი სარგებელი აქვთ“ (აგათია, III, 5).

შავი ზღვა ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გადის ხმელთაშუა ზღვაში. ბოსფორის სრუტის უვინროესი ადგილი 700 მეტრამდეა, ამიტომ მისი სამხედრო-სტრატეგიული გადაკეც-

ვა ადვილია. ვის ხელშიც ეს სრუტეები იყო, ის აკონტროლებდა ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მიმოსვლას. შავი ზღვის საქართველოს ნაპირი ყველგან ერთნაირი არ არის. ის სამხრეთ და ჩრდილოეთის მონაკვეთზე მთიანია; სანაპირო ხაზზე გამოწეულია კონცხები – მწვანე კონცხის, ციხისძირ-ბოზოყვათის, ანაკლიის, კოდორის, სოხუმის, ბიჭვინთის. ამ კონცხებთან შექმნილი ყურეები გარკვეულწილად მოსახერხებელია ნავსაყუდელების შესაქმნელად. შავი ზღვა უდიდეს როლს თამაშობს კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს აგროკლიმატურ სიტუაციაზე და ადგილობრივი მცხოვრებლების სამეურნეო და თავდაცვით ყოფაზე.

კოლხეთის ისტორიაში უარყოფითი როლი ნაპირის ცვალებადობამ ითამაშა. გეომორფოლოგიების ვარაუდით, ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, ახალშავზღვეურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია, ხოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ისევ აინია ზღვის დონემ. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული ძველი ქალაქ-დასახლებები წყლის ქვეშ მოექცა.

ძველ წერილობით წყაროებში საქართველოს ზღვისპირეთში მთელი რიგი ქალაქებია მოხსენიებული: ფოთთან – ფასისი, ოჩამჩირესთან – გიენოსი, სოხუმთან – დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინთასთან – პიტიუნტი, ციხისძირთან – პეტრა და გონიოსთან – აფსაროსი. ხსენებული ნაქალაქარების მიმდებარე ტერიტორიის წყალში დაძირვამ ზღვისპირეთში სანარმოო-ეკონომიკური დონის დაქვეითება გამოიწვია. ბერძნები შავ ზღვას პირველად არასტუმართმოყვარე ზღვას უწოდებდნენ. ბერძნებს სანაპიროებზე გადასვლისას ხშირად უწევდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ბრძოლა. მას შემდეგ, რაც ბერძნებმა უკეთ აითვისეს შავ ზღვაზე ნაოსნობა და სანაპიროებზე მცხოვრებლებთანაც უფრო ახლო ურთიერთობა დაამყარეს, აზრი შეიცვალეს და შავ ზღვას „ექსისინუს პონტოს“, სტუმართმოყვარე ზღვა, შეარქვეს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, კავკასიონი, ანტიკავკასიონი, ლიხის ქედი და შავი ზღვა ქმნის ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიც კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ექცევა. ეს ტერიტორია კოლხეთის მთავარი აგრარულ-სამეურნეო რეგიონი იყო. კოლხეთის დასავლეთ, ზღვისპირა მონაკვეთში აღინიშნება განსაკუთრებული ჭაობიანობა, ხოლო აღმოსავლეთით უფრო ენერი ნიადაგებია. აგრარულ-სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე მეტად გამოყენებულია კოლხეთის დაბლობის შემადღებული მონაკვეთი. სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩაბმული, აგრეთვე, მთისწინეთის ბორცვ-გორაკებიანი ნაწილიც.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, II, 17) დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ მხარედ წარმოგვიდგება: „ქვეყანაში კარგი ნაყოფი იცის; ... მოიპოვება გემთსაშენი მასალა, რადგან მოზრდილი ფართობი უჭირავს ტყეს; ხის ძეგები მდინარეებით ჩამოაქვთ; ამუშავებენ ბევრ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. სელის წარმოება განთქმულია და გარეთაც გააქვთ“. ექსპორტზეა საუბარი მარკუს მანილიუსის ცნობაშიც, სადაც ის გადმოგვცემს, რომ რომაელებს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალები კვებავსო (იხ. ლატიშევი, 1904: 377). საყურადღებოა VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის, პროკოპი კესარიელის (BG, VIII, 14) წერილობითი ცნობა: „მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლისიდან და შეიცავს მრავალ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს; იქ ღვინოც კარგი იცის და სხვა ნაყოფიც კარგად ხარობს...“ კოლხეთის ცენტრში მდებარე მოხირისის მხარე ეკონომიკურად ძლიერი რეგიონია. შესაბამისად, აქაურებს საბრძოლო მოქმედებებისათვის კარგი რესურსებიც ექნებოდათ. კოლხეთის დაბლობი რომ დანიინაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც.

კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს მზის რადიაცია, ჰაერის ცირკულაცია, ზღვასთან სიახლოვე. აქ ნოტიო-სუბტროპიკული ჰავა ჭარბობს. ქარის მიმართულე-ბაზე ხეობებისა და ქედების განლაგება მოქმედებს. ხალხურ დაკვირვებაში შემორჩენილია ორი ქარის სახელი – „ზენა ქარი“ და „ქვენა ქარი“ ანუ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები, რომელთა მიხედვითაც მეურნე ცდილობდა ამინდის წინასწარ გამოცნობას და შესაბამისად სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვას.

საქართველო მრავალფეროვანია მცენარეული საფარით. აქ დღესაც შევხვდებით რელიქტურ სახეობებს; არის ენდემური ჯიშები. ალპური სარტყლის ქვემოთ მთა-მთისწინეთი, და ნაწილობრივ ბარიც, ძირითადად ტყითაა შემოსილი. ბარ-მთისწინეთში გაბატონებულია ფოთლოვანი ხეები: მუხა, რცხილა, ნაბლი, ნიფელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი. შემორჩენილია, აგრეთვე, ლაფანი და ძელქვა. არის ბუჩქნარები – ბზა, წყავი, შქერი. დაბლობებში ტყე ჩახლართულია ხვიარებით – სურო, ღვედეკეცი. მთა წინვიან მცენარეებს – ნაძვსა და სოჭს უჭირავს. ხის სამშენებლო მასალად გამოყენება არქეოლოგიური მონაცემებით ხშირად დასტურდება.

ძველი საქართველოს სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთ მცენარეებს, როგორც იყო ხორბალი, ქერი, ვაზი, ფეტვი, ჭვავი, ნაბლი, ღომის ღომი, კაკალი, თხილი, ლელვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ. საქართველოში და განსაკუთრებით მის დაბლობ ნაწილში თბილი ზამთარი და ხანგრძლივი, ზომიერად ცხელი ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო-აგარარული საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეობის, მებოსტნეობისა და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის.

ცხოველებიდან საქართველოში ადგილობრივის გარდა გავრცელებულია ევროპული და მცირეაზიური სახეობები. ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე, გარკვეულწილად, დამყარე-

ბული იყო ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკვება და საბრძოლო მოქმედებებისას გარკვეული მარაგების შექმნა. ძველ საქართველოში ნადირობდნენ ისეთ გარეულ ცხოველებზე, როგორცაა: არჩვი, ჯიხვი, ღორი, კურდღელი, ირემი, შველი და მურა დათვი; მგლის, დათვის, ტურას, მელას, ფოცხვრის ტყავს სამოსად იყენებდნენ. მდინარეებში იჭერდნენ კალმახს, ლოქოს, ორაგულს, წვერას. საკვებად გამოსაყენებელ ფრინველთაგან მაშინაც გავრცელებული იყო გარეული იხვი, ბატი, გნოლი, მწყერი, ხოხობი. ხოხობის სახელი „ფასიანუს“ მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში ფასისიდან არის შესული.

საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ხშირია ოსტეოლოგიური ანუ ძვლის ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი საქართველოს მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ნადირობას სამხედრო-საბრძოლო წვრთნა-მზადების ფორმაც ჰქონდა. რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში ხარის, ძროხის, თხის, ცხვრის ძვლები მრავლადაა დადასტურებული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. ეს ოსტეოლოგიური მონაცემები დღევანდელი საქართველოსათვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობებს ჰგავს. საგულისხმოა, რომ არისტოტელე ნაშრომში „ცხოველთა ისტორია“ კოლხეთის ტანმორჩილ ძროხებს აღწერს: „ფასისთან არიან მომცრო ძროხები, რომლებიც ბევრ რძეს იწველიან...“ (III, 21). გამწევ-სატრანსპორტო პირუტყვიდან არქეოლოგიურ მასალაში ძირითადად დადასტურებულია ხარისა და ცხენის ძვლები. დასავლეთ კოლხეთის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოს შესახებ ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-ის ბერძენი მეცნიერი ჰიპოკრატე გადმოგვცემს: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი წვიმები იცის. ადამიანებს ჭაობებში ხის ... სახლები აქვთ“ („ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ,“ 15). ასევე ახასიათებს

კოლხეთის დაბლობის კლიმატურ პირობებს XVII საუკუნის იტალიელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტიც: „კოლხეთს ადგილმდებარეობის გამო ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლის-ნაირი არსად არ არის. მიზეზი ამისა კი ის არის, რომ დასავლეთით, შავი ზღვიდან ქრის ნამიანი ჰაერი და აღმოსავლეთით კი აკრავს კავკასიონი, საიდანაც მრავალი მდინარე ჩამოედინება. ამას ემატება ხშირი ტყეები“ (იხ. ლამბერტი, 1938: 19).

დასავლეთ საქართველოს ჰავისა და ტყიანი საფარის შესახებ ცნობებს გვანდის XVIII საუკუნის მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „და არს ქუეყანა ესე ფრიად ტყიანი, ... ჰავითა კეთილ-მშუენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაითგან ძნელად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამე. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა...“ (ქ. ც., V: 743).

აღმოსავლეთ საქართველოში, იბერიაში, ძირითადი სამეურნეო-სამინათმოქმედო ფართობები განლაგებული იყო შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის ხეობაში, ტირიფონის და მუხრანის ნაყოფიერ ველებზე, ქვემო ქართლის ბარში და ალაზნის ველზე. უწყლობის გამო რამდენადმე არანაყოფიერია ივრის ზეგანი და შირაქ-ელდარის ველები. აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა კოლხეთთან შედარებით მშრალი კონტინენტურია. ამიტომ ინტენსიური მინათმოქმედებისათვის საჭირო იქნებოდა სარწყავი არხები.

სტრაბონი, რომლის თხზულებებიც დამაჯერებელი საფუძვლიანობით გამოირჩევა, იბერიის შესახებ გადმოგვცემს: „იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და სოფლებით; იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულადაა მოწყობილი, ბაზრები და სხვა... ქვეყანა კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული ... შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული; უდიდესი მათ შორის არის მტკვარი. ... ის მოედინება საძოვრებით მდიდარ ველზე, ...არის

ალაზანი, სანდობანი... ყველა ესენი სანაოსნონი არიან და უერთდებიან კასპიის ზღვას“ (XI, III, 1,2).

იბერია-კოლხეთში სამხედრო-საბრძოლო მოქმედებებისას, ადგილობრივი მეზრძოლები ფლობდნენ და კარგად იყენებდნენ რელიეფს, მთებს, ხეობების ჩასაკეტად ვიწრო ადგილებს, მთა-გორებზე მოხერხებულად განლაგებულ თავდაცვით ნაგებობებს, ხშირ გაუვალ ტყეებს, მდინარეების ფონებს. იგივე ფაქტორები უარყოფითად აისახებოდა მომხდურთა სამხედრო ძალის მოქმედებებზე. ისინი, ბუნებრივია, არ იცნობდნენ და ტაქტიკურად სწორად ვერ იყენებდნენ ადგილობრივ გარემოს – რელიეფს, კლიმატს, რესურსებს და სხვ. შესაბამისად, ისინი ადგილობრივი პირობების შესახებ სრული ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ. კერძოდ, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მონინაალმდეგის სამეურნეო-ეკონომიკურ რესურსებზე, რაოდენობრივ-დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ფსიქიკურ განწყობაზე, კომუნიკაციურ და სამხედრო-ტექნიკურ საშუალებებზე, საზოგადოებრივ წყობაზე, სამხედრო ქმედებებზე.

ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე, იბერია-კოლხეთში თითქმის შეუძლებელი იყო ფართო, მასშტაბური, ფრონტალური, მრავალრიცხოვანი ჯარით, მაგალითად, მაკედონური ფალანგით მოქმედება. აქ უფრო კარგად განვრთნილი, ადგილობრივ გარემოზე ინფორმირებული, მობილური მცირე რაზმებით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა. ადგილობრივი მოსახლეობის საბრძოლო მოქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა კი, ძირითადად, სწორედ რელიეფის მოხერხებულ გამოყენებაზე იყო აგებული.

ძველი კოლხეთისა და იბერიის გეოგრაფიული გარემოს მიმოხილვიდან ჩანს, რომ გარემომ წამყვანი როლი ითამაშა მათი ისტორიული განვითარების პროცესში. კოლხეთი და ნაწილობრივ იბერია მთებით შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები იყო, რაც სამხედრო-სტრატეგიულად

გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოციერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეული, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე იყო დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამხედრო-სტრატეგიული განვითარების დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე და იბერი-აში – მდ. მტკვარზე ჩამოყალიბდა ერთობ თავისებური ისტორიულ-კულტურული არე. მისი ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. ანტიკური ხანის კოლხეთსა და იბერიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა და შეჯახებაც.

ხის თავდაცვითი სამოსახლოები კოლხეთში

იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოს სამხედრო საქმის, კერძოდ, ხის სასიმაგრო ნაგებობების შესახებ საყურადღებო ფაქტებს შეიცავს ბერძნულ-ლათინური და არქეოლოგიური წყაროები. ისინი ძირითადად დაცულია ჰეკათეოს მილეთელის, ჰოპოკრატეს, ჰეროდოტეს, ქსენოფონტის, სტრაბონის, აპოლონიოს როდოსელის, დიოდორე სიცილიელის, პომპონიუს მელას, ვიტრუვიუსის, პლინიუსის თხზულებებში. ამ ავტორთა თხზულებებში საუბარია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის გამაგრებულ სამოსახლოებზე. კერძოდ, კოლხურ-მოსუნიკურ ძელურ-ბათქაშიან, კომკურა ტიპის გამაგრებულ ნაგებობებზე. აქვე ცნობებია გამაგრებული სამოსახლოების აგებისას რელიეფის გამოყენებისა და ამ სამოსახლოთა ურთიერთმიმართების შესახებ. ქსენოფონტის მინიშნებით, სასიმაგრო ნაგებობები შედგებოდა თხრილისაგან, ძირითადი გზისაგან, რომელიც აკავშირებდა დასახლებას შიდა ციხე-კოშკთან და სხვა შედარებით მომცრო კოშკებთან. ყველაფერი ეს შემოსაზღვრული იყო ძელებიანი მესრით, რომელშიც დატანებული იყო ძირითადი ჭიშკარი. ხელისუფალ-მეთაურის კოშკი შემალლებულ ადგილას იყო აგებული და განსხვავდებოდა რიგითი მცხოვრების კოშკისაგან. სასიმაგრო კოშკი საცხოვრებელსაც წარმოადგენდა.

ქსენოფონტის მიხედვით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რამდენიმე ქალაქი და უმეტესად სოფლური ტი-

პის გამაგრებული სამოსახლოები იყო განლაგებული. ზოგიერთი გამაგრებული პუნქტის აღება კარგად განვრთნილმა ბერძნულმა ჯარმაც კი ვერ შეძლო: „როცა ბერძნებმა ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო განიერი თხრილი ერტყა, ხოლო მიწაყრილზე აღმართული იყო ძელებიანი მესერი, რომელშიც ჩატანებული იყო მრავალი ხის კოშკი, გადანყვიტეს გასცლოდნენ სიმაგრეს...“ „...სიმაგრე საესე იყო მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი აღება შეუძლებელია, რადგან ის მიუვალია...“ (იხ. ანაბასისი, V, 2; 6, 7).


არქეოლოგიური კვლევის შედეგად დასტურდება ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხეთში გამაგრებული სამოსახლოების გარკვეული, ჩამოყალიბებული სისტემის არსებობა. საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული როგორც დაბლობი, ასევე მთისწინეთი და ხეობები. კოლხური დასახლებები განცალკევებულ-სოფლური ტიპისა იყო, გაშენებული ბუნებრივ ბორცვებზე ან ხელოვნურად გაკეთებულ მიწაყრილებზე. ისინი გარკვეულ სისტემას ქმნიდა და გარშემორტყმული იყო თავდაცვითი თხრილებით. მთავარ სამშენებლო მასალას ხის ძელები წარმოადგენდა, რაც კოლხეთში ტყეების სიმრავლემ განაპირობა.

დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიურად დადასტურებული ხის უძველესი ნაგებობები ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება. შენობის აგების წესი კი ე.წ. ჯარგვალური იყო. ამგვარი ძეღური ნაგებობები დღესაც გვხვდება დასავლეთ საქართველოში.

ქსენოფონტისაგან განსხვავებით, ვიტრუვიუსი, როგორც არქიტექტორი, თავის თხზულებაში „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“, უფრო ზედმინვენით აღწერს კოლხეთის კოშკურა-ძელებიანი ნაგებობების კონსტრუქციას: „კოლხეთში ხე-ტყის სიუხვის გამო მიწაზე ხის ძელებს აწყობენ, შემდგომ გარდიგარდმო სხვა ძელებს ადებენ. ამგვარად იზღუდება ნაგებობის სივრცე. ოთხივე მხრივ შეკრული ძელების წყობით

თანდათან ამოჰყავთ ძელების კედლები, აგებენ კოშკებს, ძელებს შორის ადგილებს კი, რომლებიც ძელის სიმრუდის გამო რჩება, ავსებენ ნაფოტებითა და თიხით. ამგვარადვე ამოჰყავთ პირამიდული გადახურვა, რომლის ძელებიც თანდათანობით მოკლდება. ასეთი გადახურვა აქ დამახასიათებელია“ (II, I, 4, 50).

ძველი საქართველოს ხის არქიტექტურის შესწავლისათვის საინტერესო მაგალითია ვანის რ-ნის სოფ. მთისძირში ადგიშვილების გორის ზედა ტერასაზე არქეოლოგიურად შესწავლილი ძეღურ-ბათქაშიანი ნაგებობის ნაშთები. საშენ მასალად გამოყენებულია ძელები და ქვა. ძელებად ძირითადად ნახმარია თელა. ბათქაშის ნატეხებზე ძელების ანაბეჭდებია მიკვლეული. ქვისა და ძელების გარდა, ნახმარია თიხამინა, რაც გამოიყენებოდა შემაკავშირებელ-ამოსავსებ მასალად. ნაგებობა ძლიერი ხანძრის შედეგადაა გადამწვარი. ეს ნაგებობები ვანის ძველი ნაქალაქარიდან დასავლეთით, რვა კილომეტრზე




მთიანი კოლხეთის გამაგრებული სამოსახლოს რეკონსტრუქცია

მდებარეობს. აქ სამოსახლო გორის ტერასებზე იყო გამართული და ერთიან სასიმაგრო-თავდაცვით სისტემას ქმნიდა, რომელიც ვანისაკენ მიმავალ გზას კრავდა. ამგვარი გორების ტერასებზე აგებული ძეღურ-ბათქაშიანი სამოსახლოები ძირითადად ძვ.წ. III საუკუნის წინა პერიოდის კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი.

ადეიშვილების გორის ნაგებობა ოთხკუთხაა და ორი სათავისაგან შედგება. სამხრეთ სათავის ფართობია 26,88 კვ.მ, ხოლო ჩრდილოეთის – 13,44 კვ.მ. ამ სათავის დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია ძეღებით მოგებული იატაკი, რომელზედაც ზედა სართულის გადახურვის ძეღების ფრაგმენტები შეიმჩნევა. ნაგებობის კედლების საძირკვლის შიდა მხარე წარმოდგენილია ძეღებით. კედლის ფუნდამენტის შიდა ფართობი ამოვსებულია ქვებით, თიხამინით და გარდიგარდმო ძეღებით. ამგვარად, აქ იქმნებოდა ხის ძეღებით შემოსაზღვრული კვადრატების კარკასი, რაც ცოკოლს მეტ სიმტკიცეს აძლევდა. ნაგებობისათვის მეტი მდგრადობის მისაცემად მოხერხებულად არის გამოყენებული ბუნებრივი რელიეფი. ნაგებობის საძირკველში კლდის სტრუქტურა ირიბია და ზედაპირთან კუთხეს ქმნის. ამით ნაგებობას მეტი სიმტკიცე ეძლევა და მისი ჩამოშლის საშიშროება თავიდანაა აცილებული.

ადეიშვილების გორის ძეღურ-ბათქაშიანი ნაგებობა იქვე აღმოჩენილი ატიკური შავლაკიანი ჭურჭლით, ქიოსური, მენდეს ამფორებით და ადგილობრივი კერამიკით ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. ამ მონაცემებს მხარს უჭერს რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდით მიღებული თარიღიც, რომლითაც დანგრევის დრო ძვ.წ. 310 ± 40 წლით არის განსაზღვრული. აღწერილი ნაგებობა წარმოადგენს ცოკოლზე დადგმულ ძეღურ, თიხით შელესილ შენობას. აქ საქმე უნდა გვქონდეს ანტიკური ეპოქის ავტორების – ქსენოფონტეს, პომპონიუს მელას და დიონისიოს ჰალიკარნასელის თხზულებებში ნახსენებ კოლხეთის ხის ნაგებობების ნაირსახეობასთან.



სოფ. მთისძირის სასიმაგრო კოშკის რეკონსტრუქცია


ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულის, ერთი მხრივ, აზოს და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამონვეული საომარი მოქმედებების შედეგებით შეიძლება აიხსნას სოფ. მთისძირის ადგიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლოს დანგრევა. შესაძლოა, ამავე დროს დაანგრეს ვარციხესთან ვარდიგორის, ვანის ე.წ. თეთრი შენობა და მათი თანადროული ნაგებობები. როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების რთული პროცესი სწორედ ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მიმდინარეობდა. იმ დროისათვის შიდა კოლხეთი იბერიის სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული.

კოლხეთში ხის ძელებიანი ნაგებობები არქეოლოგიურად მრავლად არის დადასტურებული სოფ. ანაკლიაში (დიხა-გუძუბა I, II), სოფ. რეკში ნაოხვამოსთან, სოფ. საქორქიოში სიმაგრესთან, ქობულეთში ჩოლოქთან, სოფ. ნოსირში, ვანის ნაქალაქარზე, სოფ. ვარციხეში ვარდიგორასთან, ქუთაისში გა-

ბაშვილის გორაზე; ხოლო ასეთი ტიპის ნაგებობების ნაშთები, ხის ძელებისა და ბათქაშის სახით, დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გვხვდება. ეს არქეოლოგიური ძეგლები ქრონოლოგიურად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათში არქიტექტურული მემკვიდრეობა იგრძნობა. ძეღურ-ბათქაშიანი სამოსახლოები დამახასიათებელია კოლხეთისათვის, სადაც ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული ასეულობით ნამოსახლარია დადასტურებული მრავალრიცხოვანი სამოსახლო ბორცვებით, რომლებსაც დღეს „გორას“, „ზურგას“ და „დიხაგუძუბას“ უწოდებენ. კოლხეთის დაბლობის ამ სამოსახლო ბორცვებისათვის დამახასიათებელია გარშემო თხრილი.


ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თხრილებით გარშემოვლებულ ხელოვნურ ბორცვებზე სამოსახლოს გამართვას კოლხეთის დაბლობზე დიდი

კოლხეთის მთისწინეთის სამოსახლოს რეკონსტრუქცია



ხნის ისტორია აქვს. დასახლების ამნაირი ტიპი კოლხეთში შემთხვევით არ განვითარებულა. ის აქ არსებული გეოგრაფიული გარემოთი იყო განპირობებული; კერძოდ, დაბალი, ბრტყელი რელიეფითა და ჭაობიანობით. ასეთ სიტუაციაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების შესანარჩუნებლად აუცილებელი ხდებოდა ხელოვნური შემალღებების გაკეთება. თხრილის შექმნა ბორცვის გარშემო განპირობებული უნდა ყოფილიყო იმითაც, რომ ხელოვნური ბორცვისათვის მინა დიდი რაოდენობით იყო საჭირო; სრულიად ბუნებრივია, რომ მას ბორცვის მიმდებარე ადგილებიდან იღებდნენ. გარდა ამისა, თხრილს ჰქონდა თავდაცვითი მნიშვნელობა. ის მოსახლეობას იცავდა მტრისაგან, მტაცებელი ცხოველისა და წყლის სტიქიისაგან.

როგორც ჩანს, კოლხეთის საზოგადოება მოხერხებულად იყენებდა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს, ბუნებრივი ბორცვ-გორების ტერასებს და თვითონაც აქტიურად ზემოქ-



მედებდა მასზე ხელოვნური, თხრილშემოვლებული ბორცვების შექმნით. ორივე ეს ტიპი თანაარსებობდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ამგვარი სამოსახლოების გამართვის წესი კოლხეთში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იკიდებს ფეხს. დასახლების მოწყობა ხელოვნური ბორცვების მოზინვით, სპეციფიკურ კოლხურ მოვლენად არის მიჩნეული.


ანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, კოლხურმა სამოსახლოებმა ცვლილებები განიცადა. ზოგიერთი სამოსახლო, რომლებსაც უფრო კარგი, მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური ადგილმდებარეობა ეკავა, დანინაურდა და გარკვეული რეგიონის ქალაქური ტიპის ცენტრად ჩამოყალიბდა. ამ ცენტრს ჰქონდა მასზე დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია. ამ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ „ვანი“ საქალაქო ცენტრი იყო, ხოლო „მთისძირი“ მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო ტერიტორიაში შედიოდა. საქალაქო ცენტრს გარშემო გარკვეული თავდაცვითი სისტემა ჰქონდა, რომელიც მის უსაფრთხოებას ემსახურებოდა. ამგვარი გამაგრებული სოფელი იყო ძველი „მთისძირიც.“ ასეთი გამაგრებული სოფლები, ალბათ, განლაგებული იყო ქალაქისკენ მიმავალი კომუნიკაციების ჩასაკეტად. „მთისძირი“, ერთი მხრივ, აკონტროლებდა მდ. რიონის ხეობის მარცხენა ნაპირზე მიმავალ გზას, ხოლო მეორე მხრივ, მდ. ყუმურის ხეობიდან მომავალ გზას კეტავდა.

ძვ.წ. I ს. არქიტექტორის, ვიტრუვიუსის (II, I, 4) მიერ აღწერილი, კოლხური ძეგლებიანი ნაგებობა ადგიშვილების გორის ნაგებობისგან ძირითადად ცოკოლით განსხვავდება. შესაძლოა, აქ კედლის ჰორიზონტალურ ძეგლებზე დაყრდნობილი სახურავი ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი პირამიდულ-გვირგვინოვანი კონსტრუქციული სქემით აიგო, ან თივა-სელით გადაიხურა.

სოფ. მთისძირის ნაგებობა განსაკუთრებით სოფ. ვარციხის, ვარდიგორის, ქუთაისის გაბაშვილის გორის და ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ე.წ. თეთრ შენობას ჰგავს.

ისინი, ადგიშვილის გორის შენობასავით, ცოკოლზე მდგარი, ხის ძელებიანი ნაგებობებია. ამ ტიპის ნაგებობები კონსტრუქციულად ხის არქიტექტურის რამდენადმე ახალ, უფრო განვითარებულ ეტაპზე მიუთითებს. კოლხეთში თლილი ქვა, ალიზის აგური და კრამიტი მხოლოდ ძვ.წ. III საუკუნეში იკიდებს ფეხს. როგორც ჩანს, მანამდე ხე ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილა. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კომპებს, ზღუდე-მესრებს და გამაგრებულ სამოსახლოებს. კოლხეთში ხის მასალა უხვად იყო. სტრაბონი გადმოგვცემს: „...აქ იზრდება მრავალი ტყე“ (XI, II, 17). ამასვე აღნიშნავს ვიტრუვიუსი (II, I, 4): „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო...“ აშენებენ ხის ნაგებობებს.

სოფ. მთისძირის ადგიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლოს შესახებ, კომპებიან კომპლექსთან კონტექსტში, საყურადღებოა ანტიკური ეპოქის მწერლების ცნობების განხილვა, სადაც ქართველური მოსახლეობით, კოლხებით და მოსუნიკებით დასახლებული აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის



კოლხეთის დაბლობის თავდაცვითი სამოსახლოები

ტერიტორიებია აღწერილი. ქსენოფონტი გადმოგვცემს: „აღმართული იყო ზღუდე-მესერი მრავალი ხის კოშკით...“; „ბასილევსმა არ ისურვა, დაეტოვებინა მოსუინი ანუ გამაგრებული სამოსახლო, რომელიც გორაზე იყო აშენებული“; „გადაიწვა მთელი სამოსახლო, კოშკები გამაგრებული მესრით, გარდა შიდა ციხისა“ (იხ. ანაბასისი V, 2, 27; 4, 26; 2, 5). აპოლონიოს როდოსელი მოგვითხრობს: „ცხოვრობენ მოსუინიკები, რომელნიც საცხოვრებელს მართავენ ხის კოშკებში, რომლებიც კარგად არის ერთმანეთში შეკრული სასიმაგრო მესრით. ამ ნაგებობებს ეძახიან მოსუინებს“ (არგონავტიკა, II, 378-380). დიონისიოს ჰალიკარნასელის თქმით: „...ცხოვრობენ კოშკებიან ხის ძელებიან მაღალი ზღუდე-მესრით გარემოცულ ფართობებზე, რომელსაც უწოდებენ მოსუინებს“ (რომის სიძველეთმცოდნეობა, I, 26, 2). პომპონიუს მელა წერს: „მოსუინები ცხოვრობენ ხის კოშკებში“ (ქვეყნის აღწერილობა, I, 106).

ამგვარად, არქეოლოგიური მასალისა და ძველი წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. III საუკუნის წინა პერიოდში გავრცელებული იყო ბორცვსა და გორაზე გამართული, ძელურ-ბათქაშიანი, ძელებიანი მესრით შემოზღუდული, კოშკებჩართული კომპლექსები, ხისაგან ნაგები გამაგრებული სამოსახლო, რომელსაც მოსუინი ეწოდებოდა.

სოციალურად, ადგიშვილების გორისნაირი გამაგრებული ბორცვ-გორები, ალბათ, ნათესაობრივ თემებს წარმოადგენდა, რომელთა თავშიც ადგილობრივი ხელისუფალი, ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით, ბასილევსი იდგა. შესაძლოა, ასეთ ადგილობრივ ხელისუფალს ეკუთვნოდა სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ნაგებობების თანადროული მდიდრული სამარხი (იხ. გამყრელიძე, 1982: 69).

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ფარნავაზ-ქუჯის დროინდელ იბერია- კოლხეთში

ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნებისათვის, როგორც კოლხეთი და იბერია იყო, სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამის გათვალისწინება აუცილებელია იბერია-კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხების ასახსნელად. სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორი ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილის ნაწილია. მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უკეთურ გავლენას ახდენენ. კონსტრუქციულია, მაგალითად, სამეურნეო-კულტურული ინოვაციები; დესტრუქციულია საომარი თავდასხმის შედეგად ქვეყნის დაპყრობა, საზოგადოებრივი წყობის ტრადიციული სტრუქტურების შეცვლა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად სოფლებისა და ქალაქების დანგრევა, მატერიალურ ფასეულობათა ძარცვა-განადგურება, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლის მოშლა.

საომარ მდგომარეობაში ყოფნა, ომისათვის მზადება გამოორჩეულ წინამძღოლ-პიროვნებათა აღზევებას, საზოგადოების შეკვრა-მობილიზებას და მეტ ორგანიზებულობას განაპირობებდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანასა და სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში გამოიხატებოდა. ჩამოყალიბებულ, განვითარებულ სახელმწიფოში „საომარი ფაქტორი“ დადებით – ქვეყნის კონსოლიდაცია-დარაზმულობას, საზოგადოებრივი წესრიგის



ფარნავაზი

ამაღლებას, საფორტიფიკაციო-კომუნიკაციურ მშენებლობას ან უარყოფით – სახელმწიფოებრიობის დაკარგვას, ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლას, ეკონომიკურ ზარალს იწვევდა.

აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე ძველი საქართველო, იბერია-კოლხეთი სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის, ერთი მხრივ, ირანული და, მეორე მხრივ, ანტიკური ორიენტაციის ქვეყნების საომარი მოქმედებების ასპარეზი იყო.

ასეთ გარემოცვაში მყოფი საქართველო ძლიერი მეზობელი ქვეყნებისაგან ხშირ აგრესიას განიცდიდა. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს აგრესიულმა მეზობლობამ ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია. მოცემულ საომარ ფაქტორს შემდგომში, კოლხეთისა და იბერიის სამეფოების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში, საგრძნობი როლი უნდა შეესრულებინა.

ძვ.წ. 720-ანი წლებიდან წინა აზიაში ე.წ. კიმერიულ-სკვითური ტომების (რომლებიც ალბათ ერთი მოდგმისანი იყვნენ) პერმანენტული ბრძოლებით შემოჭრა იწყება. ეს ნომადური მეომარი ტომები მომთაბარედ ცხოვრობდნენ და ცხენების მეშვეობით სწრაფად გადაადგილდებოდნენ. ისინი მთელი ჯალაბობითა და ქონებით მოძრაობდნენ. კიმერიულ-სკვითების საომარი ტაქტიკის ძირითადი საფუძველი იყო მსუბუქად შეიარაღებული სწრაფი ცხენოსნები, რომლებიც ელვისებურად მოქმედებდნენ. მათი ყველა მამაკაცი მოლაშქრე იყო. ისინი რკინის სპეციფიკურ შეიარაღებას – მშვილდ-ისრებს, სატევ-

რებს, ცულებს იყენებდნენ. კიმერიელ-სკვითების ნომადური, აგრესიული ტომობრივი გაერთიანებები ყუბან-ყირიმისპირეთის ტრამალეებიდან შავი ზღვის ჩრდილოეთი და დასავლეთი სანაპიროს გაყოლებით ბრძოლებით მოძრაობდნენ. ისინი ბოსფორ-დარდანელის სრუტის გადალახვით შეიჭრნენ წინა აზიაში და იმ დროის მდიდარ, მონინავე ქვეყნებს დაერივნენ. კიმერიელ-სკვითებმა დაარბიეს და დააქციეს მთელი რიგი ქვეყნები. ბრძოლებით გაიარეს წინა აზია და აქ გეოპოლიტიკური სიტუაცია გარკვეულწილად შეცვალეს.

ქართველური მოსახლეობით დასახლებული სამხრეთ ტრანსკავკასიის ტერიტორიაზე მისვლისას მათი საომარ-აგრესიული პოტენციალი, პერმანენტული ბრძოლების შედეგად, უკვე მნიშვნელოვნად დასუსტდა. შესაძლოა, რომ ამ დროისათვის კიმერიელ-სკვითების ნაწილი ასიმილირდა ადგილობრივ მოსახლეობაში, ნაწილი კი ჩადგა ადგილობრივ ხელისუფალთა სამსახურში. მაგალითად, ურარტუს მეფე რუსა II-ის (ძვ.წ. 685-645 წწ.) ჯარში კიმერიელებიც იბრძოდნენ. კიმერიელ-სკვითთა დიდი ლაშქრობები არ შეჰხებია ტრანსკავკასიას. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში არ ჩანს კიმერიულ-სკვითური ტომების პირველი ტალღის დამადასტურებელი არტეფაქტები. აქ ზოგადად ძვ.წ. VII ს-ის ბოლოთი და VI ს-ით დათარიღებული ე.წ. სკვითური მატერიალური კულტურის ელემენტები მცირე რაოდენობით ჩანს. კერძოდ, ესენია: აკინაკები, ქარქაშის ბუნიკები, ცულები, ცხენის ლაგმები. ამის დასტურია არქეოლოგიური მონაცემები სოფ. კოლხიდიდან, ყულანურხვიდან, ჩობანლუკიდან, გუადიხუდან, წითელი შუქურიდან, სოხუმიდან, მერხეულიდან, პალურიდან, ნიგეზიანიდან, ბრილიდან, თლიადან, როკიდან, დვანიდან, წინამურიდან, სამთავროდან, ხოვლედან, დიღმიდან, ბეშთაშენიდან, კუმისიდან, შულავერიდან და მელაანიდან. საყურადღებოა აგრეთვე, რომ საქართველოს არქეოლოგიურ მონაცემებში არ ჩანს ე.წ. სკვითების რაიმე საომარი მოქმედების

კვალი. თუმცა არქეოლოგიური მასალიდან ისიც ირკვევა, რომ ადგილობრივი კულტურისათვის დამახასიათებელ ელემენტებთან ერთად, ზოგიერთ სამარხში იშვიათად ე.წ. სკვითურისათვის მიკუთვნებული ესა თუ ის ნივთიც ჩნდება. ამდენად, მათი მცირე ნაწილის ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია არ არის გამოსარიცხი. ალბათ, ეს სწორედ ის ნაწილია, რომელმაც ადგილობრივ მოსახლეობას, სამხედრო საქმის თვალსაზრისით, ახალი, მსუბუქად შეიარაღებული, სწრაფ ცხენოსან-მეომართა ტაქტიკა და იარაღი გააცნო.

ძვ.წ. VI საუკუნეში აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა ირანის სახელმწიფო, რომელსაც სათავეში აქემენიანთა დინასტია ჩაუდგა. მათი უზარმაზარი იმპერია გადაჭიმული იყო ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე და სპარსეთის ყურიდან არალის ზღვამდე. მისი გავლენა კავკასიის სამხრეთითაც ვრცელდებოდა. ძვ.წ. IV საუკუნეში ბერძენ-მაკედონიელებმა ალექსანდრე დიდის წინამძღოლობით დაიმორჩილეს ირანის აქემენიანთა სახელმწიფო. ინდოეთიდან ბალკანეთამდე გადაჭიმული ალექსანდრეს ვრცელი იმპერია, აქემენიანთა იმპერიის მსგავსად, განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგარ ხალხთა ძალადობრივი გაერთიანების შედეგად წარმოიშვა. ამის გამო ალექსანდრეს იმპერია ძვ.წ. 323 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ დაიშალა. ის ალექსანდრეს მემკვიდრე სარდლებმა დაინაწილეს. აზიური ნაწილი ერთ-ერთ სარდალს, სელევკს ერგო და ამიტომ ამ სახელმწიფოს სელევკიდების სახელმწიფო ეწოდა. სელევკიდების უზარმაზარი სახელმწიფოც ეთნიკურად მრავალფეროვანი და გაერთიანებისათვის საჭირო ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ საფუძველს მოკლებული იყო. ამიტომაც მალევე თავი იჩინა ამ სამეფოს დაშლის წინაპირობამ. ძვ.წ. II საუკუნეში სელევკიანთა სახელმწიფოს გამოეყო პართიის, პონტოს და არმენიის სამეფოები.

ძვ.წ. VI საუკუნეში ქართველური ხალხით დასახლებულ ცენტრალურ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკა-

სიას აქემენიდური ირანის იმპერია დაუმეზობლდა. ამ იმპერი-
ამ, ბუნებრივია, დიდი როლი ითამაშა ტრანსკავკასიის ქვეყ-
ნების განვითარებაზე. აქემენიდებმა ტრანსკავკასიის სრული
დამორჩილება ვერ შეძლეს, ალბათ რთული რელიეფისა და გე-
ოპოლიტიკური ვითარების გამო, მაგრამ სამხრეთ ტრანსკავ-
კასიაზე კი განავრცეს თავიანთი ზეგავლენა. მათ დაიმორჩი-
ლეს ეს ტერიტორიები, იმპერიის XIX სატრაპიაში შეიყვანეს
და წლიურად 300 ტალანტს ოქროთი ახდევინებდნენ (ჰეროდოტე, ისტ. III, 94).

ძვ.წ. 400-ანი წლებისთვის აქემენიდებს კოლხები, მოსუინი-
კები და ხალიბები აღარ ემორჩილებოდნენ (იხ. ქსენოფონტი,
ანაბასისი, VII, 8, 25). ირანის მეფე არტაქსერქსე II-ს (ძვ.წ.404-
359წწ.) აუმხედრდა ძმა, კიროსი, რამაც განაპირობა აქემენი-
დიანთა გავლენის ერთგვარი დასუსტება იმპერიის პერიფერი-
ებში და მათ შორის სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაშიც.

მცირე აზიაში, კაპადოკიისა და ლიდიის მმართველმა უფ-
ლისწულმა კიროსმა ძვ.წ. 401 წელს ირანის მეფე არტაქსერ-
ქსე II-ის წინააღმდეგ სამეფო ტახტის წასართმევად ომი წა-
მოიწყო. ამ ომში ბერძენი დაქირავებული მეომრების ერთ-ერ-
თი სამხედრო ხელმძღვანელი იყო ქსენოფონტი, რომელმაც
აღწერა ბრძოლები და ის ტერიტორიები, სადაც ქართველური
მოდგმის ხალხი ცხოვრობდა. ქალაქ ბაბილონთან მომხდარი
ბრძოლის შედეგად უფლისწული კიროსი დაიღუპა, ხოლო მი-
სი ჯარი დაიშალა. დაქირავებული, ომებში გამობრძმედილი
10000 მეომარი ბერძენი სამშობლოსკენ გაემართა. გზად მათ
სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაზე გაიარეს, ადგილობრივ
ქართველურ მოსახლეობასთან უმეტესად ბრძოლით, ხოლო
ზოგჯერ მოლაპარაკებებით მძიმედ და რთულად იკავებდნენ
გზას. 10000-იან ჯარს დიდი რაოდენობით სურსათი სჭირდე-
ბოდა, რაც ბერძენი მეომრების ადგილობრივებთან ბრძოლის
ძირითადი მიზეზი იყო. ზოგ გამაგრებულ ქალაქს, რომელიც
მოიცავდა სიმაგრეთა მთელ სისტემას, შტურმით იღებდნენ,

ზოგს კი ვერ იღებდნენ და გვერდს უვლიდნენ. ბერძენმა მეომრებმა მრავალი გამაგრებული ქალაქი გაიარეს, რომელთა გამაგრების სისტემა, ქსენოფონტის გადმოცემით, სხვადასხვანაირი იყო. მაგალითად, მათ ვერ შეძლეს ერთ-ერთი ციხესიმაგრის აღება: „როდესაც ბერძნები ამ მთიან ქვეყანაში მივიდნენ, ადგილობრივებმა ...გადანვეს და მიატოვეს თავისი სიმაგრეები, რომლებიც ადვილად ასაღებად ეჩვენებოდათ...“. „...ერთი ციხესიმაგრე მათი დედაქალაქი იყო...“, „...მას გარშემო ღრმა თხრილი ჰქონდა და ამიტომ ასაღებად სახიფათო იყო. მეომრებმა ... იერიში მიიტანეს ციხესიმაგრეზე. მათ უკან მისდევდნენ მელაფეები, რომლებიც სურსათს და სხვა ქონებას აგროვებდნენ.“ „...როცა ბერძნებმა იერიშით ვერ შეძლეს ციხესიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო განიერი თხრილი და მინის ყრილი ჰქონდა შემოვლებული, ზედ კი ხის კედლები და მრავალი კოშკი იყო აღმართული, გადანყვიტეს გასცლოდნენ სიმაგრეს; მაგრამ ადგილობრივები თავს დაესხნენ ბერძნებს. გაქცევა შეუძლებელი იყო, რადგან სიმაგრიდან ხრამის გადალახვა ძნელი იყო.“ „...სიმაგრე სავსეა სიმდიდრით, მაგრამ მისი აღება შეუძლებელია, რადგან ის მიუვალა და არც უკან დახევაა ადვილი, რადგან სიმაგრის დამცველები სწრაფად გამოვარდებიან ხოლმე ციხესიმაგრიდან და ბრძოლას გვიმართავენ“ (იხ. ანაბასისი, V, 2, 3-7). ამ ბრძოლებში ბერძენთა რაზმები უკუიქცნენ, ბევრი დაიღუპა და დაიჭრა.

ქსენოფონტის ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაში მცხოვრები ქართველური მოსახლეობა კარგად ფლობდა მაშინდელი სამხედრო საქმის ძირითად ელემენტებს. კერძოდ, მათ ჰქონდათ სასიმაგრო-ფორტიფიკაციული სპეციალური ნაგებობები – თხრილები, ხის სასიმაგრო კედლები, კოშკები, შიდა ციხეები, მინაყრილები; ასევე ჰქონდათ იმ დროისათვის მონინავე რკინის იარაღი: შუბი, სატევარი, ცული, მშვილდ-ისარი; ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებები – ფარი, მუზარადი, ჯავშანი; ფლობდნენ სა-

ომარ-ტაქტიკურ ხერხებს – სწრაფი იერიში, გადაჯგუფება, რელიეფის მოხერხებულად გამოყენება; იყვნენ ბრძოლაში მამაცნი, მოხერხებულნი და შეუპოვარნი (იხ. ანაბასისი III-V).


ძვ.წ. 401 წელს კოლხთა და ბერძენთა ჯარის შერკინების შესახებ ბერძენების მხედრობის ერთ-ერთი მეთაურის, ქსენოფონტის წერილობითი აღწერაა შემონახული. ეს ბრძოლა კოლხეთის სამფლობელოების საზღვართან, მაღლობზე მომხდარა. ამ მაღლობის ტრადიციული ბერძნული ფალანგით, ბერძენთა ჯარის მთავარი ტაქტიკური დანაყოფით აღება რთული, მთაგორიანი რელიეფის გამო მარტივი არ იქნებოდა. მთაგორიან ადგილზე ფალანგის ქვეითთა მწკრივები უთუოდ აირეოდა და დამარცხდებოდა. ამიტომ ბერძენთა ჯარის სარდლების – ქსენოფონტის, ესქინე აკარნანელისა და კლევანორე ერქომენელის გადანყვეტილებით, „ფალანგა“ დაყვეს ასეულებად და ცალ-ცალკე, ფრონტალურად განალაგეს მოწინააღმდეგის სამხედრო ძალის მთელ პერიმეტრზე. ეს მოხდა იმგვარად, რომ მათი წყობა კოლხების წყობის ხაზს სჭარბობდა, რაც ბერძნებს ფლანგებიდან შეტევის საშუალებას მისცემდა. ლოხების ერთი მეორისაგან დაცილებული მწკრივის წინ განალაგეს სამი, თითოეულში 600-მდე მსუბუქად შეიარაღებული მეომარისაგან შემდგარი, მობილური, სწრაფი დანაყოფი. ამ ჭარბმა ძალებმა იერიში მიიტანა მაღლობზე მდგარ კოლხთა განლაგებაზე და შეუპოვარი ბრძოლის ფასად სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლე აიღეს. ამ ბრძოლის შედეგად ბერძნები კოლხების ქვეყანაში შეიჭრნენ და შავი ზღვისაკენ გზა გაიკაფეს. შემდეგ ისინი სანაპიროზე, კოლხების ქვეყანაში, მჭიდროდ დასახლებულ ქალაქ ტრაპეზუნტში შევიდნენ (იხ. ანაბასისი IV-VIII).

როგორც ჩანს, კოლხეთის სამხედრო ხელმძღვანელობას დაზვერვის ცნობები ჰქონდა ბერძენთა საომარი გადაადგილების შესახებ. ამიტომ კოლხთა ლაშქარი საბრძოლველად მზად იყო და საზღვართან სტრატეგიულ მაღლობებზე იდგა.

ეს ადგილი აღმოსავლეთ პონტოს და ლაზეთის მთიანეთში უნდა ყოფილიყო, რომელიც ამჟამად თურქეთში მდებარეობს. კოლხები მართებულად მოიქცნენ, როცა თავიანთი მხედრობა სტრატეგიულ სიმაღლეზე განაღებეს. კოლხთა ძირითადი დანაყოფის სპეციალურ წყობას ბერძნების მხრიდან ამ ბრძოლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა „კოლხური ფალანგა“ უწოდა (იხ. ანაბასისი IV, VIII, 17). ბერძენთა ჯარის ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად ჩათვალა კოლხთა ლაშქრის ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიცია და ტაქტიკური წყობა. ამის გამო ბერძნებმა ბრძოლის ტრადიციული ტაქტიკა შეცვალეს. ეს კი იმას მოწმობს, რომ „კოლხური ფალანგა“ საკმაოდ საშიში ძალა იყო.

ბერძნულ-დორიულ ფალანგას მახვილებით, შუბებით, ფარებით, მუზარადებითა და ლითონის ჯავშნებით მძიმედ შეიარაღებული მეომრების, ჰოპლიტების მწკრივებად დალაგებულ მწყობრს უწოდებდნენ, რომელიც მთელ საბრძოლო ხაზზე იყო განლაგებული. ფალანგა ბერძენთა ჯარის ძირითად ტაქტიკურ დანაყოფს წარმოადგენდა და სწორ რელიეფზე მოქმედებისას შემჭიდროვებულ დამრტყმელ ფრონტის ხაზს ქმნიდა, რაც მას მრისხანე ძალად აქცევდა. ფალანგის მწკრივების სისწორისათვის აუცილებელი იყო ფეხანყობილი სიარული, რაც მკაცრი წვრთნით, დისციპლინითა და მუსიკალური საკრავებით ტაქტის დაცვით მიიღწეოდა. ბერძნულმა სამხედრო წყობამ, ფალანგამ, იმ ეპოქაში არაერთხელ ნათელყო უპირატესობა ცალკეულ ჯგუფებად მოქმედ მეომრებთან შედარებით.

ძვ.წ. 401 წელს მომხდარი ბრძოლის დროს, როგორც ამას ბერძენთა ერთ-ერთი სარდალი – ქსენოფონტი გადმოგვცემს, კოლხების ფალანგა ბერძნების შეტევისას სწრაფად, მწყობრად ორად გაიყო. ამის შედეგად ფალანგის ერთი ნაწილი მარჯვნივ, ხოლო მეორე მარცხნივ გადაჯგუფდა. ამ ქმედებით კოლხების ხელმძღვანელობამ გარკვეული მანევრი ჩაატარა. მათ ფალანგის ცენტრალური ნაწილის გახსნით ისეთი მდგო-



კოლხებსა და ბერძნებს შორის ბრძოლის სქემა

მარეობა შექმნეს, რომ ბერძნები შეეტყუებინათ და შემდგომ ფლანგებიდან აპირებდნენ შეტევას. მოცემული მანევრით კოლხებმა თავიდან აიცილეს ბერძენი მეომრებისაგან გარშემოვლის საშიშროება. კოლხებმა ტაქტიკურად სწორი მანევრი განახორციელეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ბერძენი მეზობლების რიცხოვნობა სიმრავლემ ითამაშა. ისინი 10000-მდე იყვნენ.

ზემოხსენებული კოლხთა ფალანგის მანევრი – წინასწარ სტრატეგიულ სიმაღლეზე განლაგება, იმის მაჩვენებელია, რომ კოლხებს სამხედრო საქმე არც თუ ცუდად ჰქონდათ. ჩანს, ისინი ბერძნულ, იმ დროისათვის მოწინავე სამხედრო ხელოვნებასაც კარგად იცნობდნენ. კოლხებისა და ბერძნების ბრძოლის ამბავს ქსენოფონტი მოკლედ შემდეგნაირად გადმოგვცემს: „როდესაც მოწინააღმდეგემ (ბერძენი მეომრები) შენიშნა, ისინი (კოლხი მეომრები) გამოემართნენ მათკენ და ამის მერე გაიშალნენ ნაწილი მარჯვნივ, ხოლო ნაწილი – მარცხნივ; ამგვარი გადაჯგუფებით თავისი ფალანგის ცენტრში

ფართო დერეფანი შექმნეს“ (ანაბასისი, IV, VIII, 17).

კოლხებმა ჯერ კიდევ ძვ.წ. 401 წ. ზემოხსენებულ ბრძოლაში, მონინალმდეგის ქარბი ძალების წინააღმდეგ, ე.წ. ქიმიური იარაღის მაგვარი რამ გამოიყენეს. კერძოდ, როცა ბერძენმა ჯარისკაცებმა აიღეს და დაიკავეს კოლხების დასახლებული პუნქტები, იქ ადგილობრივებისაგან დატოვებული თაფლი ნახეს. ბერძენ „მეომართაგან ყველამ, ვინც კი თაფლის ფიჭა შეჭამა, გონება დაკარგა, ალებინა, კუჭი აშალა და არც ერთს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. ისინი, ვინც ცოტა ჭამა, მთვრალეებს ჰგავდნენ, ხოლო ვინც ბევრი – მომაკვდავებს. უმრავლესობა ეყარა ისე, როგორც დამარცხების შემდეგ ბრძოლის ველზე“ (იხ. ანაბასისი IV, 8, 20-21). კოლხი მებრძოლების ამ ტაქტიკურმა ფანდმა ბერძენი მეომრები მწყობრიდან გამოიყვანა და მათი შეტევა რამდენიმე ხნით შეაჩერა.

სპეციფიკური თაფლის საომარი მიზნით გამოყენება წერილობით წყაროებში ძვ.წ. I საუკუნეშიცაა დადასტურებული. ეს ამბავი დაახლოებით იმავე ადგილებში მოხდა. კერძოდ, რომაელ სარდალ პომპეუსს „...ამოუწყვიტეს 350-მეომრიანი რაზმი, რომელიც ამ მთებში მოძრაობდა. ადგილობრივებმა გზაზე მეომრებს ჭურჭლით დაუდგეს გამაცოფებელი თაფლი,“ რომაელმა მეომრებმა „...შეჭამეს ის და გონება დაკარგეს; მაშინ მათ თავს დაესხნენ და ადვილად ამოხოცეს“ (სტრაბონი XII, III, 18). ასევე ე.წ. ქიმიურ იარაღად შეიძლება ჩაითვალოს სპეციფიკური შხამიანი, მომწამვლელი ნივთიერებით დაფარული ისრისპირები, რომელთა მოხვედრის შემთხვევაში მონინალმდეგის მეომრები მცირე ჭრილობითაც სწრაფად იღუპებოდნენ (იხ. სტრაბონი XI, II, 19).

მოგვიანებით კოლხეთში სამხედრო მოქმედებების დროს გამოიყენებოდა ე.წ. „მედეას ზეთი“ – ნავთობისა და სხვა კომპონენტების ნაზავი, რომელიც თანამედროვე „ნაპალმს“ ჰგავდა თავისი მოქმედებით. კერძოდ, ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღწერს კოლხეთში ქ. ფასისიდან

სამხრეთით ციხე-ქალაქ პეტრაში, დღევანდელ ციხისძირთან (ქ. ქობულეთთან), 550 წელს რომაელებისა და ირანელების ბრძოლას, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობაც იღებდა მონაწილეობას: „მათ აავსეს ქოთნები გოგირდით, ასფალტითა და ერთი საწამლავით, რომელსაც მიდიელები ნავთს ეძახიან, ელინები კი „მედეას ზეთს“, მოუკიდეს მათ ცეცხლი და ესროდნენ კედლის დამანგრეველ მანქანებს, რომელთა უმეტესობა დაწვეს“, „...მონინალმდეგემ დიდხანს ვერ გაუძლო ამას; ვინაიდან ცეცხლი, სადაც კი მოედებოდა, მაშინვე აგიზგიზდებოდა.“ „ცეცხლი ავარდა, მოედო და კოლხი მედეას სახელით ცნობილი ზეთისა და სხვა ნივთიერებათა წყალობით, მთელი კოპკი და იქ მყოფი ირანელი მეომრები დაწვა“ (, VIII, 11, 36-40).

სამხედრო საქმის განვითარების გარკვეულ დონეზე მიუთითებს ალბათ ისიც, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. 400-იან წლებში მოიხსენიებიან ქართველური წარმომავლობის მეომრები, რომლებიც აქემენიდთა ირანის სახელმწიფოს ჯარში მოქირავნეებად მსახურობდნენ, მაგალითად: „...ტირიბაზს ჰყავს ჯარი და მოქირავნეები: ხალიბები და ტაოხები“ (ანაბასისი IV, 4, 18). ისინი იბრძოდნენ გასამრჯელოსათვის და, ბუნებრივია, პროფესიონალი მეომრები იყვნენ ქსენოფონტის ბერძენი მეომრების მსგავსად, რომლებიც უფლისწულმა კიროსმა დაიქირავა. მოქირავნეებზევეა ლაპარაკი ჰეროდოტესთანაც, როცა ის აღწერს ირანის მეფე ქსერქსეს მიერ, ძვ.წ. 480 წელს საბერძნეთში ლაშქრობას (ისტ. VII, 53-79). დაქირავებული მეომრები უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე მითრიდატე VI-ის ჯარში მყოფი იბერი მეომრებიც, რომლებიც იბრძოდნენ „საჩუქართა მიღების სურვილის გამო“. იქვე აღნიშნულია, რომ „ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი ჯარი იდგა. ჯარს წინ ცხენოსანი მშვილდოსანი მარდები და შუბოსანი იბერების სპეციალური დანაყოფი უძღოდა. უცხო მეომართა შორის ყველაზე დიდ ნდობას, როგორც საუკეთესო მე-

ომრებს...“ (იხ. პლუტარქე, „ლუკულუსი“ 26, 30), სარდლობა სწორედ მათ უცხადებდა.

ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევარში წინა აზიაში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა. აქემენიდთა ირანის იმპერია ალექსანდრე მაკედონელის ბერძენ-მაკედონელთა ძლიერ არმიასთან ბრძოლებში დაემხო. ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 356-323 წწ.) სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეობის შედეგად ხმელთაშუა ზღვიდან მდ. ინდამდე გადაჭიმული სამყარო შეიცვალა. აღმოსავლეთის ქვეყნები ბერძენ-მაკედონელთა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების არეალში მოექცა.

ალექსანდრე დიდის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიისათვის დამახასიათებელი იყო მონინალმდევის რესურსებისა და სამხედრო ძალების წინასწარი ყოველმხრივი შესწავლა-დაზვერვა; ახალი სამხედრო ტაქტიკა – ე.წ. მაკედონური ფალანგა და ტექნიკა – ინდივიდუალური შეიარაღება და სააღყო მანქანები; ზურგის საიმედო მომარაგებისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფა; მონინალმდევის მთავარი ძალის განადგურებისაკენ სწრაფვა; სტრატეგიული ჩანაფიქრის სისტემური, თანმიმდევრული და მიზანსწრაფული განხორციელება.

ძვ.წ. 334 წელს მცირე აზიაში ომისთვის ალექსანდრე მაკედონელს კარგად ორგანიზებული და მკაცრად დისციპლინებული 50000-იანი რეგულარული არმია

ჰყავდა მომზადებული. მისი არმია შეიარაღების მიხედვით შედგებოდა მძიმედ, საშუალოდ და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითებისა და მხედრებისაგან. ამგვარი, ახალი ორგანიზაციული დაყოფა მთლიანობაში არმიის ტაქტიკური მანევრების საშუალებას მკვეთრად ზრდიდა. მძიმედ



ალექსანდრე დიდი


შეიარაღებული ქვეითები და მხედრები ელიტურ დანაყოფებს წარმოადგენდნენ. ალექსანდრეს არმიის მთავარი დანაყოფი „მაკედონური ფალანგა“ იყო, რომელიც 15-დან 20-მდე მწკრივისაგან შედგებოდა. პირველი მწკრივის მეომრების შუბებს უკანა მწკრივის გრძელი შუბებიც ემატებოდა. ამგვარად შუბის წვერების მრისხანე კედელი იქმნებოდა. ფალანგის წინ მსუბუქად შეიარაღებული მობილური ჯგუფები მიდიოდნენ, ხოლო ფალანგებს მძიმედ შეიარაღებული მხედრები ამაგრებდნენ; არიერგარდში მსუბუქად შეიარაღებული მხედრები მოძრაობდნენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი რაოდენობისა და ტაქტიკური დანაწილების არმიისათვის ძნელი იქნებოდა მთაგორიანი რელიეფის მქონე ქვეყანაში, მაგალითად, კავკასიაში ან აღმოსავლეთ ანატოლიაში წარმატებული მოქმედება. ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რის გამოც ალექსანდრე მაკედონელს კავკასიაში პირადად არ ულაშქრია. მაგრამ აქ შესაძლოა მაკედონელების მხარდაჭერით სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის ერთ-ერთი ქართველური გაერთიანების, „არიან ქართლის“ ხელმძღვანელმა, პატრიკმა აზონმა ილაშქრა; კერძოდ: „შემდგომად ამისსა გაძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრო ყოველი ქვეყანა, და აღმოვიდა ქვეყანასა ქართლისასა (უნდა ვიგულისხმეთ მაკედონელების მიერ მხარდაჭერილი, პატრიკი აზონი); და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლს – ნუნდა, ხერთუისი მტკუორისა, ოძრხე მოკიდებული კლდესა ლადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქუიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა და რუსთავი, და დედა-ციხე სიმშუილდე, და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი. ამათ ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი; და განუყო ლაშქარი თუისი და ყოველთა ამათ ციხე-ქალაქთა გარემოადგინნა, და თუით დადგა მცხეთას. და დაუდგინ-

ნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ, და თუით დადგა ქსანს ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქუიან ნასტაკისი“ (იხ. ქ. ც., I: 17-18). აქ დასახელებული ციხე-ქალაქების უმეტესი ნაწილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად სადღეისოდ დოკუმენტურად არის დადასტურებული.

მეორე წერილობითი წყარო გადმოგვცემს: „...თანა-ჰყვან-და ალექსანდრეს მეფესა აზო(ნ)ი, ძე არიან ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად...“ (იხ. ძ. ქ. ა. ლ. 1963: 81). ციხე-ქალაქ სარკინეს ალებით ქართველური მოდგმის გაერთიანებებს შორის ქიშპობა დასრულდა. ქართლში მაკედონელთა მიერ აღზევებულმა აზონმა ხელთ იგდო ძალაუფლება. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ქართლში აზონის მიერ განსხვავებული წესრიგის დამყარება დაიწყო და მმართველობის ახალი – პრობერძნულ-მაკედონური – ფორმები შემოვიდა. აზონის ხელისუფლებას „ასი ათასი კაცი“ იცავდა. ქართლის ანუ იბერიის სამეფოს კონსოლიდაციის პროცესი, როგორც ჩანს, მტკივნეულად მიმდინარეობდა. ცალკეული მხარეების წარჩინებულ მეომართა გუნდები უცხო ძალის გამოყენებაში ხედავდნენ გამოსავალს, რათა უპირველესები გამხდარიყვნენ და მთელი ძალაუფლება ხელთ ეგდოთ. ამ დაუნდობელ ბრძოლებში ხან „ბუნთურქებს“, კიმერიელ-სკვითებს, ხან ირანელებს, ხანაც ბერძენ-მაკედონელებს იყენებდნენ. გარკვეულ ეტაპზე პატრიკიოსმა, „მამაუფალმა“ აზონმა ბერძენ-მაკედონელთა დახმარებით იმძლავრა. თავისი ძალაუფლების გასამაგრებლად აზონმა ცალკეულ წარჩინებულთა და მათ მხარდამჭერთა მიმართ უმკაცრესი ღონისძიებები გაატარა (იხ. ქ. ც., I: 20).

აზონს დაუპირისპირდა მცხეთელი წარჩინებული ფარნავაზი თავისი მომხრეებით, რომელიც აგრეთვე გარკვეულწილად უცხო ძალას დაეყრდნო. ამ დაპირისპირებას აზონის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. ფარნავაზს შეუკავშირდა კოლხეთის ანუ ეგრისის გავლენიანი წარჩინებული პირი ქუჯი



და ორივემ ერთად აზონის წინააღმდეგ საომარი სამზადისი დაიწყო. მათ აზონის მკაცრი პოლიტიკით უკმაყოფილო სხვა წარჩინებული მხედრებიც მიიმხრეს და უცხო ტომის ხალხსაც უხმეს. ამით „განიმრავლეს სპანი“ და „ეგრისით შეკრიბეს ურიცხუნი სპანი და მომართეს აზონს“ (ქ. ც., I: 23). ჩანს, კოლხეთი ფარნავაზის წინააღმდეგობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. აზონისა და ფარნავაზ-ქუჯის შეიარაღებულ მომხრეთა შორის შეტაკება-საბრძოლო მოქმედებებით გამოწვეული ნგრევის მოწმობაა ალბათ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ძვ.წ. IV ს. მიწურულის გადამწვარი ნამოსახლარები. ასეთი დანგრეულ-გადამწვარი ნამოსახლარები არქეოლოგების მიერ შესწავლილია სოფ. მთისძირში, ადეიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლო, სოფ. ვარციხესთან ვარდიგორა, ვანის ნაქალაქარზე ე.წ. თეთრი შენობა და 211, 193 ნაკვეთების ძეღურბათქაშიანი ნაგებობა; ასევე სამადლოს, ციხი-აგორას, ურბნისის გადამწვარი სასიმაგრო ნაგებობები.

ბრძოლებში დამარცხებულმა აზონმა კლარჯეთში, სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიისკენ დაიხია და იქ თავის სამემკვიდრეო მამულში გამაგრდა. ფარნავაზსა და აზონს შორის გადამწყვეტი ბრძოლა ქალაქ არტაანთან, მდ. მტკვრის ზემო დინებაზე, დღევანდელ ქ. არდაჰანთან მოხდა. აქ „... იქმნა ბრძოლა დიდძალი; და მოსწდეს ორგნითვე ურიცხუი; ხოლო იძლივნეს ბერძენნი (აზონის დამხმარე ძალები) ფარნავაზისგან. ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე ქმნნეს“ (ქ. ც., I: 23). წერილობით წყაროებში ასახულ ამ საომარ პერიპეტეებში აშკარად ჩანს ალექსანდრე მაკედონელის ბერძენ-მაკედონელთა იმპერიის და მისი მემკვიდრეების აგრესიული ინტერესები კავკასიაში. ამ ინტერესებს ისინი ადგილობრივი წარჩინებულის, კლარჯი აზონის ხელით ახორციელებდნენ.

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ (ძვ.წ. 323 წელს) მის სარდლებს შორის დაიწყო ომები, რაც საბოლო-

ოდ იმპერიის ნანგრევებზე რამდენიმე სახელმწიფოს წარმოშობით დასრულდა. იბერია-კოლხეთის მეზობლად სელევკიდების ვრცელი სამეფო აღმოჩნდა. იბერიის გაერთიანებისა და იქ პირველობის მოპოვებისთვის ადგილობრივ წარჩინებულთა შორის ბრძოლები მიმდინარეობდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ალექსანდრეს მემკვიდრეებს შორის იმპერიის განაწილებისათვის ომებმა კულმინაციას მიაღწია. აზონიცა და ფარნავაზიც ურთიერთქიშპისას იყენებდნენ გარეშე სამხედრო ძალებს. როგორც ჩანს, ალექსანდრეს სარდლები აქტიურად ერეოდნენ იბერიელ წარჩინებულთა პირველობისთვის ბრძოლებში. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ, რომ თავიანთი ზეგავლენა წინა აზიის უკიდურეს ჩრდილოეთით, ტრანსკავკასიაში გაეგრძელებინათ.

ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ფარნავაზმა მოახერხა მთელი ქართლისა და კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება. მან საფუძველი ჩაუყარა ფარნავაზიანების სამეფო დინასტიას. წერილობითი წყაროები მას მიაწერს იბერიის სამეფოს სამხედრო ორგანიზაციის რეფორმებს. მეფე ფარნავაზმა სახელმწიფო სამხედრო-ადმინისტრაციულ პროვინციებად ანუ საერისთავოებად დაყო, რომელთა სათავეში საერო და სამხედრო ხელისუფლებით აღჭურვილი, ერთგული წარჩინებულები დააყენა (ქ.ც., I: 24-26).

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ეგრისმა ანუ კოლხეთმა და ქართლმა ანუ იბერიამ რთული ისტორიული გზა განვლო. ეგრისის სახელით ქართულ წერილობით წყაროებში ზოგჯერ მთელი დასავლეთ საქართველო აღინიშნება: „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ... სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ (ქ.ც., I: 5). მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეგრისს გარკვეულ პერიოდში აღმოსავლეთით საზღვრავს ლიხის ქედი; დასავლეთით – ზღვა, ჩრდილოეთით – კავკასიონის მთე-

ბი, რომელიც აღწევს ზღვამდე მდ. ფსოუსთან; ხოლო სამხრეთით – აჭარა-ლაზეთის მთიანეთი: „მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე“. ეგრისი უმეტესად იხსენიება, როგორც საერისთავო: „და ქუჯი იყო ერისთავი ეგრისისა“. „და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არის ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“ (ქ.ც., I: 23-24). ეგრისი ჰერეთისნაირი სტატუსის მქონე ოლქად არის ნახსენები: „და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“ (ქ.ც., I: 65).

გარკვეული დროიდან სახელი ეგრისი დასავლეთ საქართველოს კრებითი სახელია; ისეთივე, როგორც ბერძნულ-ლათინური წყაროების „კოლხიდა“. ის ხან დიდი ტერიტორიის, მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველია, ხან კი – მცირე; მაგ., „ეგერ-სვანები“ ან „შიდა ეგრისი“, ანდა კიდევ, კლავდიოს პტოლემეაოსთან მოხსენიებული ეკრიტიკე//გრისი. „გეოგრაფიაში,“ რომელიც ადრინდელი, ბერძნული გეოგრაფიების გავლენითაა დაწერილი, ეგრისის ტერიტორიაზე აღინიშნება ოთხი მხარე: „კოლხიდა, რომელიც არის ეგერი, მდებარეობს პონტოს ზღვის აღმოსავლეთით... საზღვრავს იბერიას. ეგერი იყოფა ოთხ მხარედ: მანრილი, ეგრისი-ეგრევიკა, ლაზეთი, ჭანივი.... აქ არის ბევრი მთა, მდინარე, ქალაქი, ციხე, სოფლები და სავაჭრო ადგილები“ (იხ. ს.გ. 1877: 38).

ქართულ წერილობით წყაროებში დაცულია ცნობები, რომელთა მიხედვითაც აზოს და შემდგომში ფარნავაზის დროს (დაახლოებით ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – III ს-ის დასაწყისში) კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული. ამ დროისათვის ძვ.წ. V-IV საუკუნეების კოლხეთის სამეფო დასუსტებულია და ველარ უძლებს აგრესიული ქვეყნების შემოსევებს. ის თანდათან სუსტდება და კარგავს ტერიტორიებს. ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ შიდა კოლხეთზეც ვრცელდება იბერიის პოლიტიკური გავლენა.

ზემოხსენებულს მხარს უბამს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაცემები. კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, რომელიც ადრე ერთგვაროვანი იყო, შეინიშნება ცვლილებები. ძვ.წ. III საუკუნეში ეს ცვლილებები კიდევ უფრო გაღრმავდა. განსხვავება შეიმჩნევა შიდა და ზღვისპირა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში. ამ პერიოდში შიდა კოლხეთის მატერიალური კულტურა იბერიულ გავლენას განიცდის. ეს აისახა დაკრძალვის ახლებური ნესის გაჩენაში – ქვევრსამარხი. კოლხეთში ქვევრში დაკრძალვის ნესის გაჩენა, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძვ.წ. IV ს. მიწურულიდან, იბერიიდან არის სავარაუდო. ამგვარი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რამდენადმე განსხვავდება მანამდე არსებულისაგან და მიგვითითებს ცვლილებებზე შიდა კოლხეთის ტერიტორიაზე. ქვევრსამარხებში ნაპოვნი ნივთები უმეტეს შემთხვევაში მცირერიცხოვანი და ლარიბულია. მათში საბრძოლო იარაღი არ გვხვდება. უიარაღო ქვევრსამარხებთან დაკავშირებით საყურადღებოა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც აზოს (აზონის) ბრძანებით უნდა დასჯილიყო ყველა ქართველი, ვისაც იარაღი ჰქონდა, კერძოდ: „აზო იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დაანესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: ყოველმან ქართველთაგანმან, რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი“ (ქ.ც., I: 20).

შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ცვლილება პირველად საირხის ლომინაურში (იხ. ნადირაძე, 1975: 99), ითხვისსა და ვანში (იხ. ლორთქიფანიძე, 1977: 20) წითლად მოხატული იბერიულის მსგავსი კერამიკის გაჩენით აღინიშნა. ამგვარი კერამიკა უცხოა ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხეთისათვის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ადრე ისინი მრავლადაა დადასტურებული. კოლხური ოქრომჭედლობა ძვ.წ. IV ს. ბოლოდან გარკვეულ კრიზისს განიცდის. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს სამხედრო მოქმედებების შედეგად ქვეყნის ეკონომიკის დაცემით.

იბერიის გავლენა შიდა კოლხეთის ხუროთმოძღვრებაზეც აისახა. მსგავსება შეიმჩნევა კოლხეთსა (საირხეში, ვანში, მთისძირში) და იბერიაში (არმაზციხეში, წინამურში, ღართისკარში, ციხიაგორაზე, სამადლოში, უფლისციხეში) არქეოლოგიურად დადასტურებულ სამშენებლო წესებში. კერძოდ, მსგავსი იყო ალიზისა და ქვათლილების გამოყენება, ქვათლილების მშრალი წყობა და ერთმანეთთან დაკავშირების წესი. ფორმის მხრივ გარკვეული სიახლოვე აღინიშნება სამადლოსა და ვანის კრამიტს შორის. ანგარიშგასანევია მსგავსება სამადლოს, სარკინესა და ვანის ნაქალაქარების ტერასებზე დაგეგმარებაში. სამადლოს ზოგიერთი სამშენებლო ქვის პეტროგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ასეთი ჯიშის ქვა, ეკლარის კირქვა, მოიპოვება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ქ. ქუთაისის მახლობლად. აქ ახლაც ამუშავებენ ეკლარის ქვის საბადოებს.

კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გარდატეხის მიმანიშნებელია ისიც, რომ ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოდან აღარ იჭრება კოლხური თეთრი, რომელიც მანამდე მთავარი მონეტა იყო კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში. იბერიასა და შიდა კოლხეთში ძვ.წ. III საუკუნიდან ძირითადად ვრცელდება ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები. შემდგომ ამ სტატერების მინაბადების ადგილობრივი ნიმუშები საკმაო რაოდენობით გვხვდება მთელი საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში.

ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულის საომარი მოქმედებების შედეგად დაინგრა სოფ. ვარციხის „გიორგობიანების გორის“, ვანისა და მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ნაგებობები. კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება, ერთი მხრივ, აზონის და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით აიხსნას. როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესი სწორედ ძვ.წ. IV-

III საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობს. ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც ქართლის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება.

არიან ქართლიდან, ანუ ირანის ქართლიდან, მდინარე მტკვრისა და ჭოროხის სათავეების ახლომახლო ტერიტორიიდან მოსულმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღზევებულმა აზონმა, ჯერ ქართლის გეოგრაფიულ-სტრატეგიული, მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყარი ცენტრი, მცხეთის ტერიტორია დაიმორჩილა, ხოლო შემდგომ ქართველური მოდგმის ხალხით დასახლებული სხვა მხარეებიც დაიქვემდებარა. ერთგვარად აზონი ქართველურ ენაზე მოლაპარაკეთა გამაერთიანებლად გვევლინება (d. ქ. ა. ლ. 1963, 81).

მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა კლარჯეთში გაქცეული აზონი საბოლოოდ დაამარცხა, იგი უკან, ქართლში მობრუნდა და დაიწყო ადმინისტრაციული რეფორმების ჩატარება (ქ.ც., I: 23-24). ფარნავაზმა ქუჯის საერისთავოდ დაუმტკიცა ზღვიდან მთამდე მდებარე ტერიტორია. აქვე აღნიშნულია, რომ „მისცა ქუჯის ქვეყანა... ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯიმი აღაშენა ციხეგოჯი“ (იხ. ქ.ც., I: 24).

საფიქრებელია, რომ აზო-ფარნავაზის ეპოქაში კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ, ზღვისპირეთში ანტიკურ ქვეყნებსა და იბერიას შორის ბუფერული „ქალაქ-პოლისები“ წარმოიშვა. მათ გაჩენაში გარკვეული როლი ითამაშა კოლხურ დასახლებებთან „ბერძნული კოლონიზაციის“ შედეგად წარმოქმნილმა სავაჭრო ემპორიონებმა ანუ დასახლებებმა, რომლებიც კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ტრანსფორმირდნენ პოლისური ტიპის დასახლებებად. ამის თაობაზე საინტერესოა ქალაქ ფასისის შესახებ ჰერაკლიდეს ცნობა ფასისის სახელმწიფო ნყოფის ანუ პოლიტიის შესახებ. სპეციალისტ ნყაროთმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ „პოლიტიების“ შემუშავების თარიღი ძვ.წ. IV საუკუნის შემდგომ პერიოდს უნდა ასახავდეს.

ზღვიდან მთამდე და რიონიდან ეგრისწყლამდე ტერიტო-

რია ეგრისის საერისთავოს ეკუთვნოდა. ფარნავაზ მეფის სიძემ, ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ აქ, სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილას, მდ. ტეხურის შუა წელზე, ააგო თავისი სახელობის ციხეგოჯი//ქ[უ]ოჯი (ქ.ც.,I: 24). წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ციხეგოჯი დამაჯერებლადაა გაიგივებული მდ. ტეხურას მარცხენა ნაპირზე მდებარე ნოქალაქევთან. სოფ. ნოქალაქევის ნაქალაქარის შიდა ციხეში მიკვლეულია ფარნავაზის დროინდელი კულტურული ფენა. აქ კრამიტები, პირამიდისებური სანაფები, ადგილობრივი ამფორებია აღმოჩენილი. გალავნის გადაღმა გათხრილია ამავე პერიოდის ქვევრსამარხები და ორმოსამარხები. ციხეგოჯი მდ. ტეხურის გასწვრივ გზით უკავშირდებოდა მდ. რიონს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალს.

ციხეგოჯის გარდა, დასავლეთ საქართველოში ლეონტი მროველს ნახსენები აქვს შორაპნისა და დიშნის ციხეები: „და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე ეგრისისა, რიონს ზემოთ. და ამაწვე ფარნავაზ ალაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დიშნა“ (ქ.ც.,I: 24). შორაპანი თანამედროვე დაბაა შორაპნის ციხესთან, ხოლო დიშნი სოფ. ზედა დიშის (ბაღდათის რაიონის) ნაციხართან არის გაიგივებული.

აზო-ფარნავაზის პერიოდის კოლხეთი, ზოგიერთი ზღვისპირა მონაკვეთის გარდა, ქართლის ანუ იბერიის სამეფოში ეგრის-სვანეთის საერისთავოს სახით იყო გაერთიანებული. როგორც ჩანს, კოლხეთში იმხანად იმძლავრა ცალკეული წარჩინებული სკეპტუხების გათიშულობა-დაპირისპირებამ, ხოლო ქართლში, პირიქით, მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსოლიდაცია მოხდა და ძლიერი ცენტრალიზებული სამეფო განვითარდა. ქართლის სამეფომ ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესში კოლხეთის ნაწილის პოლიტიკური ინკორპორაცია განახორციელა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა დაახლოებით ძვ.წ. II-I სს. მიჯნამდე, სანამ კოლხეთის გარკვე-

ული ნაწილი მითრიდატე VI ევპატორის სამეფოს გავლენის ქვეშ არ მოექცა.

ანტიკურ ქვეყნებსა და იბერიის სამეფოს შორის კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულიდან განვითარდა პოლისური ტიპის ქალაქები. კერძოდ, დიოსკურია (არქეოლოგიური მასალა სოხუმიდან, იხ. ტრაპზთან და შამბასთან), გენოსი (არქ. მასალა ოჩამჩირიდან იხ. კაჭარავასთან), ფასისი (არქ. მასალა ფოთის მიდამოებიდან, იხ. გამყრელიძესთან), ქობულეთ-ფიჭვნარი (არქ. მასალა იხ. კახიძესთან), ხოლო შიდა კოლხეთი იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაექვემდებარა. იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ მყოფი შიდა კოლხეთის სტრაბონისეული(XI, II, 18) სკეპტუხიები ანუ საერისთავოები: საირხე, ქუთაისი, ნოქალაქევი, ვანი გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ამგვარი ტერიტორიული დანაწილება განვითარდა, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-კომუნიკაციური და სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის საფუძველზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი თემი უფრო დანინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად. შემდგომ სწორედ ეს ცენტრები დაედო საფუძველად სკეპტუხიებად დანაწილებას. კოლხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების შესახებ ძალიან ცოტა საისტორიო წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემი მოგვეპოვება. ამ კუთხით საყურადღებოა კოლხეთის შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახული ცნობა: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა...“ „...შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად (საერისთავოებად) დაყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (სტრაბონი, XI, II, 18). როგორც სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ ნაწყვეტიდან ჩანს და არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს, დაახლოებით ძვ.წ. V საუკუნისათვის კოლხეთში უკვე გაფორმებული იყო ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კომუნიკაციურ საფუძველებზე წარმოქმნილი ტერიტო-

რიული ერთეულები, რომელთა სათავეში ადგილობრივი დანი-
ნაურებული გვარის წარმომადგენლები იდგნენ. მოგვიანებით
ამ ტერიტორიებიდან ზოგიერთი უფრო დანიანურადა და ჩა-
მოყალიბდა გარკვეულ რეგიონად საქალაქო ცენტრით. ასე-
თები იყო, მაგალითად, „ვანი,“ „ქუთაისი,“ „საირხე“. სტრაბო-
ნის „გეოგრაფიის“ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, რომ კოლხეთი
სკეპტუხიებად დაანანილეს, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს
ქვეყნის დაყოფა გარკვეულ ტერიტორიულ-სამმართველო ერ-
თეულებად. ეს დანანილება, ალბათ, ხელისუფლებამ ჩაატარა,
რათა, ერთი მხრივ, გაადვილებოდა სამხედრო-ადმინისტრა-
ციული მართვა, ხოლო, მეორე მხრივ, მეტი პოლიტიკური ცენ-
ტრალიზაციისათვის მიეღწია.

საფიქრებელია, რომ პირველ ეტაპზე ისინი უფრო ტომობ-
რივ-ტერიტორიული ერთეულებია, ხოლო თანდათან ერთ-
ერთი ამ ერთეულის არისტოკრატიული გვარი წინაურდება და
ახერხებს დანარჩენების დაქვემდებარებას. სწორედ ეს არის-
ტოკრატიული გვარი მოგვიანებით სამეფოს უკეთ სამართავად
და ხელისუფლების განსამტკიცებლად ადმინისტრაციულ რე-
ფორმებს ატარებს. აქ ალბათ ისეთივე რეფორმები ტარდე-
ბა, როგორც შემდგომ ქართლში გაატარა მეფე ფარნავაზმა.
დროთა განმავლობაში კოლხეთის საგამგებლო ერთეულებს
შორის მოხდა გარკვეული დიფერენციაცია, რადგან აქაური
რეგიონული ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური
პირობები არათანაბარი იყო. მაგალითად, რიონის დაბლობის
სკეპტუხიები უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მთიან-
ი გურიის. ამან შემდგომში, დაახლოებით ძვ.წ. IV საუკუნის
მეორე ნახევარში, საგამგებლოებს შორის ურთიერთდაპირის-
პირება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში კოლხეთის სამეფოს
დასუსტებით და იბერიასთან მისი შეერთებით დასრულდა.

საისტორიო ტრადიციის მიხედვით, იბერიის მეფე ფარნა-
ვაზმა ეგრისის საერისთავო დაუმტკიცა ქუჯის, რომელიც,
როგორც ჩანს, მანამდეც ფლობდა კოლხეთის ნაწილს. ახლა

ფარნავაზმა მას ტერიტორიები გაუფართოვა, სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციული უფლებებიც უბოძა; თავისი და შერთო ცოლად და ამით სამეფო დიდმოხელედ აქცია. საყურადღებოა, რომ რვა ერისთავიდან საისტორიო წყაროში მხოლოდ ქუჯია მოხსენიებული. ქუჯი წარმომავლობით ძველი არისტოკრატიული გვარიდან იყო და ქართლის მეფის კოლხეთში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში წვლილი მიუძღოდა. საფიქრებელია, რომ ასეთივე სიტუაცია უფრო ადრე, ძვ.წ. V საუკუნის კოლხეთში შეიქმნა, სადაც ადმინისტრაციული რეგიონების სათავეში მეფის ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლები რჩებოდნენ, რომელთაც მეფემ სახელმწიფო მოხელის ფუნქციაც მიანიჭა. ამგვარი უნდა ყოფილიყო კოლხეთში ის იერარქიული კიბე, რომლის თავშიც გამაერთიანებელი ხელისუფალი – მეფე იდგა, ხოლო მას დიდმოხელე სამხედრო არისტოკრატები მოსდევდნენ. ეს, ეტყობა, მაშინ ხდება, როდესაც არისტოკრატია არცთუ ისე ძლიერია და მათი სოციალური სტატუსიც მკვეთრად არ არის გამოხატული. სტრაბონის თქმით, ქვეყანაში მათ „ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (XI, II, 18). შემდგომში, როცა ისინი მოძღვრდნენ, ცალკეული სკეპტუხიების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა დაიწყო, რაც ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს კოლხეთის სამეფოს დასუსტება-დაშლით დამთავრდა. სკეპტუხიები ცენტრალურ ხელისუფლებაზე ფორმალურად დამოკიდებულ ერთეულებად გარდაიქმნენ. ეტყობა, სწორედ ამის მერე კოლხეთში ჯერ აზომ იმძლავრა, ხოლო შემდეგ – ქართლის მეფე ფარნავაზმა, ერთ-ერთი ძველი ადგილობრივი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლის, ქუჯის საშუალებით.



ვანის ნაქალაქარის თავდაცვითი კედლის წყობა

მითრიდატე ევპატორი და კოლხეთი

ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნიდან კოლხეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი საგარეო-საომარი ფაქტორი, პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა. მითრიდატეს დროის პონტო-კოლხეთის ურთიერთობის საკითხებს მრავალი მკვლევარი შეეხო, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა (ისტორიოგრაფია იხ. ნაშრომის ბოლოს).

პონტოს სამეფოს, რომელმაც სახელწოდება შავი ზღვის ანუ პონტოს სახელიდან მიიღო, თავდაპირველად შავი ზღვის სანაპიროზე მცირე ტერიტორია ეკავა. სამეფოს მოსახლეობის უმეტესობას ხალიბები, კოლხები და სხვა ქართველური მოსახლეობა შეადგენდა. მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობა და ალექსანდრეს მემკვიდრეების მიერ შექმნილ სახელმწიფოებს შორის

გამუდამებული ქიშპი პონტოს სამეფოს

თანდათანობითი გაძლიერების ერთ-ერთი საფუძველი იყო. პონტოს სამეფომ ძლიერებას ნიჭიერი პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის, მითრიდატე VI ევპატორის მეფობისას ძვ.წ. 120-63 წლებში მიაღწია. ევპატორის დროს პონტოს სამეფომ შემოიერთა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი მხარეები, აზოვის ზღვის მიმდებ-



მითრიდატე VI

ბარე ტერიტორიები, მცირე აზიის დიდი ნაწილი, კოლხეთის სანაპირო, საბერძნეთი და ა.შ. მითრიდატე VI-ს დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა ბალკანეთის, შავი და ეგეოსის ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებ სხვადასხვა ხალხში. პონტოს ძლიერება საფრთხეს წარმოადგენდა რომის სახელმწიფოსათვის. ამის გამო პონტოსა და რომის დაპირისპირება გარდაუვალი შეიქმნა.

ძვ.წ. 190 წელს რომი პირველად შეიჭრა ანატოლიაში და ეგეოსის ზღვის ნაპირზე ქალაქ მაგნეზიასთან სელევკიდები დაამარცხა. ამით ისარგებლეს არმენიის მმართველებმა და გამოეყვნენ სელევკიანთა სახელმწიფოს. ამ სამეფომ წარმატებას მიაღწია მეფე ტიგრან II-ის (ძვ.წ. 95-56 წწ.) დროს. ამრიგად, ძვ.წ. I საუკუნეში რომის სახელმწიფოს მიერ წარმართული აღმოსავლეთის დამორჩილების პოლიტიკას ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა პონტოსა და შემდეგ პართიის სახით. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გადაულახავ წინააღმდეგობათა მთელი ჯაჭვი შეიქმნა. მალე მონინააღმდეგეები სისხლისმღვრელმა ომებმა მოიცვა. ამ ომების ასპარეზად ძალაუნებურად ტრანსკავკასიის ქვეყნებიც იქცა. კერძოდ, იბერია, კოლხეთი და ალბანეთი. მათ გეოპოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალთახედვით მნიშვნელოვანი ტერიტორიები ეკავათ. ორ ზღვას შუა მდებარე კავკასია აზიისა და ევროპის შემაერთებელი საკვანძო ადგილი იყო. აქ აღმოსავლეთის შორეული ქვეყნებიდან, ჩინეთიდან და ინდოეთიდან, შავ და ხმელთაშუა ზღვამდე მიმართული სავაჭრო გზა გადიოდა. ნიშანდობლივია, რომ ვინც აღმოსავლეთში გავლენას ესწრაფოდა, მისთვის აუცილებელი იყო კავკასიის მორჩილებაში ყოლა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ კავკასია უმეტესად ომების ქარცეცხლში იყო გახვეული.

პართიაში არშაკიდების დინასტია გამეფდა, ქვეყანა გაძლიერდა და საუკუნის ბოლოსთვის დასავლეთ აზიის წამყვან სახელმწიფოდ გადაიქცა. რომმა ქ. მაგნეზიასთან სელევკიდების

დამარცხების შემდეგ დადო ზავი. აქ რომაელებმა ანტიოქოს III-ის ჯარი გაანადგურეს. ამ ზავის მიხედვით თავროსის ქედის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე ტერიტორიებს რომი აკონტროლებდა. შედეგად სელევკიდების სახელმწიფომ რღვევა დაიწყო. არმენიამ იბერიის მიმართ აგრესიულობა გამოიჩინა და მდ. არაქსისა და მტკვრის ზემო წელის მიწები მიიტაცა (იხ. სტრაბონი, XI, 14, 5). არმენიის სამფლობელოები თანდათანობით გაფართოვდა და ძვ. წ. 170-იან წლებში არტაქსატ I-ის (ძვ. წ. 189 – 161) მეთაურობით, მდ. არაქსის შუა წელზე, ცენტრით ქ. არტაქსატში, ცალკე სახელმწიფო ჩამოყალიბდა. სელევკიდების იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი არტაქსატის სამეფო – არმენია – ელინისტურ ტრადიციებზე ჩამოყალიბებული ქვეყანა იყო. ჩვენ ის სომხურ სახელმწიფოდ არ მიგვაჩნია, ანუ იმდროინდელი „არმენია“ და შემდგომი პერიოდის „სომხეთი“ სულაც არ არის იდენტური ცნებები. სომხური მოსახლეობა ამ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფო-კონგლომერატში ერთ-ერთი კომპონენტი გახლდათ. ამ ქვეყნის ძირითად მცხოვრებლებს სამხრეთ-დასავლეთ ქართველური მოსახლეობა შეადგენდა: ხალიბები, მოსხები, მოსუინიკები, ტრაპიზონის მიმდებარე ტერიტორიის კოლხები და სხვ.

ძვ.წ. II საუკუნის მიწურულისათვის ზოგიერთი სამხრეთ-დასავლურქართული ტერიტორიის საფუძველზე პონტოს სამეფო გაძლიერდა. ძვ. წ. 183 წელს მეფე ფარნაკე I-მა ქალაქი სინოპი აიღო და პონტოს სამეფოს მთავარ ცენტრად აქცია. მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის დასაწყისში პონტოს სამეფომ პაფლაგონია და აღმოსავლეთით ტრაპიზონის მიმდებარე მიწები შეიერთა. ამ დროისათვის არმენია ფაქტობრივად პონტოს სამეფოზე დამოკიდებულ ე. წ. მოკავშირე ქვეყანას წარმოადგენდა.

პონტოს მეფემ, ძლევამოსილმა მითრიდატე VI ევპატორმა (ძვ. წ. 120 – 63 წწ.) თავისი ტერიტორიები ბრძოლით კიდევ

უფრო გააფართოვა. მან მთელი შავიზღვისპირეთის სამხრეთი, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი (კოლხეთის სანაპირო) სანაპიროები გააერთიანა. მდ. დუნაის შესართავიდან ქ. სინოპამდე შავი ზღვა ფაქტობრივად პონტოს სახელმწიფოს შიდა ზღვად იქცა. მითრიდატე VI-მ პართიას მდ. არაქსისპირეთი წაართვა, ხოლო რომთან ომებში სირია-ფინიკია და კილიკია დაიპყრო. პონტოს მეფის, მითრიდატე VI-ის წარმატებულ წინსვლას რომის სახელმწიფო დაუპირისპირდა. რომის რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური აქტივობა სირია-მცირე აზიის გეოპოლიტიკური სივრცისადმი განსაკუთრებით ძვ. წ. II ს. მეორე ნახევარში გამოაშკარავდა. ხსენებულ ტერიტორიას რომი საკუთარი პოლიტიკური ამბიციების წრეში მყოფად მიიჩნევდა.

იმდროინდელ სამყაროში ამ ორი დიდი სამხედრო-პოლიტიკური ძალის მწვავე დაჯახება, ბუნებრივია, უარყოფით გეოპოლიტიკურ ძვრებს გამოიწვევდა მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში. აქ ორი – აღმოსავლურ-ელისნისტური და რომაულ-ევროპული, დასავლური – იდეოლოგია შეეჯახა.

ძვ.წ. 88 წელს რომაელებს მცირე აზიაში პონტოს მეფე მითრიდატე VI შეეწინააღმდეგა. დაიწყო რომისა და პონტოს ომი და მცირედი შესვენებებით კარგა ხანს გაგრძელდა. პონტოს მოკავშირედ გამოვიდა იბერიის სამეფოც. თავდაპირველად მითრიდატემ შეძლო რომაელებისაგან შევიწროებული ხალხების შეკავშირება და ამ ომს რომის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის ბრძოლის ხასიათი მისცა.

ძვ.წ. 83 წელს ზღვისპირეთის კოლხები მითრიდატეს აუჯანყდნენ. ამავე დროს აჯანყება ბოსფორში, აზოვისპირეთშიც დაიწყო. აქ სამეფო მანამდე ბერძენთა ახალშენების გაერთიანების შედეგად წარმოიშვა. შემდგომ ეს ტერიტორიები მითრიდატე VI-მ დაიმორჩილა. პონტოსა და რომის ომში ჯერ უპირატესობას მითრიდატემ მიაღწია, ხოლო შემდეგ რომაელმა მხედართუფროსმა ლუკულუსმა იმძლავრა და მითრიდატე მთელი შავიზღვისპირეთიდან განდევნა. ლუკულუსი შე-

იჭრა სამხრეთ ტრანსკავკასიაში. მითრიდატემ თავისი მომხრე მეფეები დაარიგა, რომაელებთან გადამწყვეტ ბრძოლაში არ ჩაბმულიყვნენ და მხოლოდ პარტიზანული ბრძოლები ეწარმოებინათ. მათ მტრისთვის სურსათის მომარაგების საშუალება არ უნდა მიეცათ და დრო გაეჭიანურებინათ. ლუკულუსმა დაამარცხა ტიგრან II-ის ლაშქარი და ქალაქი ტიგრანოკერტი აიღო. ამჯერად ლუკულუსმა გაიმარჯვა, მაგრამ მალე მრავალწლიანი მძიმე ლაშქრობით გადაღლილ რომაელ მებრძოლებში თავი იჩინა უკმაყოფილებამ. ამინდი შეიცვალა, ყინვა დაიწყო, თანაც რომიდან დახმარება იგვიანებდა. ლუკულუსი იძულებული გახდა, ჯარისთვის უკან დახვევის ბრძანება მიეცა. რომში ლუკულუსის ეს გადწყვეტილება არ მოიწონეს.

პონტო-რომის ომების პირველი ფაზისას მითრიდატე VI-მ მოახერხა მთელი მცირე აზიის სატელიტი ქვეყნების რომაელთა წინააღმდეგ დარაზმვა. შედეგად რომაელთა განდევნა შეძლო. ბოლოს მითრიდატემ ევროპის საბერძნეთიც კი დალაშქრა. მითრიდატეს მთელი თავისი ძალა და ენერჯია საგარეო-დაპყრობითი ომებისაკენ ჰქონდა მიმართული, ქვეყნის საშინაო პრობლემები კი მოუგვარებელი რჩებოდა. ამიტომ, მას მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთში პატარ-პატარა მხარე-სამთავროების მფლობელები აუჯანყდნენ. ზოგიერთი მათგანი რომაელებთან კავშირზეც კი წავიდა, რასაც გარკვეულწილად რომაელთა ხსენებულ ტერიტორიებზე გამალებული სადაზვერვო-იდეოლოგიური მუშაობაც უწყობდა ხელს. შედეგად მითრიდატეს ჯარს მომარაგება-კომუნიკაციები დაერღვა, ხოლო რომაელებმა თავიანთი სამხედრო ძალის კონსოლიდაცია შეძლეს და საომარი-პერმანენტული დარტყმების შედეგად პონტოელებს რამდენჯერმე სძლიეს.

ძვ.წ. 73 წელს მითრიდატემ პონტო-რომის ომების მესამე ფაზა წამოიწყო. რომაელთა მხედართმთავარმა ლუკულუსმა მითრიდატე ამჯერადაც დაამარცხა და მდ. ტიგროსის ზემო წელზე მისი მოკავშირის, ტიგრან II-ის მიწები დაიკავა.

ამ დროს მითრიდატეს მხარეს იბერიელი და ალბანელი მეომრებიც იბრძოდნენ (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 26). ძვ.წ. 68 წელს რომაელებმა მდ. არაქსის შუა წელზე მდებარე ტიგრან II-ის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი არტაქსატი დალაშქრეს (პლუტარქე, ლუკულუსი, 31). მალე რომის სენატმა მითრიდატეს დამმარცხებელი ლუკულუსი სამშობლოში გაიწვია და მის ნაცვლად აღმოსავლეთში განლაგებული არმიის ხელმძღვანელად პომპეუსი დანიშნა. მითრიდატე VI-მ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები შეწყვიტა და კოლხეთისაკენ გაიქცა, შემდეგ კი ბოსფორში გადავიდა.

ტრანსკავკასიაში პომპეუსის საომარ-პოლიტიკური მოქმედებების შედეგად იბერია, ალბანეთი და არმენია გარკვეულად რომის გავლენის ქვეშ მოექცნენ. შავიზღისპირეთში (კოლხეთსა და პონტოს სამეფოში) კი რომმა შედარებით მტკიცედ მოიკიდა ფეხი.

ძვ. წ. 53 წელს კარეს ბრძოლაში პართელებმა, მარკუს კრასუსის ხელმძღვანელობით მოქმედი რომაელთა ჯარი გაანადგურეს. ბრძოლის შედეგად აღმოსავლეთში რომაელთა წინსვლის ამბიციები შეჩერდა. პართიასა და რომს შორის სამხედრო-პოლიტიკური ბალანსი წარმოიშვა. ამ ომის შედეგად ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში პართია გაძლიერდა, ხოლო რომის პოზიციები აღმოსავლეთში და კერძოდ არმენიაში შესუსტდა. ძვ. წ. 40-იან წლებში პართია წარმატებული გამარჯვებების შედეგად ანატოლიასა და სირია-პალესტინას დაეუფლა. შემდგომ რომაელმა სარდალმა მარკუს ანტონიუსმა პართელები დაამარცხა და გარკვეულად შეაჩერა მათი დასავლეთისაკენ წინსვლა.

ძვ. წ. 40-იან წლებში, რომი-პართიის დაპირისპირების დროს, იბერიის სამეფო კარი ამ ორი დიდი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა. ძვ. წ. 36 წელს პართელებთან ომის წინ მარკუს ანტონიუსმა პუბლიუს კანიდიუსის ხელმძღვანელობით ჯარი გაგზავნა იბერიის მეფე ფარ-

ნავაზზე პოლიტიკური ზენოლის მოსახდენად. კრასუსმა იბერიის სამხრეთი ტერიტორიები დაიკავა და იბერიის მეფე ალბანეთზე გალაშქრებაზე დაითანხმა. შემდეგ მათ ერთობლივად ალბანეთის მეფე ზოვერი დაამარცხეს (იხ. დიონ კასიუსი, რომის ისტ. XIX, 24). მომდევნო პერიოდში რომაელები კარგა ხნის განმავლობაში იბერიაში აღარ გამოჩენილან. ამ დროისათვის რომს ალბათ იბერიამდე ხელი აღარ მიუწვდებოდა და არც ძალა აღარ ჰყოფნიდა, რომ ეს შორეული ქვეყანა იარაღის გამოყენებით დაემორჩილებინა.

შავიზღვისპირეთში პონტოს სამეფოს თავისი პოლიტიკურ-სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა. სწორედ აქ იყო განლაგებული დიოსკურიის, გიენოსის, ფასისის, „ქობულეთ-ფიჭვნარის“ ქალაქები, რომლებიც შიდა რეგიონებისაგან ბერძნული ეთნიკური ელემენტის სიჭარბით გამოირჩეოდნენ. ამ ქალაქების შემოერთებაში აისახა მითრიდატე ევპატორის ძირითადი მიზნის, მთელი შავიზღვისპირეთის გაერთიანების გრანდიოზული იდეის თანამიმდევრული განხორციელება. ზღვისპირა კოლხეთის ქალაქები მითრიდატემ პონტოს სამეფოს ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე შეუერთა. ხსენებული ქალაქები, ერთი მხრივ, საზღვაო ვაჭრობის, მათი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენის არასტაბილურობით, ხოლო მეორე მხრივ, კოლხეთის მთიანეთში მცხოვრები მეომარი დაჯგუფებების თავდასხმებით იყვნენ შენუხებული (იხ. სტრაბონი, XVII, III, 24; პლინიუსი, VI, 15). ისეთი ძლიერი ხელისუფლის მმართველობაში შესვლა, როგორიც მითრიდატე იყო, ვაჭრობა-ეკონომიკასა და თავდაცვაში სტაბილურობის განმტკიცებას მოასწავებდა. სავარაუდოდ, აქ დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა წარმოიშვა, როგორიც იყო დიოფანტეს ლაშქრობის შედეგად პონტოს სამეფოსთან ბოსფორის სამეფოსა და ხერსონესის შემოერთების დროს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ შავიზღვისპირა ნაქალაქარებზე, რომლებიც დღესდღეობით მეტ-ნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავ-

ლილი (ეშერას გარდა; სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი), არ არის დადასტურებული ძვ.წ. II-I სს. მიჯნის გადამწვარი ფენები ან რაიმე საბრძოლო მოქმედების კვალი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქალაქებში, ისევე როგორც ბოსფორსა და ხერსონესში, მითრიდატე გარკვეულ წინააღმდეგობას არ წააწყდა. მაგალითად, მემნონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ ომით დაიმორჩილა მდ. ფასისის ქვემო წელი. ამ მიდამოების მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთ-ფიჭვნარში ნაქალაქარი დარბეულია ძვ.წ. II ს. ბოლოსათვის. შიდა კოლხეთი მითრიდატეს არ შეუერთებია პონტოს სამეფოსთვის. ამასთანავე არ არის გამორიცხული, რომ იგი იქ იმ დროს შეიჭრა, როცა პომპეუსს გაექცა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. ნიშანდობლივია ისიც, რომ არც ერთ წერილობით წყაროში არ აისახა მითრიდატეს მიერ შიდა კოლხეთის დაპყრობა-შემოერთება.

მითრიდატულ ისტორიოგრაფიაში (იხ. ლიტ. ბოლოში) არსებობს მოსაზრება, რომ იბერია მუდამ პონტოს მოკავშირე იყო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკა ცვალებადი რამ არის, მით უმეტეს, მითრიდატე ევპატორის ეპოქაში, იბერიის სამეფოს პოლიტიკაც პონტოს მიმართ ცვალებადი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, მითრიდატე და ტიგრანი ჯერ მოკავშირეები იყვნენ, ხოლო შემდეგ – მოსისხლე მტრები; ანდა, მახარემ უღალატა მამას და რომაელების მხარეზე გადავიდა. თუ გადავხედავთ ქართულ წერილობით წყაროებს და ახალ არქეოლოგიურ მონაცემებს, იბერიის სამეფოს უსათუოდ უნდა ჰქონოდა გარკვეული პოლიტიკური ინტერესი კოლხეთში (იხ. მემნონი, 30). აპიანე (15), იუსტინუსი (XXXVIII, 7, 10) და სტრაბონი (XI, II, 18; XII, III, 28) გვამცნობენ, რომ მითრიდატემ შეიერთა კოლხეთი, მაგრამ სახელდობრ კოლხეთის რა ნაწილი, არ არის აღნიშნული. თუ სტრაბონისავე ცნობას დაუფუჯვრებთ, კოლხეთი მეტწილად ზღვასთან მდებარეობს (XI, II, 17); შემდეგ იგი გადმოგვცემს: „მთელი ეს სანაპირო ეპყრა ევპატორს,

კოლხეთიდან ჰერაკლემადე...“ (XII, III, 2). შესაბამისად, სტრაბონის მიხედვით მითრიდატეს ძირითადად სანაპირო ზოლი უნდა დაეკავებინა. სტრაბონის ცნობებიდანვე ჩანს, რომ მითრიდატე ძირითადად დაინტერესებული იყო კოლხეთის სანაპიროთი, საიდანაც მას მისდიოდა მეტი წილი ძალებისა სამხედრო-სანაოსნო სამსახურისათვის (XI, II, 17, 18).

კოლხეთის სანაპირო ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა პონტოს სამეფოს თავისი ჩრდილოშავიზღვისპირა ტერიტორიების ზედამხედველობისათვის. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ მითრიდატემ კოლხეთის დაკავების შემდეგ (უპირატესად დასავლეთ კოლხეთის), მის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია ქალაქი დიოსკურია, რომელსაც მისცა მონეტის მოჭრის უფლება. სწორედ აქ დასვა მითრიდატემ მის მიერ გამოგზავნილი მმართველი (იხ. სტრაბონი, XI, II, 18). სწორედ აქ, თავის კოლხურ რეზიდენციაში, დაიზამთრა პომპეუსისგან დევნილმა მითრიდატემ (იხ. აპიანე, 101).

მითრიდატეს მიერ ზღვის სანაპიროს დაკავების დროისათვის პონტოს სამეფო სამხედრო-ეკონომიკურად ძლიერი იყო. სწორედ ეს იყო, ალბათ, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ იბერიის სამეფო მოლაპარაკების შემდეგ (იხ. მემნონი, 30) გაჩუმდა და მითრიდატემ კოლხეთის სანაპირო ქალაქები შეიერთა. იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ კი შიდა კოლხეთი დარჩა. ანგარიშგასანევია, აგრეთვე, პლუტარქეს ცნობა: „იბერები პონტომდე აღწევნენ“ და იბერები ალბანებთან ერთად „ყველაზე უფრო უდიდესნი“ არიანო (იხ. პომპეუსი, 34). მემნონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ მოკავშირეებად შეიამხანაგა პართელები, მიდიელები, ფრიგიელი მეფეები და იბერი მეფე, საიდანაც ჩანს, რომ მითრიდატესა და იბერთა მეფეს შორის ადგილი ჰქონდა რალაც მოლაპარაკება-შეთანხმებას. მითრიდატესა და ტიგრანის ჯარში მყოფი იბერი მეომრები, ეტყობა, დაქირავებულები იყვნენ და იბერიის მეფის სამხედრო ძალას


არ წარმოადგენდნენ. ისინი იბრძოდნენ „საჩუქართა მიღების სურვილით“ (პლუტარქე, „ლუკულუსი,“ 26, 31). სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა კოლხეთში პონტო-რომის პირველი ომის დასასრულისათვის, როცა მითრიდატემ მარცხი განიცადა საბერძნეთში. აქ იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულებმა მოითხოვეს, რომ მითრიდატეს მეფედ შვილი დაენიშნა. მითრიდატე იძულებული გახდა, შეესრულებინა აჯანყებულების მოთხოვნა და კოლხეთის მეფედ დასვა შვილი, მითრიდატე ფილოპატორი ფილადელფი. ამ აჯანყება-არეულობაში, სავარაუდოა, რომ იბერიის ხელისუფალთა ხელიც ერია. მათ ისარგებლეს მითრიდატეს წარუმატებლობებით, შეეცადნენ, დასავლეთ კოლხეთში მისი გავლენა დაესუსტებინათ და ამით თავისთვის მომგებიანი მდგომარეობა შეექმნათ. ძვ.წ. 85 წელს, დარდანოსის ზავის შემდეგ, მითრიდატემ მოიცალა კოლხეთისათვის: ურჩი შვილი, რომელიც მამის სანინაალმდეგო ინტრიგებში ჩაება, სიკვდილით დასაჯა და დასავლეთ კოლხეთში უწინდელი მდგომარეობა აღადგინა (იხ. აპიანე, „მითრიდატე“, 64).

რომთან ომების დროს, ბუნებრივია, მითრიდატე ეცდებოდა საიმედო ზურგი ჰქონოდა. ამიტომ ის მოერიდებოდა იბერიის სამეფოსთან ურთიერთობის გამწვავებას. იბერთა ხელისუფალიც, ალბათ, კარგად იყენებდა მითრიდატეს ამგვარ განწყობას, ხან სამოკავშირეო ხელშეკრულებას უდებდა (იხ. მემნონი, 30), ხან დასავლეთ კოლხეთში ხალხს უჯანყებდა, ხანაც პომპეუსისაგან დევნილ მითრიდატეს ებრძოდა (იხ. აპიანე, „მითრიდატე.“ 64, 101). გაუმართლებლად გვეჩვენება აზრი, რომ იბერებს ეშინოდათ, მითრიდატეს დამარცხების შემდეგ რომი ჩვენ მოგვადგებაო, და მხოლოდ ამიტომ მიემხრნენ მითრიდატეს. პონტო-რომის პირველი ომის დროს იბერია რომის პოლიტიკური ინტერესების არეალში არ მოქცეულა.

იბერიისა და მითრიდატეს ურთიერთობა პლუტარქეს მიამიტურად აქვს გადმოცემული. იბერებს „ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ.“ მით

უმეტეს, რომ პლუტარქე იქვე დასძენს: „იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსელებს ექვემდებარებოდნენ და, თავის დროზე, მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდან...“ („პომპეუსი,“ 34). მაშ, რად უნდოდათ ასეთ დაუმორჩილებლებს დამარცხებული „მითრიდატესთვის ეამებინათ“?! პლუტარქეს თხზულების ეს ადგილი არადამაჯერებლად ჟღერს, მით უმეტეს, რომ სხვა წერილობითი წყაროები ამავე ამბის თხრობისას იბერების მიერ მითრიდატეს მამებლობის ცდას არ აღნიშნავენ.

იბერიაში მეფე არტოკესთან ბრძოლის შემდეგ პომპეუსი ლიხის ქედით კოლხეთში გადავიდა (პლუტარქე, „პომპეუსი,“ 34). როგორც ჩანს, იბერიისაგან განსხვავებით, კოლხეთში ორგანიზებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, შესაძლოა იმიტომაც, რომ სკვპტუხიებად დანაწილებული შიდა კოლხე-



თი პოლიტიკურად იბერიის გავლენის ქვეშ იყო და მათ მეფე არტაგის მსგავსი (ქ.ც., I: 30) ჯარი არ ჰყავდათ. (იხ. აპიანე, „მითრიდატე.“ 103; დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“ XXXVII, 1, 2; პლუტარქე, „პომპეუსი,“ 34). „ამის შემდეგ, როდესაც პომპეუსმა გაიგო, რომ ფასისი არ არის შორს, გადაწყვიტა, მის გაცოლებით კოლხეთში ჩასულიყო“. ამ ნაწყვეტიდან ისე ჩანს, რომ კოლხეთი მდ. ფასისის ქვემო წელზე, ზღვასთან იგულისხმებოდა. პომპეუსი „დაიძრა განზრახული მიმართულებით და გაიარა კოლხების მიწაზე, თან მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით“ (დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“ XXXVII, 3) და ბრძოლით.

პონტო-რომის მესამე ომის დასასრულს პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე სამი ათასი მეომრით ქალაქ სინორიაში ჩავიდა, რათა სული მოეთქვა და მხედრობისთვის აღჭურვილობა შეევესო. შემდეგ აქედან მითრიდატე ჯარითურთ თავისი სიძის, ტიგრანისკენ გაემართა, „მაგრამ მან იგი არ მიიღო და თანაც ასი ტალანტი ჯილდოდ შეჰპირდა მას, ვინც მის მოჭრილ თავს მიუტანდა. ამიტომ მითრიდატემ ევფრატის სათავეს გზა აუქცია და კოლხეთში გადავიდა“ (პლუტარქე, „პომპეუსი,“ 32). ამასვე ადასტურებს დიონ კასიუსი – „თავის იმედებში მოტყუებული მითრიდატე გაემართა კოლხეთისაკენ...“ („რომის ისტ.“, XXXVI, 50).

მითრიდატე გადავიდა მდინარე აფსაროსზე, დღევანდელ ჭოროხზე და იქიდან – მდ. მტკვრის ხეობაში. იგი ზღვის სანაპირო გზით არ წასულა, რადგან იცოდა, რომ აქ პომპეუსის ბრძანებით, სამხედრო-საზღვაო ფლოტით, სერვილიუსი იყო ჩასაფრებული. სერვილიუსს, ეტყობა, მთასა და ზღვას შორის ვიწრო სანაპირო, აფსაროსის ვიწრობი ჰქონდა ბლოკირებული და მითრიდატეს რაზმებს ელოდებოდა. მითრიდატე შეიჭრა ხოტენეში, ბრძოლით გაიკაფა გზა და შემდეგ დაუყვა მდ. მტკვრის ხეობას. იქედან ფოცხოვი-ქვაბლიანი-ჭუბრაულის ხეობაში გადაინაცვლა, რადგან მტკვართან იბერებთან

შეტაკება მოუხდა (აპიანე, „მითრიდატ.“, 101). როგორც ჩანს, მათთანაც, როგორც ტიგრანთან, საქმე გართულებული ჰქონდა. ამიტომ გაემართა ზეკარის გადასასვლელისაკენ. შემდეგ ხანისწყალ-რიონის გზით მიადგა „ვანს“. მეორე შესაძლო გზა ქვაბლიან-ჭუბრაულის ხეობიდან მდ. სულორის წყალგამყოფ ქედამდე აღწევს და ხეობაში ეშვება. ის არცთუ ძნელად სავალია და სირთულით დაახლოებით ლიხის ქედის გადასასვლელის მსგავსია. ადგილობრივი მცხოვრებლები მას ახლაც იყენებენ სასიარულოდ. ამ გზაზე სოფ. სულორთან, „საკაკილში“ და მდ. ყუმურის ხეობაში სოფ. გაილოურთან, „მსხალთაში“ ძვ.წ. II-I საუკუნეების არქეოლოგიური მასალებია დადასტურებული. ამ ადგილებზე მიუთითებს ალბათ სტრაბონი, როცა გადმოგვცემს, რომ მითრიდატე „მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცაო“ (იხ. სტრაბონი, XII, III, 28).

მითრიდატეს ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება სჭირდებოდა. მას ხომ ისევ რომთან ბრძოლის დიდი გეგმები უტრიალებდა თავში, რაც უზარმაზარ თანხებს მოითხოვდა. მითრიდატეს გზაზე მდ. სულორის ხეობაში მდიდარი ქალაქი სური (დღევანდელი ვანის ნაქალაქარი) მდებარეობდა. პლინიუს სეკუნდუსი აღნიშნავს: „...ფასისს, რომელსაც ერთვის მდ. ჰიპოსი-ცხენისწყალი, ახლა არსებობს მხოლოდ სურიუმი, რომელსაც სახელი ჰქვია მდინარის, რომელთანაც მდებარეობს (ეტიკობა დღევანდელი მდ. სულორი). ეს მდინარე ფასისს ერთვის იქ, სადამდეც შეიძლება ნავებით ნაოსნობა“ (იხ. ლატიშევი, 1904: 178). ვანის ნაქალაქარზე დადასტურებული თავდასხმა-ნგრევის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება (იხ. ლიტ. ნაშრომის ბოლოს).

ვანის ნაქალაქარი თანამედროვე ქალაქ ვანის დასავლეთით, მდ. რიონის მარცხენა შენაკადის, მდ. სულორის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაფერდებულ სამკუთხა ბორცვზე, ქვედა, ცენტრალურ და ზედა ტერასებზეა განლაგებული და ფართობი 8 ჰა-ს მოი-


ცავს. ქალაქის სასიმაგრო კედლებში კომპეხია გამართული და მცირე ხეუბნს მიჰყვება. ჩრდილოეთით მდებარე მთავარი კარიბჭე რთული ანსამბლია, რომელიც ურთიერთგამიჯნული ორი კარისაგან, ნახევარწრიული კომპისა და საგუშაგო ნაგებობებისაგან შედგება. აქვეა საკურთხეველი. ყველაფერი ეს მიდგმულია კლდეზე. წინა კარი ვერტიკალურად სწრაფდასამუშაოა ანუ კატარაქტას მსგავსია. აქ კარის რკინის გარსაკრავი აღმოჩნდა.

ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს მეორე შესასვლელი იყო. ამ კარიბჭის შიდა სივრცე სწორკუთხაა ცენტრში ორი სვეტით. აქ დარბაზის მომიჯნავე სათავსოში აღმოჩნდა მარცვლეულით სავსე კოლხური ქვევრები. იქვე, სამხრეთით დიდი ზომის წყლის რეზერვუარია კლდეში ამოკვეთილი, რომელიც გარნიზონის წყლით მომარაგებისათვის იყო განკუთვნილი.

ნაგებობებში კედლები ქვათლილებითა და ალიზით იყო ამოყვანილი. ვანის კომპეხი მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილია, სადაც, სავარაუდოდ, საარტილერიო დანადგარებიც იდგა. სასიმაგრო კედლები ქვის თლილი კვადრებით ერთმანეთთან მჭიდროდ არის ნაგები. კედლის ორივე მხარე კვადრებითაა ამოყვანილი, ხოლო მათ შორის უსახო ქვები და თიხა-მიწა ყრია. ქალაქის სასიმაგრო ნაგებობები კრამიტით იყო დახურული.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ძვ.წ. II-I საუკუნეების საზოგადოებრივი, სატაძრო-საკულტო და ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები. ქალაქს ჰქონდა მძლავრი სამშენებლო პოტენციალი: კრამიტის, ალიზის აგურის დამამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლელები; მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა.შ. რაც მთავარია, ყველაფერი ამის ამოქმედება მოითხოვდა გარკვეულ ორგანიზაციულ გამოცდილებას და სამშენებლო-საინჟინრო ცოდნას. ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში დიდძალი ადგილობრივი წარმოების ქვევრები, ამფორები,

ვანის ნაქალაქარის
რეკონსტრუქცია



ქოთნები, დოქები, ჯამებია მიკვლეული. აქვეა აღმოჩენილი შემოტანილი, უცხოური – სინოპური, როდოსული, ქიოსური, კნიდის, კოსის კერამიკული გადასატანი ტარა; ასევე, მცირეაზიური – შავი და წითელლაქიანი კერამიკა. ეს კი მოწესრიგებულ სავაჭრო საქმიანობაზე მიუთითებს. ნაპოვნია, აგრეთვე, ტერაკოტების დასამზადებელი ყალიბები. გვხვდება დიდი რაოდენობის ვერტიკალური საქსოვი დაზგის საწაფები; ადგილობრივად დამზადებული და უცხოეთიდან შემოტანილი ოქრომჭედლობის ნიმუშები; სატევრები, შუბები, საბრძოლო ცულები, ისრის პირები, ჯავშნის ფირფიტები, ფარები, ცხენის აღკაზმულობა, ქვის ყუმბარები, შურდულის ქვები, ურნალის თავი და სხვ. (არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. „ვანი“, I–XI). ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ქალაქი „ვანი“ ეკონომიკურად ძლიერი იყო. აქ ხელოსნობა და ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული. მას ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწები (დღევანდელი სოფლები: დაბლაგომი, მთისძირი, შუამთა, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი, ბზვანი) და მათ ურბანისტულ ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქს მძლავრი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა და, ბუნებრივია, დამცველი რაზმებიც ეყოლებოდა. ეს რაზმებივე ახორციელებდნენ სასოფლო-სამეურნეო მიწების ზედამხედველობას.

მთების გადალახვის შემდეგ მითრიდატემ სამი ათას ერთგულ მეომართან ერთად დაარბია და გაძარცვა „ვანის“ მდიდარი ქალაქი. არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ ქალაქი ძვ.წ. I საუკუნეში რამდენჯერმეა დარბეული. საფიქრებელია, რომ ერთხელ ის დაანგრია და გაძარცვა მითრიდატემ, ხოლო შემდეგ პომპეუსმა, რომელმაც დაამარცხა იბერიის მეფე არტოკი და „შეიჭრა კოლხეთში“ (იხ. დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“, XXXVII, 3; პლუტარქე, „პომპეუსი,“ 34). პომპეუსმა „კოლხებთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით განავრცო რომაელთა ძალაუფლება...“ (იხ. აპიან-

ნე, „მითრიდატეს ომები,“ 114). ნგრევეების კვალი ვანის ნაქალაქარზე კარგად ჩანს.

ქალაქის გაძარცვის შემდეგ მითრიდატე თავისი მეომრებით გადავიდა მდ. ფასის-რიონზე და გაემართა ქალაქ დიოსკურიისაკენ. მან აქ რომის წინააღმდეგ ახალი გეგმების შემუშავებაში გაატარა ზამთარი, ხოლო შემდეგ „ხმელეთის გზით“ წავიდა ბოსფორში (დიონ კასიუსი, XXXVI, 50), რადგან საზღვაო გზა რომაელებს ჰქონდათ ბლოკირებული. „დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფასისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა“ (იხ. პლუტარქე : 117). პომპეუსმა კოლხეთში დაამარცხა და ტყვედ იგდო სკეპტუხი ოლთაკე (იხ. აპიანე, „მითრიდატე.“ 117). საინტერესოა, რომ ამგვარივე სახელის იბერთა სამხედრო რაზმის წინამძღოლს იხსენიებს რომაელი ავტორი ვალერიუს ფლაკუსიც (იხ. ლატიშევი, 1904: 210). შესაძლოა აქ ერთსა და იმავე სამხედრო წარჩინებულ პირზე იყოს საუბარი. მითრიდატეს მიერ ქალაქის გაძარცვისა და დიოსკურიისაკენ წასვლის შემდეგ, ქალაქის მესვეურებმა დაიწყეს მისი თავდაცვითი სისტემის სახელდახელო აღდგენა-გამაგრება. ისინი ჩქარობდნენ, რადგან დაზვერვის შედეგად იცოდნენ, რომ, როცა პომპეუსი იბერებს დაამარცხებდა, კოლხეთში გადმოვიდოდა საომრად. ეტყობა, პომპეუსს არ გასჭირვებია მითრიდატეს მიერ გაძარცვული ქალაქის ხელმეორედ აღება. ახალი ნგრევის კვალი მხოლოდ ზოგიერთ არქეოლოგიურ უბანზე დასტურდება. ნაქალაქარზე ნაპოვნია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული არნივის 8 სმ-იანი გამოსახულება, რომელსაც ქვემოდან ტარზე დასამაგრებელი ღრუ აქვს. შესაძლებელია, ეს იყო რომაელთა რაზმის დროშა-შტანდარტის თავი. ამ ნგრევის ფენაშივეა ნაპოვნი რომაული მონეტები და რომაული საბრძოლო შუბი – პილუმი. ქალაქი არსებობას პომპეუსის დალაშქრის შემდეგაც აგრძელებდა, თუმცა მისი ეკონომიკური საყრდენი უკვე მოშლილი იყო.

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ყუმბარსატყორცნ, ბალისტას ტიპის მანქანებს, როგორც თავდამსხმელები, ასევე ქალაქის დამცველები იყენებდნენ. თავდამსხმელები ყუმბარებით ქალაქის ნაგებობებს, ხოლო ქალაქის გარნიზონი მომხდურებს – სააღყო მანქანა-მონყო-ობილობებს უზიანებდნენ. ქვის ყუმბარები, უმეტესწილად, ვანის ნაქალაქარის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, თავდაცვითი კედლის და კარიბჭის კომპლექსის ნანგრევებში დადასტურდა. ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტუფის ქვისაგან გამოთლილი მრგვალი ბირთვების, ყუმბარების დიამეტრი 10-დან 30 სმ-მდეა. შესაბამისად, ისინი სხვადასხვა კალიბრისა იყო. ასეთი, სპეციალურად მრგვლად გამოთლილი ყუმბარები, ეტყობა, ძირითადად ქალაქის გარნიზონის იყო. მომხდურები უფრო ჩვეულებრივ, არა მრგვალ ლოდებს იყენებდნენ სატყორცნად, რომლებიც მდ. რიონის ქალები-

დან მოჰქონდათ. ვანის ნაქალაქარზე 300-მდე ქვის მრგვლად გათლილი ყუმბარაა აღმოჩენილი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქში ყუმბარმტყორცნელთა სპეციალურად განვრთნილი მეომრები ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი იარაღი მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ქალაქებს ჰქონდათ.



ქალაქ „ვანის“ დამცველები

იბერია-კოლხეთში რომაელების ექსპანსია

რომის სახელმწიფო განუწყვეტელ ომებში იყო ჩაბმული და მსოფლიო ბატონობისაკენ ილტვოდა. მისი განსაკუთრებული პოლიტიკურ-ეკონომიკური გაძლიერება ძვ.წ. III საუკუნის მიწურულიდან დაიწყო. ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნების დამორჩილების შედეგად ის უძლიერესი სახელმწიფო გახდა. შემდეგ რომაელთა დაპყრობების მახვილი აღმოსავლეთის მდიდარი ქვეყნების წინააღმდეგ აღიმართა.

ძვ.წ. 65 წელს ტრანსკავკასიაში გნეუს პომპეუს მაგნუსის ხელმძღვანელობით რომის რესპუბლიკის ლეგიონერები გამოჩნდნენ. რომს კავკასიაში ძირითადად იზიდავდა ეკონომიკურ-სტრატეგიული გამორჩენა, ახალი ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა; ახალი სავაჭრო გზებისა და საქონლის გასასაღებელი ბაზრების ხელში ჩაგდება. საყურადღებო იყო შუა აზიიდან მომავალი გზა, კასპიის ზღვიდან მდ. მტკვარზე ლიხის ქედის გადასვლით, მდ. ფასისზე გავლით შავ ზღვამდე. ეს გზა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მას შემდეგ, რაც გაძლიერებულმა პართიის სახელმწიფომ თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჩინეთიდან და ინდოეთიდან მომავალი სამხრეთის სატრანზიტო მაგისტრალები.

კავკასიონის ქედი კარგი წინააღმდეგობა იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-მეომარი ტომების ტრანსკავკასიასა და მცირე აზიაში შემოჭრის რეგულირებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მამისონის, დარიალისა და დერ-



პომპეუსი

ბენტის გადასასვლელები. ვის ხელშიც ეს გზები იყო, მას შეეძლო კონტროლი გაენია ჩრდილოკავკასიური მეომარი ტომების მოძრაობისათვის. ამასთანავე, პომპეუსს პირადი პატივმოყვრული ინტერესებიც ამოძრავებდა. გაიუს მანილიუსის კანონის მიხედვით, პომპეუსმა აღმოსავლეთში შეუზღუდავი, ერთპიროვნული ძალაუფლება მიიღო. მას აღმოსავლეთის პროვინციებში მყოფი ყველა ლეგიონი და სამხედრო-სახლგაო ფლოტი ექვემდებარებოდა. პომპეუსს თავისი შეხედულების მიხედვით შეეძლო დაენიშნა ან გადაეყენებინა მმართველები, ენარმოებინა ომები, დაედო ზავი. მანამდე რომის რესპუბლიკაში ასეთი დიდი ძალაუფლება არავის მიუღია.

აღმოსავლეთის ქვეყნებში პომპეუსის ჩასვლის დროისათვის ლუკულუსს მითრიდატე ევპატორთან ომი თითქმის ბოლომდე ჰქონდა მიყვანილი. პომპეუსს კი დიდება-სახელისა და მომავალი ტრიუმფებისათვის ახალ-ახალი ომები სჭირდებოდა. პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობა, რასაკვირველია, მხოლოდ მითრიდატე ევპატორის დევნითა და მასზე საბოლოო გამარჯვების მოპოვების წყურვილით არ აიხსნება, თუმცაღა ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა ყოფილიყო.

ძვ.წ. 65 წელს პომპეუსი მოულოდნელად და ვერაგულად შეიჭრა იბერიაში. იბერიის მეფე არტოკემ, ეტყობა, ვერ მოახერხა თავისი ძალების სწრაფად მობილიზება მტრის წინააღმდეგ და გაცლა არჩია. არტოკე დაზვერვის შედეგად საქმის კურსში იყო რომაელების საომარი გადაადგილების თაობაზე. მიუხედავად ამისა, არტოკემ, ბუნებრივია, იმდროინდელი უძლიერესი სახელმწიფოს კარგად შეიარაღებული და განვრთნილი, ბრძოლებში გამობრძმედილი ჯარისათვის ორგანიზებული წინააღმდეგობის განევა ვერ მოახერხა. ამიტომ იგი ამ შემთხვევაში ერთადერთ სწორ გზას, დროის გაყვანის ტაქტიკას და-

ადგა, რადგან მიხვდა, რომაელებთან პირდაპირ შეჯახებისას მათთან გამკლავება გაუჭირდებოდა.

პომპეუსის მრავალრიცხოვანი ლეგიონერები მდ. მტკვრის ზემო წელზე, სამხრეთ სანაპიროზე დაბანაკდნენ, სადაც დროებით ბანაკს თხრილები შემოავლეს; პარალელურად სურსათს იმარაგებდნენ და აღჭურვილობა ნესრიგში მოჰყავდათ.

პომპეუსი ისე იქცეოდა, თითქოს ადგილობრივ მოსახლეობასთან სამტრო არაფერი ჰქონდა. მან იბერიის მეფეს შეუთვალა, რომაელების მტერი მითრიდატე კოლხეთშია, მის საბოლოოდ დასამარცხებლად მივდივარ და შენს სამფლობელოებზე გამატარეო. იბერიელები რომაელთა მოქმედებებს თვალს ფხიზლად ადევნებდნენ, რადგან ხვდებოდნენ პომპეუსის ნამდვილ მიზნებს. იბერიის მეფემ პომპეუსს დესპანი აახლა, რომელმაც მეფის სახელით მას მეგობრობა და მშვიდობა შესთავაზა. მეფე არტოკეს დესპანი პომპეუსს დროებით სამხედრო ბანაკში ეწვია. პომპეუსი ხვდებოდა, რომ იბერიას მხოლოდ იარაღით თუ დაიმორჩილებდა. ამ დროს პომპეუსი ალბანებთანაც აპირებდა ომს, ამიტომ მეფე არტოკეს დესპანს ზავი აღუთქვა.

არტოკემ ბრძოლას თავი აარიდა, დაიხია, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ხიდი დანვა. არმაზციხის გარნიზონი უთანასწორო ბრძოლაში ჩაება, რაც სიმაგრის პომპეუსისთვის ჩაბარებით დამთავრდა. პომპეუსმა ციხეები და ხეობები ლეგიონერებით გაამაგრა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროც დაიმორჩილა. მეფე არტაგმა ანუ არტოკემ ზავი ითხოვა და მტერს აღუთქვა, მტკვარზე ხიდს აღვადგენთ და სურსათს მოგანვდითო. არტოკემ მიცემული სიტყვა შეასრულა, რომაელები კი ახალ ხიდზე გადავიდნენ და არტოკეს მეომრებს ისევ შეუტიეს. ისინი რომაელებს შეებნენ და ერთხანს შეაჩერეს მათი შემოტევა. არტოკემ ჯარის ნაწილით ახლა მდ. არაგვზე გადასვლა მოასწრო და აქაც დანვა ხიდი.


იბერიელ მეომართა არაგვის მარცხენა ნაპირზე დარჩე-

ნილი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. ვინც გადარჩა, ტყეს შეეფარა და პარტიზანული ომი დაიწყო. მშვილდოსნები და მესურდულეები მტერს ხეებიდან უშენდნენ ისარსა და ქვას, რითაც რომაელ მეომრებს დიდ ზიანს აყენებდნენ. პომპეუსმა ბრძანება გასცა, ტყისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ, რათა ამ ხერხით ადგილობრივები გაენადგურებინა. პლუტარქემ ამ ომს „დიდი ბრძოლა“ უწოდა. მეფე არტოკეს ჯარის ნაწილი ბრძოლებში დაიღუპა. ამიტომ არტოკე იძულებული გახდა, საზავო მოლაპარაკება განეახლებინა. ამჯერად არტოკემ პომპეუსს ძვირფასი საჩუქრები შესთავაზა, კერძოდ, ოქროს ტახტი, სარეცელი და მაგიდა. პომპეუსმა ძღვენი მიიღო, მაგრამ არტოკეს დამატებით მძევლად შვილები მოსთხოვა. საზავო მოლაპარაკებებში დრო გადიოდა. პომპეუსს ეს ლაშქრობა მეტად გაუძნელდა და გაუჭიანურდა. საბოლოოდ, გამარჯვების შემდეგ პომპეუსი კოლხეთში გადავიდა და დამორჩილებული ქვეყნების მართვა-გამგეობის მონესრიგება დაიწყო. პონტოს სამეფო რომის პროვინციად გამოცხადა, იბერია და ალბანეთი კი რომაელთა „მოკავშირედ და მეგობრად“. კოლხეთის სანაპირო უმუშალოდ რომის მიერ კონტროლირებულ პონტოს ხელისუფლებას დაუმორჩილა.

ამის შემდეგ პომპეუსის ჯარმა დაიპყრო სირია და პალესტინა. საბოლოოდ დამარცხებულმა მითრიდატემ თავი მოიკლა. გამარჯვებულ პომპეუსს კი რომში დიდებული ზეიმი და ტრიუმფალური შეხვედრა მოუწევს.

აღმოსავლეთში ომების შედეგად რომი მცირე აზიას, სირია-პალესტინას და სამხრეთ ტრანსკავკასიას დაეუფლა და პართიის სახელმწიფოს მეზობელი გახდა. მალე ეს ორი ძლიერი იმპერია ერთმანეთს შეეჯახა და მათ შორის ბრძოლა საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა.

იბერიასთან ურთიერთობების მოგვარების შემდეგ პომპეუსი გადავიდა ლიხის ქედზე და „კოლხეთში შეიჭრა“ (იხ. პლუტარქე, „პომპეუსი“, 34). როგორც ჩანს, ძლიერ ციხესიმაგრე



პირკანის

სარმატები

კავკასიის ქედი

ზღვა

დაკია

ქერსონები

ევფსინის პუნტოს ზღვა

სინოპა

ტრაპუნტი

ფასისი

პუნტოს სავფო

ნიკომედია

ანკარა

ბიტიონია

სამოსატა

მელიტენე

კაბადოკია

სირია

ანტიოქია

დამასკო

ბოსტრა

კესარია

იერუსალიმი

ალბანეთი

არტაქსატი

არმენია

არაკსი

ეფრათი

ტიგრისი

პართია

სელევკია

პატიონი

ქციფონი

პატიონი

პატიონი

პატიონი

პატიონი

პატიონი

შორაპანს (არქეოლოგიური მასალა იხ. ლიტ. ბოლოში) არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისათვის, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იმ დროისათვის შორაპანი არტოკეს ექვემდებარებოდა, მას კი რომთან სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. სტრაბონი სარაპანის – შორაპნის შესახებ გადმოგვცემს: „სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა;“ კოლხეთიდან იბერიაში შესავალი დახშულია კლდეებით და სიმაგრეებითო (XI, II, 17; III, 4). რომაელების გამოჩენის დროს შიდა კოლხეთი დანაწილებული იყო სკეპტუხია-საგამგებლოებლად. მათი ნაწილი იბერიის პოლიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა. ასეთი იყო შორაპანი, რომელიც უბრძოლველად გაიარა პომპეუსმა, ხოლო ნაწილი, ეტყობა, შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. ასეთი იყო „ვანი“, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ რეგიონს წარმოადგენდა. მითრიდატე ევპატორის მოხელეს, მოაფერნეს კი დასავლეთი კოლხეთი ექვემდებარებოდა (სტრაბონი, XI, II, 18).

პომპეუსი რომ მხოლოდ მშვიდობიანი გზით არ მოქმედებდა კოლხეთში, ამაზე მიუთითებს აპიანეს ცნობა, რომ პომპეუსმა კოლხებთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით გაავრცელა რომაელთა ძალაუფლებაო... (აპიანე, „მითრიდატეს ომები,“ 114). ამასვე აღნიშნავს ფლორუსი („მითრიდატეს ომები,“ 40), პომპეუსმა დაამარცხა კოლხებო.

რომაელთა აგრესიულობის დასტურია ისიც, რომ რომში პომპეუსის ტრიუმფის დროს ტყვეთა შორის წარმოდგენილია „კოლხების სკეპტუხი ოლთაკე“. შესაძლებელია, ოლთაკე „ვანის“ საგამგებლოს წარჩინებულთა გვარიდან იყო, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია პომპეუსს. აქვე გავიხსენოთ ვანის ნაქალაქარის ნგრევის კვალი. აპიანე ტრიუმფის მონაწილეებს იერარქიული თანმიმდევრობით ჩამოთვლის; აქ აშკარად ჩანს, რომ ოლთაკე ჩვეულებრივი სარდალი კი არ არის, არამედ ძველი კოლხეთის ხელისუფალთა გვარისაა. იგი სიაში მეფეებ-

სა და მათ შვილთა შორისაა დასახელებული. საფიქრებელია, ასეთი წარმომავლობა აძლევდა მას უფლებას, რომ არტოკეს პომპეუსთან დაზავების შემდეგ დამოუკიდებლად გაეგრძელებინა საკუთარი სამფლობელოების დაცვა. ასევე, რომაელებს არ დაემორჩილა და კავკასიონის მთებს შეაფარა თავი კოლხთა ერთ-ერთმა მმართველმა ოროზმა, როგორც ამას გადმოგვცემს რომაელი ავტორი ფლორუსი („მითრიდატეს ომები,“ X, 28). ოროზი, ჩანს, ოლთაკეს მსგავსად კოლხეთის რომელიღაც მხარის წინამძღოლ-მმართველი იყო.

დასავლეთ კოლხეთის მმართველ მოაფერნეს წინააღმდეგობა არ გაუნწევია პომპეუსისთვის. ყოველ შემთხვევაში, მოაფერნეს საბრძოლო მოქმედება წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. საყურადღებოა, რომ იგი არ არის პომპეუსის ტრიუმფის სიაში. შესაძლებელია, მოაფერნემ ჯერ მითრიდატესთან ერთად დაიზამთრა დიოსკურიაში, ხოლო შემდეგ მასთან ერთად ბოსფორისაკენ გაიქცა. პომპეუსი მდ. ფასისის გაყოლებით ჩავიდა ზღვამდე, ქ. ფასისში, სადაც მას სერვილიუსი ფლოტით შეეგება (იხ. პლუტარქე, პომპეუსი, 34). რომაელები დიოსკურიის, მითრიდატე ევპატორის კოლხური რეზიდენციის მიმართულებით აღარ წავიდნენ. შესაძლებელია, მითრიდატეს გაქცევის შემდეგ ქალაქი თავისი ნებით გადავიდა პომპეუსის მხარეზე და წარმომადგენლები აახლა. სოხუმ-დიოსკურიის არქეოლოგიურ ძეგლზე ძვ.წ. I საუკუნის კულტურული ფენები სუსტად არის წარმოდგენილი. აქ რაიმე ნგრევის კვალი ჯერჯერობით არ ჩანს. ზღვამდე მისულმა პომპეუსმა მითრიდატეს დევნა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა. პლუტარქეს თქმით, „ბოსფორისა და მეოტიდის მახლობლად მცხოვრებ ტომებში თავშეფარებული მითრიდატეს დევნა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს, პომპეუსს აუწყეს, ალბანელები ხელახლა აჯანყდნენო. რისხვითა და შურისძიების სურვილით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა.“ პომპეუსს „სრულებითაც არ უნდოდა მტრის დევნა

ამაოდ. იგი სხვა საქმეებს აკეთებდა, რომლებიც მითრიდატეს-თან ომთან იყო დაკავშირებული და დროს აჭიანურებდა“ (იხ. პლუტარქე, „პომპეუსი“, 34, 41).

კლდე-ღრეებში მითრიდატეს დევნას პომპეუსმა მოქნილი პოლიტიკა ამჯობინა. როგორც ჩანს, მან მითრიდატეს შვილ-თან, ფარნაკესთან გააბა კავშირი და მისი ხელშეწყობით მო-უსწრაფა მითრიდატეს სიცოცხლე – ფარნაკეს მოქმედებებმა მითრიდატე თვითმკვლელობამდე მიიყვანა. პლუტარქე აღ-ნიშნავს, რომ მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ფარნაკემ მიისაკუთრა და პომპეუსს შეატყობინა: ყველაფე-რი ეს ჩემთვისა და რომაელებისათვის მივიღეო (პლუტარქე, „პომპეუსი“, 41). მამის „მკვლელი“ ფარნაკე პომპეუსმა „რო-მაელთა მეგობრად და მოკავშირედ გახადა და მას ბოსფორის მეფობა უბოძა...“ (აპიანე, „მითრიდატეს ომები“, 113). შემდეგ პომპეუსი აფსაროსის გასასვლელისა და აღმოსავლეთ ანატო-ლიის გავლით გაურჩეული ალბანელების დასაშოშმინებლად წავიდა (იხ. დიონ კასიუსი, XXXVII, 3; პლუტარქე, „პომპეუ-სი“, 35) და კოლხეთის გამგებლად არისტარქე დატოვა (აპიან-ე, 114). პომპეუსის მიერ აღზევებული არისტარქე შესაძლოა არ იყო ისეთი მაღალი წარმომავლობის, მეფური გვარის, რომ კოლხ წარჩინებულებს ელიარებინათ მისი სიუზერენობა და ამიტომ ამჯობინა, არ გაელიზიანებინა ისინი. საფიქრებელია, რომ სწორედ ამიტომ არისტარქე შიდა კოლხეთში კი არ დაჯ-და, არამედ დიოსკურია აირჩია მთავარ რეზიდენციად, რო-მელიც ადრე მითრიდატეს კოლხური რეზიდენცია იყო. სანა-პირო ქალაქი კომუნიკაციური თვალსაზრისით არისტარქეს-თვის რეზიდენციად უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. აქედან უფრო კარგად შეიძლებოდა, ერთი მხრივ, კოლხეთის კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ, რომაელებთან კავშირი.

არისტარქეს რეზიდენციის, დიოსკურიის, სანაპიროზე მდებ-არეობის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ შესაძლოა არისტარქე წარმოშობით რომელიმე სანაპირო ქალაქის არის-

ტოკრატიული გვარიდან იყო და ამიტომ, ბუნებრივია, აქ უფრო მყარი პოლიტიკური დასაყრდენი ექნებოდა. სამწუხაროდ, ის, თუ როგორი იყო არისტარქეს რეალური ძალაუფლება, ან კონკრეტულად კოლხეთის რა ნაწილი ექვემდებარებოდა მას, საისტორიო წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. ჩვენთვის აგრეთვე, უცნობია, არისტარქეს მმართველობა ზუსტად რამდენ ხანს გრძელდებოდა. სავარაუდოდ, არისტარქე მმართველობს ძვ.წ. 48 წლამდე, ბოსფორის მეფის ფარნაკეს დასავლეთ კოლხეთში შემოჭრამდე (იხ. სტრაბონი XI, II, 17).

ცნობილია, რომ რომაელები ექსპანსიის დასაწყისში მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში კი არ ცვლიდნენ არსებულ სამმართველო-კანონმდებლური აპარატის სტრუქტურას, არამედ მას თავიანთ სამსახურში აყენებდნენ. ისინი ასე მოიქცნენ კოლხეთშიც. მათ მმართველად დანიშნულ არისტარქეს საგამგებლო აპარატის სტრუქტურა ძველი დაუტოვეს, იგივე დარჩა კოლხეთის მმართველის რეზიდენციაც, მითრიდატესეული – დიოსკურია. საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთის სამთავრო-სკეპტუხიებზე (მაგ., ოლთაკეზე) არისტარქეს ძალაუფლება ეფემერული იყო. ჯერ კიდევ ლუკულუსი აღნიშნავდა მითრიდატესთან ომის დროს ამ მხარის სრული დამორჩილების სიძნელეების შესახებ (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში რომის რესპუბლიკაში შიდა პოლიტიკური ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა. ძალაუფლება გაიუს იულიუსმა იგდო ხელთ, რომელიც ძვ.წ. 44 წელს მოკლეს. ამის შემდეგ ოქტავიანეს, ანტონიუსისა და ლეპიდუსის ტრიუმვირატი შეიქმნა. მალე ტრიუმვირები ერთმანეთს დაერივნენ. გახანგრძლივებულმა შიდა პოლიტიკურმა ბრძოლებმა დაასუსტა რომის ძალაუფლება პერიფერიაში. თავი წამოყვეს სეპარატისტულად განწყობილმა ხელისუფლებმა. შექმნილი მდგომარეობის გამოყენება სცადა მითრიდატე ევპატორის შვილმა, ბოსფორის მეფე ფარნაკემაც. მან გადაწყვიტა, პონტოს სამეფო მამისეულ ფარგლებში აღედგი-

ნა. დიონ კასიოსი გადმოგვცემს: „ფარნაკემ მოინდომა მთელი მამისეული სამეფოს დაბრუნება და აჯანყდა იულიუს კეისრისა და პომპეუსის ურთიერთ ბრძოლის დროს, რადგან რომაელები მაშინ საკუთარი საქმეებით იყვნენ გართულნი“ (XLII, 45). მამამისის ყოფილი აზიური სამფლობელოებისაკენ მიმავალი ფარნაკე, ბუნებრივია, თუ ზღვით არ წავიდოდა, უმოკლესი გზა, კოლხეთი უნდა გაეველო.

ფარნაკემ არისტარქე დაამარცხა თუ შეიკავშირა, უცნობია. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ფარნაკემ „ყველა იქაური მეფე და ტეტრარქოსი საამბოხოდ წააქეზა“ („კეისარი“, 50). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფარნაკეს მოქმედების შესახებ მხოლოდ ერთადერთი ცნობაა შემონახული, სადაც აღნიშნულია, რომ მან გაძარცვა ლევკოთეას სამლოცველო. სხვა არც ერთი წერილობითი წყარო, რომელიც ფარნაკეს ბრძოლებს ეხება, ლევკოთეას გაძარცვის შესახებ არაფერს ამბობს (იხ. დიონ კასიუსი, პლუტარქე, აპიანე). სტრაბონთან აღნიშნულია, რომ „...ლევკოთეას სამლოცველო, ... და სამისნო...; ოდესღაც მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს ის ფარნაკეს მიერ და მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული“ (XI, II, 17). სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ ნათლად ჩანს, რომ ლევკოთეას სამისნო მოსხების ქვეყანაში, ფარნაკეს და შემდეგ მითრიდატე პერგამონელის საომარი მოქმედებების ასპარეზზეა საძებნელი. ეს ასპარეზი კი ფარნაკესთვის ძირითადად უნდა ყოფილიყო ბითინია, კაპადოკია და ზღვისპირა ქალაქები (იხ. პლუტარქე, „კეისარი“, 50; აპიანე, 120). ამ დაპყრობებს წერილობითი წყაროებიდან მხოლოდ დიონ კასიუსი ამატებს კოლხეთს (XLII, 45). მაგრამ ამავე დიონ კასიუსის თქმით, კოლხეთი სადღაც უფრო მდ. ფასისის ქვემო წელზე, ზღვისკენ მდებარეობდა. ზემოთ ნათქვამიდან ისე ჩანს, რომ როცა დიონ კასიუსი კოლხეთის დაპყრობაზე ლაპარაკობს, იგულისხმება უფრო დასავლეთი, ზღვისპირა კოლხეთი. ლოგიკის მიხედვით, სწორედ ეს ნაწილი უნდა დაერბია ფარნაკეს.

საფიქრებელია, რომ ამ გზაზე გაძარცვა მან ლევკოთეას მდიდარი სამისნო და წავიდა მცირე აზიისაკენ თავისი ძირითადი მიზნის განსახორციელებლად – მამისეული სამფლობელოების დაბრუნებისათვის საბრძოლველად.

სანამ ფარნაკე მცირე აზიაში ბრძოლებს აწარმოებდა, ბოსფორში მის მიერვე დანიშნული მმართველი ასანდრი აჯანყდა. მას უნდოდა, ფარნაკეს წინააღმდეგ გამოსვლით რომაელების გული მოეგო და მათი ხელშეწყობა-თანხმობით ბოსფორში ხელისუფლება ეგდო ხელთ (დიონ კასიუსი, XLII, 46). ძვ.წ. 47 წელს აღმოსავლეთ ანატოლიაში, ქალაქ ზელასთან იულიუს კეისარმა დაამარცხა ფარნაკეს მხედრობა (იხ. პლუტარქე, კეისარი, 50; დიონ კასიუსი, XLII, 47; აპიანე, 120). ფარნაკემ ზღვისკენ დაიხია ბოსფორში გადასასვლელად. ბოსფორში მას აჯანყებული ასანდრი შეებრძოლა და იგი საბოლოოდ გაანადგურა. ამის მიუხედავად, ასანდრი რომაელებმა ბოსფორის მმართველად მაინც არ დანიშნეს. ბოსფორის სამეფო იულიუს კეისარმა, სხვა ტერიტორიებთან ერთად, თავის მოკავშირე მითრიდატე პერგამონელს უბოძა. თუმცა, ბოსფორი მითრიდატე პერგამონელს ასანდრისაგან ბრძოლით უნდა მოეპოვებინა. შესაბამისად, მითრიდატე პერგამონელი საბრძოლველად ბოსფორისაკენ დაიძრა და გზად ზღვისპირა კოლხეთზე გაიარა. ასანდრმა მითრიდატე პერგამონელი დაამარცხა ბოსფორში ლაშქრობისას (სტრაბონი, XIII, IV, 3).

რა ხდებოდა კოლხეთში ზემოხსენებული ომების დროს, წერილობითი წყაროებიდან უცნობია. ერთადერთი ცნობა ამის შესახებ ლევკოთეას სამლოცველოს დარბევია. ამ ბრძოლების შესახებ ცნობების უქონლობა იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ დასავლეთ კოლხეთი ამ ომებში მხოლოდ სტრატეგიული მხარე იყო, სადაც უმოკლესი გზა გადიოდა ბოსფორიდან მცირე აზიისაკენ. ბოსფორისა და მცირე აზიის ბრძოლების აღწერას საისტორიო წყაროებში უფრო მეტი ადგილი ეთმობა. საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთში შეჭრა და ადგილობრივი არის-

ტოკრატიის ამხედრება ამ შემთხვევაში არ შედიოდა მეომარი მხარეების ინტერესებში. ბუნებრივია, არც ერთ მეომარ მხარეს არ ენდომებოდა, ზურგში აჯანყებულები დაეტოვებინა, მით უმეტეს, რომ ცნობილია, მარტო ერთმა – ასანდრის აჯანყებამ ბოსფორში როგორი ტრაგიკული შედეგები გამოიწვია ფარნაკესათვის. ამიტომ შესაძლებელია, შიდა კოლხეთის სამთავროები მთელი ამ ომების დროს გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

ოქტავიანე ავგუსტუსის დროს რომის აღმოსავლური პოლიტიკა კიდევ უფრო აქტიური და მოქნილი გახდა. რომაელების მომხრე მეფე პოლემონს მიეცა განკარგულება, რომ ბოსფორში ასანდრის გარდაცვალების შემდეგ რომის ფაქტობრივი ძალაუფლება აღედგინა. დასავლეთ კოლხეთი ამჯერად უკვე პოლემონის საბრძოლო ოპერაციების არეალში უნდა მოხვედრილიყო, რადგან ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. პოლემონმა დასავლეთ კოლხეთი ოქტავიანე ავგუსტუსის დასტურით შეუერთა პონტოს. სტრაბონი გადმოგვცემს: „პოლემონს ჰქონდა კოლხეთი, ხოლო როდესაც ის მოკვდა ძვ.წ. 8 წელს, მისი მეუღლე პითოდორისი ფლობდა კოლხეთს...“ (XI, II, 18).

შავიზღისპირეთს რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ადგილი ეკავა. შავიზღვისპირეთის კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას. რომს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გაჰქონდა ლითონი, ხე-ტყე, მარცვლეული, ტყავეული, სელი, ღვინო. დასავლეთ კოლხეთი პოლემონის პონტოს შემადგენლობაში იმპერატორ ავგუსტუსის დროს შედის. ამ დროისათვის დასავლეთ კოლხეთი მართალია უშუალოდ არ ექვემდებარებოდა რომს, მაგრამ პონტოს სამეფოს საშუალებით რომის პოლიტიკურ გავლენაში მაინც მოექცა. ამ დროს რომის ლეგიონერები კოლხეთის მიწაზე არ იდგნენ.

რომის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო, აღმოსავლეთის საზღვრებთან შეექმნა ფაქტობრივად

მასზე დამოკიდებული, ხოლო ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნები, რომელთა ხელთაა ც რომი სასაზღვრო რეგიონებში სათავისო პოლიტიკას გაატარებდა. ერთ-ერთი ასეთი სამეფო მცირე აზიაში პოლემონის პონტო იყო, რომელშიც ზღვისპირა კოლხეთის ნაწილიც შედიოდა. პოლემონის პონტოს მნიშვნელოვანი ცენტრი, ქალაქი ტრაპეზუნტი, ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა მასთან.

რომმა, მიუხედავად ძლევამოსილებისა, მაინც ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტარქეს, ვერც მითრიდატე პერგამონელის და ვერც პოლემონის ხელით. რამდენადმე გამართლდა ლუკულუსის წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნავდა, ამ მხარის დამორჩილება ძალიან ძნელიაო. მართლაც, შიდა კოლხეთი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოთი – ხეობებით, მთებით, სწრაფი, ძნელად გადასალახი მდინარეებით, უღრანი ტყეებით – ადვილად დასამორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. ამას ემატებოდა, აგრეთვე, აგრესიულად განწყობილი, ძლიერი სამთავრო-სკეპტუხიები და მთის მეომარი მოსახლეობა. ზღვისპირეთისათვის კი რომაელები გარკვეული კონტროლის განწევას ახერხებდნენ.

ამრიგად, თვალშისაცემია, რომ საომარი ფაქტორი მნიშვნელოვან, ზოგჯერ გადამწყვეტ როლს თამაშობდა კოლხეთიბერიის ისტორიული განვითარების პროცესში. იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ კოლხეთის სამეფოს საბოლოოდ დაშლა და პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. კოლხეთისათვის უარყოფითი გამოდგა პონტოს სამეფოს ექსპანსიაც, რომელსაც ზღვისპირეთის ანექსია მოჰყვა. შიდა კოლხეთში დაინგრა და გაიძარცვა „ვანის“ მდიდარი ქალაქი. კოლხეთი გადაიქცა პონტოს სამეფოსა და რომს შორის საომარი მოქმედებების ასპარეზად, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდად უნდა დაზარალებულიყო.

რომის საჯარისო ნაწილები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშ-

ნეთ, საქართველოს ზღვისპირეთში ძვ.წ. 65 წლიდან გამოჩნდნენ. I ს-იდან იბერიის სამეფო კავკასია-მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ანგარიშგასაწევ ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, რაც აქ მისთვის მომგებიანი გეოპოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული. ამ დროისათვის „მეგობრული“ რომის ლეგიონერები კავკასიონის ერთ-ერთ გადმოსასვლელს, დარიალის ხეობას იცავდნენ (იხ. ტაციტუსი, ანალები, IV, 5).

რომში ნერონის იმპერატორობის დროს ანატოლია-კავკასიაში საომარი მოქმედებების ხელმძღვანელად გნეიუს კორბულონი დაინიშნა. იბერთა სამეფო ამ პერიოდისათვის ისევე რომის მოკავშირეა. კორბულონმა დაამარცხა ტირიდატი და ქალაქი არტაქსატი აიღო. ტაციტუსის მიხედვით, რომის მომხრე მეფეებმა: ფარსმანმა, არისტობულმა, პოლემონმა და ანტიოქოსმა მათ სამფლობელოებთან ახლოს მდებარე ტერიტორიები მიიღეს (ანალები, XIV, 26). ცოტა ხანში პართიამ ისევე დაიბრუნა ქ. არტაქსატი და მთელი არმენია. აქ კვლავ ტირიდატმა იგდო ძალაუფლება ხელთ. მალე პართია და რომი დაზავდნენ, რითაც იბერიის პოზიციები შესუსტდა.

იბერიელების მოკავშირეებად ამ შემთხვევაში ჩრდილოკავკასიელი ალანები მოგვევლინენ. იბერიელების მიერ ნაქეზებული მომთაბარე ალანები რომისა და პართიის სამფლობელოებს ესხმოდნენ თავს. ახ. წ. 68 წელს იმპერატორმა ნერონმა

განიზრახა ალანების წინააღმდეგ გალაშქრება, რაც, როგორც ჩანს, პართელებსაც აწყობდათ. ეს ჩანაფიქრი ვერც ნერონის და ვერც ვესპასიანეს ეპოქაში ვერ განხორციელდა. ამასობაში კი ალანები რომისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე რამდენჯერმე შეიჭრნენ. იოსებ ფლავიუსი გადმოგვცემს, რომ კავკასია-ჰირკანის გასასვლელი გახ-



ვესპასიანე

სნეს იბერებმა და ალანები მდ. არაქსისპირეთს შეესივნენ. მათ ააოხრეს ეს ტერიტორია და დიდძალი ნადავლით გაბრუნდნენ უკან (VII, 74).

იოსებ ფლავიუსი მოგვითხრობს: „...კოლხების, ბოსფორის პონტოსა და მეოტიდის ირგვლივ... ორმოცი ხომალდი იცავს მშვიდობას ზღვაზე, რომელზედაც უნინ ცურვა მეკობრეების გამო შეუძლებელი იყო“ (II, 16, 4). აქ ახ.წ. 66 წლის ამბებია გადმოცემული, საიდანაც ჩანს, რომ რომის მცირე სამხედრო ნაწილები საქართველოს ზღვისპირეთში იმპერატორ ნერონის დროს უკვე იდგნენ. ამ დროისათვის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე მხოლოდ ოთხი ლეგიონი იმყოფებოდა. ასეთი მცირე სამხედრო ძალით რომი ვერ შეძლებდა კავკასიაში მყარად ფეხის მოკიდებას. რომაელებმა პონტოს ტახტზე კვლავ პოლემონ I დატოვეს და მას ზღვისპირა კოლხეთიც ჩააბარეს. იმპერატორების, ტიბერიუსისა და კალიგულას დროსაც კოლხეთის ზღვისპირეთის სტატუსი არ შეცვლილა. ის ისევ პოლემონიდების პონტოს გავლენის ქვეშ დარჩა. იმპერატორ ნერონის დროს აღმოსავლეთში რომის პოლიტიკა კარდინალურად შეიცვალა. მან უარყო წინამორბედების ბუფერულ საზღვრისპირა ქვეყნებზე დაყრდნობის პოლიტიკა. ნერონმა ახ.წ. 63 წელს პოლემონიდების სამეფო გააუქმა და ის რომის პროვინციად გამოაცხადა. ამის შემდეგ მეტი ყურადღება კავკასიის ზღვისპირეთს მიექცა. საჭირო გახდა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში მნიშვნელოვანი ძალების თავმოყრა, რასაც დაბეჯითებით ითხოვდა რომაელი მხედართუფროსი გენიუს დომიციუს კორბულონი (ტაციტუსი, „ანალები“ XIII, 35; XVI, 26). კაპადოკიასა და არმენიაში განსაკუთრებით შეიმჩნეოდა იმპერიის კომუნიკაციების სისუსტე. ახ.წ. 57 წელს რომაელებმა ეს ხარვეზი გამოასწორეს: კაპადოკია-არმენიის საზღვართან რამდენიმე სასიმაგრო ნაგებობა ააგეს და XII და XV ლეგიონები ჩააყენეს. ამგვარი ღონისძიებების გატარების შემდგომ ნერონს საშუალება მიეცა კავკასიაში რომის სტრა-

ტეგიული მდგომარეობა გაეუმჯობესებინა და ახალი სამხედრო ოპერაციები წამოეწყო.

რომაული არმიის ძირითად შენაერთს ლეგიონი შეადგენდა. რესპუბლიკის პერიოდში ლეგიონი ითვლიდა 4 ათას ქვეითსა და 300 მხედარს. იმპერიის ხანაში ლეგიონი 5 ათასი ფეხოსნისა და 400 მხედრისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, ლეგიონის შემადგენლობაში შედიოდნენ არტილერიის ტიპები, საინჟინერო-ტექნიკური შენაერთები, ექიმები, ხელოსნები და ა.შ. თითოეულ ლეგიონს თავისი საკუთარი სახელწოდება, ნომერი და დროშა-შტანდარტები ჰქონდა. სახელწოდება ენიჭებოდა მისი ფორმირების ადგილის – „იტალიკური“ „მაკედონური“ „პონტური“; მფარველი ღმერთების – „აპოლონისეული“; განვრთნილობის – „ელვისებური“ ან გარეგნული ნიშნების – „ალაუდები“ მიხედვით. ლეგიონერების შეიარაღება და ჩაცმულობა ძირითადად სტანდარტული იყო.

თითოეული ლეგიონი 10 კოჰორტად და, თავის მხრივ, მანიპულებად, ცენტურიებად, ალებად და აუქსილიებად იყოფოდა. კოჰორტა იყო ფეხოსანთა ქვედანაყოფი, რომელშიც 400-500 ჯარისკაცი ირიცხებოდა. ცენტურია ლეგიონის მცირე ტაქტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ადრიანეს დროიდან მანიპული გაუქმდა და ცენტურიით შეიცვალა; ცენტურია 80-100-მდე ჯარისკაცისაგან შედგებოდა. იმპერიის ხანაში ცენტურიების როლი გაიზარდა. ის ლეგიონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტაქტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. აუქსილია დამხმარე სამხედრო შენაერთი იყო და პროვინციელებისა და მეზობელი ქვეყნების დაქირავებული მოქალაქეებისაგან კომპლექტდებოდა. ავგუსტუსის ეპოქიდან მოყოლებული, აუქსილია კავალერიისა და არარომაელი, მსუბუქად შეიარაღებული ქვეითებისაგან შედგებოდა. ალა თავდაპირველად რომის მოკავშირეთა ჯარებისაგან შემდგარი დანაყოფი იყო. იმპერიის ეპოქაში ალა დამხმარე ჯარების ქვედანაყოფია.

რომაელებს ლეგიონერებისა და ადგილობრივი დამხმარე

სამხედრო შენაერთების მეომართა წასახალისებლად შექმნილი ჰქონდათ დაჯილდოების სპეციალური სისტემა. ასეთი ჯილდო-ნიშანი ანუ ფალერა-ჯილდო საქართველოშიცაა დადასტურებული, კერძოდ – ბიჭვინთაში აღმოჩენილი ვერცხლის სამკლაური ღვთაება ფორტუნას გამოსახულებით, რომელსაც საჭე და სიუხვის ყანნი უპყრია ხელთ; გონიოსთან აღმოჩენილია ოქროს გარსაკრავი ლომისა და ჯიხვის ჭიდილის გამოსახულებით; კლდეეთში აღმოჩენილი მახვილის ტარზე გამოსახულია ღვთაება ვიქტორია და არნივი, რომელსაც ნისკარტით დიდების გვირგვინი უჭირავს. იმპერიის ეპოქაში ფალერებით აჯილდოებდნენ არა მარტო ცალკეულ მეომრებსა და სამხედრო დანაყოფებს, არამედ პრორომაული ორიენტაციის ადგილობრივ მმართველებსაც. მაგალითად, ტაციტუსის (III, 48) ცნობით, რომაელებმა სედოხეზების მეფეს ანიკეტის გადმოცემისათვის ჯილდო გადასცეს (იხ. თოდუა, 2008: 40-42).

რომაელები ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბანაკებს აგებდნენ. ცნობილია რამდენიმე ტიპის ბანაკი: კასტელუმი, კასტრა, კასტრუმი. კასტელუმი საშუალო ზომის სწორკუთხა ციხესიმაგრე იყო, რომელსაც კომკებით გამაგრებული ოთხი კარიბჭე და ცენტრში ორი ურთიერთგადამკვეთი ქუჩა ჰქონდა. კასტელუმები დროებითი და ხანგრძლივი დროისათვის განკუთვნილი საფორტიფიკაციო ნაგებობები იყო. კასტრა მინაყრილიან, ხშირად ხის მცირე ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. მშვიდობიანობის დროს აქ მცირერიცხოვანი გარნიზონი რჩებოდა, ხოლო სამხედრო ვითარების გამწვავებისას შიგნით დამატებითი ძალები შეჰყავდათ. კასტრუმი კი – დიდი ზომის მუდმივმოქმედი ქვის ციხესიმაგრე – პროვინციების ცენტრში იგებოდა.

რომაელი ლეგიონერის შეტევით იარაღს სატყორცნი შუბი „პილუმი“ და ორლესული მახვილი წარმოადგენდა. პილუმი რკინის მოგრძო წვეტიანი ისრისა და მაგარი ხის ლეროსაგან

შედგებოდა, რომლის სიგრძე 1,50 მ-ს აღწევდა. ხელჩართულ ბრძოლაში, აგრეთვე, ორლესული ბასრწვერიანი მახვილი „ლადიუმი“ იხმარებოდა, რომლის ქარქაში ტყავგადაკრული ლითონით მოჭედილი ხის იყო. მახვილი ჯარისკაცებს – მარჯვენა, ხოლო ოფიცრებს მარცხენა მხარეს აბზინდებით შემკულ სარტყელზე ეკიდათ. ცხენოსნებს ორლესული მოგრძო მახვილი ჰქონდათ. მახვილის გარდა ლეგიონერი შეიარაღებული იყო ხანჯლით. რომის არმიაში მშვილდ-ისარი ნაკლებად გამოიყენებოდა. შეტევითი იარაღებიდან პოპულარობით სარგებლობდა ქვისსატყორცნი მანქანები, ბალისტები, რომლებითაც ყუმბარებს ტყორცნიდნენ. ბალისტის ერთ-ერთი დეტალი ბიჭვინთის ნაქალაქარზეც აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ არიანეს ცნობით, ფასისის გარნიზონსაც სამხედრო მანქანები ჰქონია (იხ. პერიპლუსი..., 9) . რომაული არმიის თითოეული ლეგიონი 30-მდე ბალისტით იყო აღჭურვილი.

ლეგიონერების თავდაცვითი საჭურველი იყო ფარი, მუზარადი და ჯავშანი. რომაული ფარი, „სკუტუმი“, ნახევრად ცილინდრული ფორმისა იყო და ცენტრში ბრინჯაოს ან რკინის გული ანუ უმბონი ჰქონდა, რომელზეც სხვადასხვა სამხედრო ნიშანი იყო ამოკვეთილი, რათა შენაერთები ერთმანეთისაგან გაერჩიათ. გამოიყენებოდა ასევე ოვალური და ექვსნახნაგა ფარები. მხედრები წრიულ ფარებს ატარებდნენ. მეომრის ლითონის მუზარადი ნახევარსფერული ფორმისა იყო და ლოყის დასაცავი ფირფიტები ეკრა. ჯავშანი ანუ „ლორიკა“ ლითონის, სელის ქსოვილისა და ტყავისაგან მზადდებოდა. ცნობილია ე.წ. „ქერცლისებური“, „კრამიტისებური“, „ბუმბულისებური“ და ჯაჭვის ჯავშნები.

რომაელებმა ახ.წ. 60 წელს არმენია ისევ დაიმორჩილეს, იბერია კი მათი „მოკავშირე“ გახდა (იხ. ტაციტუსი, ანალები XIV, 23, 25, 26). კოლხეთის ზღვისპირეთი ამჯერად გალატიის პროვინციის გავლენაში მოექცა. ამ პერიოდისათვის რომს აღმოსავლეთის საზღვართან საკმარისი სამხედრო ძალა არ

გააჩნდა. კოლხეთის სანაპიროზე დისლოცირებული რომის საჯარისო ნაწილები მცირერიცხოვანი იყო. ახ.წ. II საუკუნის დასაწყისისათვის კი აფსაროსსა და სებასტოპოლისში რომის მცირე გარნიზონები უკვე განლაგებული იყო, რასაც გარკვეულწილად არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს. კერძოდ, გონიო-აფსაროსის ნაციხარის ტერიტორიაზე რომაელი მეომრის გამოსახულებიანი ჭრაქი, ხოლო სოხუმი-სებასტოპოლისის ციხის ტერიტორიაზე სინოპური ამფორები და რომაული წითელლაქიანი კერამიკა აღმოჩნდა. ამგვარი ნივთები კი იქ გვხვდება, სადაც რომაული გარნიზონები იდგა. არიანეს გადმოცემით, ფოთი-ფასისის ციხის კედელი წინათ თიხისა იყო და მასზე ხის კოშკები იდგა, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგანაა გაკეთებულიო („პერიპლუსი...“, 9). როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ადრე აქ ხის დროებითი სასიმაგრო ნაგებობა ყოფილა.

საქართველოს ზღვისპირეთში ახ.წ. II საუკუნის დასაწყისისათვის დამხმარე შენაერთებისაგან შემდგარი რომაული გარნიზონები აფსაროსში, ფასისსა და სებასტოპოლისში იდგა. ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული რთული გარემოს და გარნიზონების რაოდენობრივი სიმცირის გამო, „ლიმესი“, რომელშიც კარგად გამართული საკომუნიკაციო ქსელის სისტემა იგულისხმება, აქ არ არსებობდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ რომაელი ავტორები საქართველოს ზღვისპირეთის თავდაცვით ხაზს „ლიმესად“ არ იხსენიებენ. აქ უფრო მცირე სამხედრო ძალებით დაცულ სასაზღვრო სიმაგრეებთან უნდა გვექონდეს საქმე. მათ ძირითად ამოცანას სამხრეთ კავკასიაში შეძლებისდაგვარად რომაელთა პოზიციების განმტკიცება წარმოადგენდა. ამ სასაზღვრო სიმაგრეების მოვალეობასვე ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმების აღკვეთა და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეადგენდა. იმპერატორ ნერონის დაწყებული ძალისხმევა ვესპასიანემ განაგრძო და იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის დაცვის რეორგანიზაცია

დაიწყო. ვესპასიანემ გარნიზონები სირია-პალესტინის ხაზზე განლაგა და ლეგიონერთა რაოდენობა გაზარდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ანატოლიაში სატალასა და მელიტენეს შორის არსებული ტერიტორიის ციხესიმაგრეებით მოდერნიზებას, რითაც დაიწყო ზემო ევფრატის „ლიმესის“ ფორმირება. ეს ციხესიმაგრეები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო მცირე ფორტებით, საგუშაგოებითა და ქვაფენილიანი გზებით. დღეისათვის სატალა-ტრაპეზუნტის მონაკვეთზე ხუთი ასეთი პუნქტია არქეოლოგიურად გათხრილი. აღნიშნული სიმაგრეები სწორკუთხა კონფიგურაციისაა და კუთხეებში კოშკებია ჩაშენებული. ზემო ევფრატის „ლიმესის“ ეს სადარაჯო ციხეები დაგეგმარებისა და ზომის მიხედვით მცირე კონტინგენტის საჯარისო ნაწილების სადგომები იყო.

ზემო ევფრატის სასიმაგრო სისტემის კავკასიასთან ახლოს მდებარე ციხეებია სატალა და მელიტენე, რომლებიც XII და XV ლეგიონების ძირითადი დისლოკაციის ადგილს წარმოადგენდნენ. აქ კავკასიაში რომაელთა სამხედრო ნაწილების გამანაწილებელი ბაზა მდებარეობდა. სატალის ციხესიმაგრე აგებული იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე და კავკასია-კასპიისაკენ მიმავალ გზებს და შავიზღვისპირეთს აკონტროლებდა. სწორკუთხა სატალის ციხესიმაგრე აღჭურვილი იყო კოშკებით და ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით კარიბჭე ჰქონდა. აქ დღემდე შემორჩენილია რომაელთათვის დამახასიათებელი აბანოს, საკანალიზაციო კოლექტორისა და აკვედუკის ნაშთები. მელიტენეს ციხეც სწორკუთხაა, ხოლო კოშკები ნახევარწრიული აქვს. მელიტენე და სატალა სასიმაგრო ნაგებობათა მწკრივით უკავშირდებოდნენ ტრაპეზუნტს, რომელიც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრი იყო. ანიკეტის ამბოხის შემდეგ აქ XII და XV ლეგიონების დანაყოფები განლაგდნენ.

ვესპასიანეს დროს იბერიის დედაქალაქ მცხეთაში რომაელთა გარნიზონი არ იდგა. თუმცა რომაელთა მონაწილეობა

მცხეთის საფორტიფიკაციო სამუშაოებში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რასაც ადასტურებს მცხეთაში აღმოჩენილი ახ.წ. 75 წლით დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა. მასში ნათქვამია: „თვითმპყრობელმა იმპერატორმა ვესპასიანე სებასტოსმა... იბერთა მეფეს... იმპერატორის მეგობარსა და რომაელთა მოყვარე იბერიელ ხალხს ეს კედლები განუმტკიცა“. მცხეთის გამაგრება უნდა დაწყებულიყო ალანთა შემოსევების დროს. იბერთა დედაქალაქში ვესპასიანეს ეს ქმედება მეგობრობის ნიშანი იყო. შესაძლოა, რომაული სამხედრო შენაერთი დარიალის ხეობაში იდგა. სწორედ აქ პლინიუსი „ციხე კუმანია“ (NH. VI, 30) ახსენებს, რომელიც აუგიათ აგრესიულ მომთაბარეთა შემოსევების შეკავების მიზნით. პლინიუსის მიერ მოხსენიებული ციხესიმაგრე – კუმანია – დარიალის ციხეს უნდა წარმოადგენდეს. ის ბორცვზე იყო აშენებული და მდინარე თერგი ჩამოუდიოდა. მართლაც, ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ქვის ნაგებობები. დარიალის ხეობაში რომაელთა ცალკეული შენაერთები ადრიანეს დროსაც (ახ.წ. 117-138 წწ.) უნდა მდგარიყო, რადგან კაპადოკიის ლეგატს, ფლავიუს არიანესაც მოუნახულებია აქაურობა.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დომიციანეს დროიდან გარკვეული სამხედრო სისტემის შექმნამ ხელი შეუწყო რომაელთა პოზიციების განმტკიცებას იბერია-ალბანეთში. ბეიუქდაში აღმოჩენილი ლათინური წარწერიდან ირკვევა, რომ დომიციანემ XII ლეგიონის ნაწილები ალბანეთში გაგზავნა, რათა თვალყური ედევნებინა ე.წ. კასპიის კარის გადასასვლელებისათვის. XII ლეგიონის სახელი მოხსენიებულია მდ. არაქსთან, სოფ. კარიამნაში აღმოჩენილ წარწერაშიც. სვეტონიუსის ცნობით, ეს ლეგიონი სარმატებთან ბრძოლაში დამარცხდა. მოვსეს ხორენაციც გვიამბობს დომიციანეს მმართველობის დროს მდ. არაქსისპირეთში რომაელთა წარუმატებელი ლაშქრობის შესახებ (ხორენაცი, 1984: 145). ვესპასიანეს დრო-


იდან, პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემა გამართულად ფუნქციონირებდა. მისი ციხესიმაგრეები იმპერატორ ადრიანეს დავალებით 131 წელს საგანგებოდ მოინახულა და თავდაცვითუნარიანობა შეამოწმა ფლავიუს არიანემ. არიანეს, როგორც ეს მისი წერილობითი მოხსენებიდან ჩანს, პირველად აფსაროსის ციხესიმაგრე და აქ მდგომი გარნიზონის საბრძოლო მზადყოფნა შეუმოწმებია. არიანეს ცნობით, „აფსაროსში... დგას ხუთი სპეირა“. ეგვიპტის ქ. ფაიუმში აღმოჩენილმა ახ.წ. II ს-ის წარწერამ, სადაც აფსაროსში მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალია მოხსენიებული, და გონიო-აფსაროსში დადასტურებულმა რომაული სამხედრო შენაერთის დამლებმა ამ ცნობის სისწორე დაადასტურა. საყურადღებოა აგრეთვე აფსაროსის ციხეში იმპერატორ მარკუს აურელიუსის სახელობის დამხმარე კოჰორტის წარწერიანი სანათურის აღმოჩენა. ეს დანაყოფი ახ.წ. II საუკუნეში კაპადოკიაში განლაგებულ დამხმარე დანაყოფს წარმოადგენდა. აფსაროსში განლაგებული რომაული სამხედრო შენაერთისავე კიდევ ერთი დამლა, რომელიც ციხის ცენტრალურ ნაწილში წყალსადენის მილზე აღმოჩნდა. ეს ლეგიონი ახ.წ. I საუკუნის დასასრულს სირიაში იყო დაბანაკებული. შესაძლებელია, რომ აღნიშნული ლეგიონის სამშენებლო-საინჟინრო შენაერთი აფსაროსში გადმოეყვანათ. აფსაროსის ციხე ემეზობლებოდა იბერიის იმ დროისათვის ძლიერ სამეფოს, საიდანაც იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარს, ჩრდილო კავკასიის მთიელთა სახით, საფრთხე ემუქრებოდა. ამას მიანიშნებს ისიც, რომ ფარსმან II-ის დროს იბერიელებმა „დარილის კარი“ ალანებს გაუღეს და ისინი რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს შეუსიეს (იხ. დიონ კასიუსი, LXIX, 15, 1-2).

გონიო-აფსაროსიდან ჩრდილოეთით მდებარეობდა ფასისის-ფოთის ციხესიმაგრე. აქ, არიანეს ცნობით, მდგარა ლოდსატყორცნი მანქანებით აღჭურვილი 400 მეომარი. ეს ციხესიმაგრე „იმგვარად ყოფილა მოწყობილი, რომ უეცრად ვერავინ

მიუახლოვდებოდა“. არიანეს მიერ აქ ჩატარებული ღონისძიებანი ფასისის ნავსადგურისა და სამოქალაქო დასახლების გამარებაში გამოიხატა (იხ. პერიპლუსი... 9).

ფასისის არიანეს დროინდელი სიმაგრის შესახებ წარმოდგენა გვექმნება დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი ციხის გეგმით. ამ გეგმის თანახმად, ციხესიმაგრე სწორკუთხა ფორმისაა და კუთხეებში წრიული კოშკები აქვს. არიანეს დროისათვის ფასისი და მისი შემოგარენი საიმედოდ ყოფილა დაცული. ამის დასტურია ლანჩხუთის რ-ნის სოფ. მოედანში აღმოჩენილი ძველი სასიმაგრო ნაგებობა, სადაც რომაული დამლიანი აგური დადასტურდა. მისი ფოთი-ფასისიდან 7 კმ-ში მდებარეობა იქ რაღაც მცირე საგუშაგოს არსებობას გულისხმობს, რომელიც ფასისის უეცარი თავდასხმებისაგან იცავდა.

იბერიის სამეფოს საზღვრებთან რომაელთა სამხედრო აქტიურობა ხელს არ აძლევდა იბერიის ხელისუფალთ. იბერიის მეფე ფარსმან II-მ პროტესტის ნიშნად დარიალის ხეობის „ციხე-კარი“ გახსნა, ალანები გაატარა და რომის კაპადოკიას შეუსია. ალანები დიონ კასიუსის (LXIX, 15, 1) გადმოცემით: „კაპადოკიის მმართველის, ფლავიუს არიანეს მიერ შეშინებულები საომარ მოქმედებას წყვეტენ“. არიანეს მიერ ჩატარებულ სამხედრო ღონისძიებებსა და შავიზღვისპირა ციხესიმაგრეების განახლება-განმტკიცებას მეფე ფარსმანზე ზეგავლენა უნდა მოეხდინა. ამის შემდეგ იმპერატორმა ადრიანემ მას, „მეგობრობისა და მოკავშირეობის“ მოტივით, ელიუს სპარტიანეს (ლ. 13) ცნობით, „საჩუქრად მისცა სპილო და 50-მეომრიანი რაზმი.“ ხსენებულ რაზმს დარიალის გადმოსასვლელის კონტროლი დაევალა, საიდანაც იმპერიას ალანების სახით საშიშროება ემუქრებოდა. ამ რაზმსვე უნდა დაკისრებოდა იბერიის ხელისუფალთა მოქმედების ზედამხედველობა და სავაჭრო გზების კონტროლი. როგორც ჩანს, ადრიანეს მიერ იბერიაში გამოგზავნილმა რაზმმა გარკვეული მისია შეასრულა. სწორედ მათი ჩადგომის შემდეგ, წერილობითი წყაროების თა-



ანტონინუს პიუსი

ნახმად, ჩრდილო კავკასიიდან იმპერიაში შემოსევები შეწყდა. იბერიაში დისლოცირებული რაზმის მხარდაჭერით, ადრიანეს ლეგატმა ფლავიუს არიანემ შეძლო იბერია-რომის ურთიერთობების მონესრიგება. ალბათ არიანეს იბერიაში ყოფნისას გადაწყდა ფარსმან მეფის რომში სტუმრობის საკითხიც. თუმცა ეს ადრიანეს მმართველობის დროს ვერ მოხერხდა, რადგან ადრიანეს იმპერატორობის მიწურულს რომში პოლიტიკური ვითარება გართულდა, იმპერატორი და სენატორები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ასეთ სიტუაციაში საგარეო საკითხები გვერდზე გადაიდო. ფარსმანის ვიზიტი ქალაქ რომში არიანეს იბერიაში ყოფნის შემდეგ, ანტონინუს პიუსის იმპერატორობის დასაწყისში შედგა.

ერთ-ერთი ციხესიმაგრე, რომელიც არიანემ დაათვალიერა, დღევანდელ ქ. სოხუმთან, სებასტოპოლისი იყო. აქ არიანეს სიტყვებით: „მოხერხდა ჯარისკაცებისათვის ხელფასის მიცემა, ცხენებისა და იარაღის დათვალიერება ... დაჭრილების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება, კედლებისა და თხრილების შემოვლა“ (იხ. პერიპლუსი...10). ამ აღწერიდან ირკვევა, რომ სებასტოპოლისის გარნიზონი უპირატესად კავალერიისაგან შედგებოდა. თუ სებასტოპოლისის ახ.წ. II საუკუნის ნაგებობების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ის მცირე ციხესიმაგრის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. არიანე არაფერს ამბობს მის მიერ სებასტოპოლისში ჩატარებული სამშენებლო საქმიანობის შესახებ, მაგრამ არსებობს ქ. სოხუმში აღმოჩენილი ამ ფაქტის დამადასტურებელი ლათინური წარწერა. სებასტოპოლისის ციხე სწორკუთხა ყოფილა, მოზრდილი ლოდებითა და აგურის ფენებით ნაგები. აქ შემორჩენილია შვიდი კოშკი. ამგვარი ფორმის ციხესიმაგრეები, მომრგვალებული კუთხეებით, დამახასიათებელია II საუკუნის დასაწყისის რო-

მაული კასტელუმებისათვის. სებასტოპოლისს ევალეზობდა იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის დაცვა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისაგან. მას ამასთანავე სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან აქ სავაჭრო-სატრანსპორტო გზა გადადიოდა, რომლის გამართული ფუნქციონირებითაც რომაელები იყვნენ დაინტერესებულნი.


ამრიგად, ახ.წ. II საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ეს არიანეს ცნობებიდან ირკვევა, რომაელთა ერთ-ერთი სამხედრო საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სებასტოპოლისი ყოფილა. სწორედ აქ დაუსრულებია თავისი საინსპექციო მოგზაურობა არიანეს და ამიტომ აღუწერია გზა დიოსკურია-სებასტოპოლისიდან ბოსფორამდე, რათა თუკი იმპერატორი ბოსფორისკენ გალაშქრებას მოისურვებდა, სცოდნოდა ამ გზის შესახებ. პირველ ასეთ საყურადღებო პუნქტად ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე არიანე ასახელებს პიტინტს (დღევანდელ ბიჭვინთასთან), რომელსაც იგი პატარა ნავსადგომად მოიხსენიებს. არიანეს ცნობიდან ჩანს, რომ მაშინ აქ რომაული სამხედრო შენაერთი არ იდგა. რომაული სამხედრო შენაერთების პიტინტში ჩადგომის დროის საკითხს ნათელს ჰფენს კასტელუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლათინურენოვანი წარწერა, რომლის მიხედვითაც აქ რომაული გარნიზონი 140-იან წლებში ჩამდგარა. ამ დროისათვის ბიჭვინთაში რომაელთა სამხედრო შენაერთის ყოფნას მოწმობს ის ფაქტიც, რომ რომაული ნაწარმი და მონეტები მეტი რაოდენობით სწორედ მაშინ ვრცელდება. აღნიშნულ პერიოდშივე უნდა დაწყებულიყო აქ რომაული ტიპის ციხე-კასტელუმის მშენებლობა, რომელშიც, როგორც ამას ბიჭვინთის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ლეგიონის დამლევი ადასტურებს, მონაწილეობას იღებდნენ საინჟინრო-სამშენებლო ნაწილები. ბიჭვინთაში სამი ასეთი დამლა დადასტურებული: ერთი – ინკიტის ტბასთან არსებული ახ.წ. II საუკუნის კოშკში. ამ დამლის მსგავსი აღმოჩენილია სატალაში, სადაც მდებარეობდა XV

ლეგიონის მუდმივი შტაბ-ბინა. ახ.წ. II საუკუნის შუა წლებში პიტიუნტში ჩაყენებული ყოფილა XV ლეგიონის ერთ-ერთი რაზმი, რომლის რაოდენობაც ბიჭვინთის კასტელუმის ზომების მიხედვით (150მ X 180 მ) 200 მეომარს არ აღემატებოდა. შესაბამისად, პიტიუნტის კასტელუმიც მცირე ციხესიმაგრედ უნდა ჩაითვალოს. პიტიუნტის გარნიზონის მთავარ ფუნქციასაც იმპერიის მისადგომების ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისაგან დაცვა წარმოადგენდა. გარნიზონი, როგორც ბიჭვინთის ერთ-ერთ კოშკში აღმოჩენილი ლერძის ნაწილი ადასტურებს, ქვის სატყორცნი მანქანით ყოფილა აღჭურვილი.

ცნობილია, რომ XV ლეგიონი ფორმირების დროს პანონიაში იდგა. ახ.წ. 57 წელს პართიასთან მოსალოდნელი ომის გამო ეს ლეგიონი რომაელებმა აღმოსავლეთში გადმოისროლეს. იმპერატორ ვესპასიანეს დროს XV ლეგიონი სირიიდან კაპადოკიაში, სატალის ციხესიმაგრეში გადაიყვანეს. ამავე დროს, აფრიკიდან კაპადოკიაში გადმოისროლეს XII „ელვისებური“ ლეგიონი, რომელიც შემდეგ მელიტენეში დააბანაკეს. პიტიუნტის გარდა ახ.წ. II-III სს.-ში ამ ლეგიონების ცალკეული დანაყოფები უნდა მდგარიყვნენ აფსაროს-გონიოში, სებასტოპოლის-სოხუმსა და ფასის-ფოთში. რაც შეეხება რომაული გარნიზონების შემადგენლობას, ის ქვეითების, კავალერიისა და საინჟინრო ძალებისაგან შედგებოდა. ამ ქვედანაყოფების გარდა, აღნიშნულ პუნქტებში რომაელთა ფლოტის ცალკეული შენაერთებიც უნდა მდგარიყო. ამგვარ მოსაზრებას მხარს უჭერს ზოგიერთი ცნობა. კერძოდ, იოსებ ფლავიუსის ცნობა შავ ზღვაზე „მშვიდობის დამცველი“ რომაელთა ორმოცი ხომალდის შესახებ. ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან შავ ზღვაზე სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით სპეციალური „პონტოს ფლოტი“ იქმნება. ზოსიმეს ცნობით, სწორედ ამ ფლოტის ხომალდები იგდეს ხელთ გუთებმა პიტიუნტში. ამასვე ადასტურებს ცნობა პიტიუნტის „კარგად მოწყობილი ნავსადგურის“ შესახებ (ზოსიმე, ისტ., I, 33).

ახ.წ. II საუკუნეში პონტო-კავკასიის სასაზღვრო გამაგრებებში პიტიუნტის ჩართვით მთავრდება ამ სისტემის ორგანიზაციული გაფორმება. სწორედ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ციხესიმაგრეების მეშვეობით რომის იმპერია ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებამდე აკონტროლებდა ტრანსკავკასიას და უზრუნველყოფდა საზღვაო ვაჭრობის უსაფრთხოებას.

ახ.წ. 238 წლიდან რომის იმპერიის დუნაისპირეთისა და ბალკანეთის პროვინციებზე გუთების შემოსევები დაიწყო. მათი ლაშქრობები მხოლოდ ბალკანეთ-დუნაისპირეთით არ შემოფარგლულა. გუთების თავდასხმების შედეგად განადგურდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქები. მათ მცირე აზიასა და შავი ზღვის სანაპიროებზე ლაშქრობები მოაწყვეს. ეს ლაშქრობები საქართველოს ზღვისპირეთსაც შეეხო. შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროს დასახლებებზე ნომადური ანუ მომთაბარე გუთების ლაშქრობათა შესახებ მოგვითხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი ზოსიმე: „როდესაც გუთებმა დაიწყეს მოოხრება ყველაფრისა, რაც გზაში ხვდებოდათ, პონტოს სანაპიროს მცხოვრებლებმა თავი გამაგრებულ ადგილებს შეაფარეს. ბარბაროსები, პირველ ყოვლისა, თავს დაესხნენ ბიჭვინთას, რომელიც შემოზღუდული იყო უზარმაზარი კედლით და ჰქონდა კარგად მოწყობილი ნავსადგური. ადგილობრივი ჯარის სათავეში იდგა სუკესიანუსი. მან მთელი თავისი ჯარით შეუტია ბარბაროსებს და გარეკა ისინი. გუთებმა, იმის შიშით, რომ სხვა სიმაგრეების მცველებმაც არ გაიგონ და არ შეუერთდნენ ბიჭვინთის ჯარს და საბოლოოდ არ გაგვანადგურონო, ბიჭვინთასთან ბრძოლებში ბევრი მემარი დაკარგეს. ექვსინის პონტოს სანაპიროს მცხოვრებლები, რომლებიც გადარჩნენ სუკესიანუსის სტრატეგობის წყალობით, იმედოვნებდნენ, რომ უკუქცეული გუთები ვერასოდეს გაბედავდნენ ისევ შემოსევას. მაგრამ როდესაც იმპერატორმა ვალერიანემ სუკესიანუსი გაიწვია... მაშინ გუთები კვლავ გამოჩნდნენ... ხომალდებით მიადგნენ ფასისს, სცადეს მისი



ბიჭვინთის ნაქალაქარის კარიბჭის რეკონსტრუქცია

ალება, მაგრამ უნაყოფოდ; ამის შემდეგ წავიდნენ ბიჭვინთისაკენ. ეს ციხე აიღეს; მთელი მისი მცველი ჯარი განწყვიტეს და განაგრძეს გზა“ (ზოს. ისტ., № I, 32-33).

პიტიუნტის ციხე-კასტელუმი სწორკუთხაა და სწორკუთხავე კოშკები აკრავს. მისი გამაგრების სისტემა სიმტკიცით გამოირჩეოდა, რისი დასტურიც უნდა იყოს ციხე-ქალაქის გარშემო დღეისათვის არქეოლოგიურად გამოვლენილი სამი ცალკე მდგომი სადარაჯო კოშკი, რომლებიც ერთიანი თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილია. ესენია, ინკიტის ტბასთან, დასავლეთი მისადგომების ჩასაკეტად, ფიჭვნარის ახალშენთან და სოფ. ლიძავასთან აღმოჩენილი კოშკები. სამშენებლო ტექნიკის თავისებურებით უნდა იყოს განპირობებული ბიჭვინთის კასტელუმისა და სამოქალაქო დასახლების მიმდებარე მონაკვეთზე გალავნის კედლის სამხრეთ ნაწილში გაკეთებული 1,50 მ სიგანის კარი. პიტიუნტის თავდაცვით სისტემაში სამხედრო შენაერთებისათვის განკუთვნილი 1500 კვ.მ ნაგებობებიც შედიოდა. აქვე ჰქონდათ იარაღისა და პროდუქტის საწყობი.

პიტიუნტის საფორტიფიკაციო ნაგებობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომის სასაზღვრო სისტემაში რეგიონის

დანარჩენ ციხესიმაგრეებთან შედარებით მეტი სიმტკიცითა და ეფექტურობით გამოირჩეოდა. ეს კი იმით იყო განპირობებული, რომ ის ახ.წ. III-IV სს. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რომაელთა მონინავე ფორპოსტი იყო. პიტიუნტ-ბიჭვინთის ნახევარწრიული გალავანი სამოქალაქო დასახლების დაცვისათვის იყო განკუთვნილი. საყურადღებოა, რომ ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობების თანახმად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არა მარტო შიდა, არამედ სანაპირო ზოლიც კოლხებით, ლაზებით, აბაზგ-აფსილებითა და სანიგებით ყოფილა დასახლებული (იხ. სტრაბონი, XI, II, 14; პლინიუსი, NH, VI, 15; არიანე, 11). ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ ურბანიზებულ ტერიტორიებზე რომაული გარნიზონების ქალაქური დასახლებების ფუნქციას ადგილობრივი ძველი სამოსახლოები ასრულებდა.

გუთების თავდასხმების შედეგად ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებში აფსაროს-გონიოს, ფასის-ფოთის, სებასტოპოლის-სოხუმის, პიტიუნტ-ბიჭვინთის სამხედრო ნაწილებმა ფუნქციონირება შეწყვიტა, ხოლო ახ.წ. III ს-ის 70-იანი წლებიდან, რომის იმპერიაში სტაბილური მდგომარეობის დამყარების შემდეგ, ეს ციხესიმაგრეები ისევ აღდგა. ზოსიმეს ცნობებიდან ირკვევა, რომ გუთებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ორჯერ დაულაშქრავთ. პირველი თავდასხმისას ისინი მოიგერიეს, ხოლო მეორე ლაშქრობისას მათ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. შედეგად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არაერთი სამოსახლო დაზარალდა. ზოსიმეს თანახმად, გუთებს პირველად ფასისისთვის შემოურტყამთ ალყა. ფასისის დამცველებმა მომხდურნი უკუაქციეს. ფასისიდან უკუქცევის შემდეგ, გუთებს პიტიუნტი დაულაშქრავთ. აქ ნაქალაქარის ყველა უბანზე ძლიერი ნგრევისა და ხანძრის კვალი არქეოლოგიურად დასტურდება. ციხე-ქალაქის დასავლეთ კარიბჭის მისადგომებთან ბრძოლაში დაღუპული ადამიანების ჩონჩხები აღმოჩნდა. პიტიუნტის ბედი, როგორც ჩანს, სებასტოპო-

ლისსაც გაუზიარებია, რასაც ციხეში ძლიერი ხანძრის კვალი მოწმობს. გუთებმა დაუბრკოლებლად აიღეს ისეთი ძლიერი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მეომრებით დაცული ქალაქი, როგორც იყო ტრაპეზუნტი.

ახ.წ. 270 წლიდან რომის იმპერიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რომაელებმა დაამარცხეს გუთები და განდევნეს. ბალკანეთ-დუნაისპირეთის პროვინციებში მშვიდობა დამყარდა. ირანში მეფე შაბურის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ნერსემ, რომელიც იძულებული გახდა, რომაელებთან ზავი დაედო. ამ დროისათვის რომაელებმა თითქმის მთლიანად აღადგინეს აღმოსავლეთის სასაზღვრო გამაგრებები და ტრაპეზუნტში „პონტური“ ლეგიონი ჩააყენეს.

გუთების შემოსევების შემდეგ რომის ხელისუფალნი განსაკუთრებით ინტერესს იჩენდნენ პიტიუნტის გამაგრება-გასაძლიერებლად. ახ.წ. IV საუკუნის დასაწყისში რომაელებს ბიჭვინთა-პიტიუნტის საქალაქო დასახლებისათვის სასიმაგრო ნაგებობანი შემოუვლიათ. მაშინ ციხესიმაგრეს შეეძლო 1000-მდე ჯარისკაცი დაეტია. ამ დროსვე უნდა აღედგინათ აფსაროს-გონიოს ციხე-კასტელუმიც. ამ პერიოდის აფსაროსის ციხე სწორკუთხა იყო და 22 კოშკით გამაგრებული. კედლების სისქე 2,5 მ-მდე ყოფილა, ნაგებია ქვათლილით. აფსაროსის არქეოლოგიური გათხრებისას ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილია ყაზარმები, აბანო, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები და წყალსადენის რთული სისტემა.

სოხუმის გვიანდელი ციხესიმაგრე ადრეულთან შედარებით დიდია. მისი კედლის სისქე 2 მ-ია. ეს ციხესიმაგრეც სწორკუთხაა. კედლები ნაგებია „ოპუს მიქსტუმის“ წესით, ანუ ქვებითა და აგურის ფენებით კირხსნარზე. აღმოსავლეთით შემორჩენილია ორი სწორკუთხა კოშკი.

გუთების შემოსევების შემდეგ ახ.წ. IV საუკუნეში აღდგა აფსაროს-სებასტოპოლის-პიტიუნტის ციხესიმაგრეები, რომ-

ლებიც ისევ მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ როლს თამაშობდა. საყურადღებო ბერძნული წარწერა აღმოჩნდა სოხუმის ციხის ტერიტორიაზე: „ქრისტე მრავლის შემძლე. აქ განისვენებს ორესტე, მამაცი ჯარისკაცი, გთხოვთ მოხვიდეთ.“ ორესტეს წარწერა ადასტურებს იმას, რომ IV ს-ში სებასტოპოლისი, ისევე, როგორც პიტიუნტი, მოქმედი ციხესიმაგრეა.

ძვ.წ. I საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე რომაელი მეომრები პირველად გამოჩნდნენ პომპეუსის მეთაურობით. აქ რომს, ძირითადად ეკონომიკურ-სტრატეგიულად, ახალი ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა, კავკასიაზე კონტროლის დაწესება, ახალი სავაჭრო გზების ძიება იზიდავდა. კავკასიონის ქედი კარგი საშუალება იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-მეომარი ტომების ტრანსკავკასიასა და მცირე აზიაში შემოჭრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მამისონის, დარიალისა და დერბენტის გადასასვლელები. ვის ხელშიც ეს გზები იყო, მას შეეძლო გარკვეული კონტროლი გაენია ჩრდილოკავკასიელი ტომებისათვის. რომს აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის სტრატეგიული კომუნიკაციები აუცილებლად სჭირდებოდა პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას.

კავკასიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა. იბერია-კოლხეთი თავისი ხეობებით, მთებით, სწრაფი, ძნელად გადასალახი მდინარეებით, უღრანი ტყეებით ადვილად დასამორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. რომაელები ზღვისპირეთის გარკვეულწილად გაკონტროლებას ახერხებდნენ. ამაში მათი დასაყრდენი სანაპირო ქალაქები უნდა ყოფილიყო, რომლებშიც, შიდა კოლხეთისაგან განსხვავებით, ანტიკური სამეურნეო-კულტურული გავლენა შედარებით ძლიერი იყო. კოლხეთის ზღვისპირეთი ის სტრატეგიული მხარე იყო, რომელიც აუცი-

ლებლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად კავკასიაში, მცირე აზიასა და ბოსფორში.

რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის და შემდეგ იბერიის განვითარების პროცესზე. ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოდგა, ზღვისპირეთი რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში, რომაელთა მოქნილი, ცბიერი პოლიტიკის შედეგად, არასტაბილური მდგომარეობა შეიქნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული „სამთავროების“ განვითარებით დასრულდა (იხ. არიანე, 11). რომმა, იმ დროისათვის მაღალგანვითარებულმა სახელმწიფომ, რამდენადმე დადებითი როლიც ითამაშა. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო იმ დროისათვის მონინავე რომაულ კულტურას და ახალ საომარ ტაქტიკასა და ტექნიკას.

ახ.წ. I საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბდა ე.წ. პონტო-კავკასიის თავისებური სასაზღვრო სისტემა. მისი უმთავრესი ამოცანა იყო რომის გეოპოლიტიკური პოზიციების კავკასიაში განმტკიცება და კონტროლი. პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის როლი და ხასიათი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. კერძოდ, ახ.წ. I-II საუკუნეებში ე.წ. პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია, ხოლო ახ.წ. III საუკუნეში რომის იმპერიის აღმოსავლეთი სასაზღვრო ხაზის მოდერნიზაცია მიმდინარეობს. ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებში აღნიშნულმა სისტემამ არსებობა შეწყვიტა და რამდენადმე III საუკუნის ბოლოს – IV საუკუნეში განახლდა. პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემაში შემავალი აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი და პიტიუნტი სასაზღვრო მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქები იყო.

რომაელები იმპერიის საზღვრებს არა მარტო სამხედრო ძალით, არამედ მოქნილი დიპლომატიური ხერხებითაც აფართოებდნენ. იმპერიის მთელ პერიმეტრზე განსახლებულ ზოგიერთ ხალხს ადგილობრივი მეფეები განაგებდნენ და გარ-

კვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. რომი დიპლომატიურ ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ამ მმართველებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა, რადგან იმპერიის წარმატებები ზოგჯერ მათზე იყო დამოკიდებული. სასურველი მიზნების მისაღწევად რომაელები სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, კერძოდ: დაშინებას, შანტაჟს, მოსყიდვას. ურთიერთობის ამგვარი მეთოდი ჯერ კიდევ ძვ.წ. I საუკუნის შუა ხანებში დამკვიდრდა, იმპერიის ხანაში კი გამძაფრდა. პროკოპი კესარიელის ცნობით (BP, II, 15), როდესაც რომაელები ლაზ-ეგრისელების სავაჭრო ურთიერთობებში ჩაერივნენ, ამ უკანასკნელებმა რომაელებს ზურგი აქციეს და ირანელებს დაუკავშირდნენ.

IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა ლაზეთის სამთავრო, რომელიც თავდაპირველად რომის „მეგობარი და მოკავშირე“ გახდა. მოგვიანებით ლაზიკა-კოლხეთისა და აღმოსავლეთ რომის ანუ ბიზანტიის ურთიერთობა იმდენად გართულდა, რომ მათ შორის ომი დაიწყო. რომაელთა ჯარი ლაზიკაში შეიჭრა. კოლხებმა გაშლილ ადგილზე ორმოები ამოთხარეს, შიგ წვერით ზემოთ მიმართული შუბები ჩაარჭეს და ზემოდან დაწნული ტოტების ჩელტებით დაფარეს. ლაზებმა მტერი ამ თხრილებთან მიიტყუეს, სადაც ისინი შუბებზე წამოეგნენ. მტერი არაორგანიზებულად უკუიქცა. უკუქცეულმა მტერმა ახალი ბრძოლისათვის დაიწყო მზადება. ამავე დროს კოლხებმა ელჩი გაგზავნეს ირანში და რომაელების ანუ ბიზანტიელების წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს. საბოლოოდ კოლხებმა და რომაელებმა შეთანხმებას მიაღწიეს და ახალი ომი აიცილეს თავიდან. რომაელები ადგილობრივ კოლხ წარჩინებულებთან თანამშრომლობდნენ და მოქნილი დიპლომატიის გზით აქ ზოგიერთ რეგიონსაც აკონტროლებდნენ.

პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ჩამოყალიბებასა და გარნიზონთა რიცხოვრივ ზრდასთან ერთად აღმოსავლეთ

შავიზღვისპირეთში რომაული ნანარმი (კერამიკის, მინის, ლითონის ნაკეთობები, სამკაულები) გავრცელდა, რომელთა შორის მცირე აზიის ცენტრების ნანარმი ჭარბობდა. უცხოური პროდუქციის ტრანსპორტირება უპირატესად საზღვაო გზით ხორციელდებოდა. ის ორიენტირებული იყო რომაული სამხედრო შენაერთების მომარაგებაზე. რომაული გარნიზონების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ცენტრალიზებულად II-III საუკუნეებში ტრაპეზუნტიდან, IV საუკუნეში კი ანტიოქიიდან ხდებოდა.

ზღვისპირა კოლხეთში რომის გარნიზონების დისლოკაციის შედეგად იბერია-კოლხეთში გავრცელდა უცხოური, უპირატესად რომაული სამყაროს ნანარმი, რომელიც დადასტურებულია საქართველოში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში. კერძოდ, აღმოჩენილია რომაულ-იტალიკური და რომაულ-პროვინციული (პერგამონული, პალესტინური, სირიული, სინოპური, საერთოდ ხმელთაშუაზღვისპირული და სხვ.) წარმომავლობის ნივთები: ნითელლაქიანი კერამიკა, ამფორები, ჭრაქები, მინის სასმისები და თასები, სანელსაცხებლები, ბრინჯაოს იტალიკური ფიბულები ანუ მშვილდსაკინძები, სურები, ბატილუმები ანუ აქანდაზები, ოქროსა და ვერცხლის გემიანი ბეჭდები ტიხე-ფორტუნას, მინერვას, ვიქტორიას, მარსის, ფორტუნა-ისიდას, პლუტონის, ასკლეპიოსის გამოსახულებებით; ლუთერიები, ვერცხლის სარკეები, ვერცხლის პინაკები, რომაული მონეტები (აუგუსტუსის, ანტონინუს პიუსის, მარკუს აურელიუსის, ნერვას და სხვ.). ეს ყველაფერი I-IV საუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება – სოხუმში, ბიჭვინთის ნაქალაქარზე, გონიოში, ფოთში, ანაკლიაში, ბორში, კლდეეთში, ვანის ნაქალაქარზე, წებელდაში, ციხისძირში, მცხეთაში, ნიჩბისში, ურბნისში, ბოლნისში, წილკანში, საძეგურში, თბილისში და სხვ.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უცხოური პროდუქციის ერთი ნაწილი რომაული საინტენდანტო სამსახურების მიერ

იყო შემოზიდული. რომაული წარმოების საგნების მცირე-რიცხოვანი ნაწილი ადგილობრივი დიდებულებისათვის განკუთვნილ ძღვენსა თუ ჯილდოს შეადგენდა. ეს საგნები ადგილობრივ დიდებულებს ებოძათ იმპერიის მესვეურთაგან მათი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობისათვის. სავაჭრო ოპერაციების გზით შემოსულ პროდუქციათა რიცხვს უნდა განეკუთვნოს პიტიუნტში, სებასტოპოლისში, აფსაროსსა და ფასისში დადასტურებული მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული გარნიზონების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ალბათ ერთიანი სისტემით ხდებოდა, კერძოდ კი ტრაპეზუნტიდან, სადაც შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ბაზა იყო. ტრაპეზუნტის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც აქ ადრიანეს დროს საიმედო და კარგად მოწყობილი ნავსადგური ააშენეს. ამის გამო წარმატებულად ამოქმედდა სამოსატა-სატალა-ტრაპეზუნტის გზა.

ტრაპეზუნტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა შავიზღვისპირა ცენტრებში დისლოცირებული რომაული მხედრობის მომარაგების საქმეში. მათ სწორედ ტრაპეზუნტიდან მიენოდებოდათ სხვადასხვა ნაწარმი. ამ პერიოდში რომაული გარნიზონებისათვის მიწოდებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციათა შორის (ციხესიმაგრეების ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებული ამფორათა რაოდენობის მიხედვით) ღვინო, ზეთი და მარცვლეული დომინირებს. წინა პერიოდთან შედარებით გაზრდილი ჩანს მოთხოვნილება სუფრის ჭურჭელზე, განსაკუთრებით წითელლაქიან ჯამებსა თუ თასებზე. გარნიზონებს მრავლად მიენოდებოდა რომაული მინის ნაწარმი.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული დასახლებების წარმოქმნისა და მისი განვითარების პროცესი თავისებური გზით წარიმართა. აქ რომაულ სამხედრო შენაერთებთან არ-

სებული სამოქალაქო დასახლებები ადგილობრივ საქალაქო ცენტრებს შეერწყა. უცხოური პროდუქციის ტრანსპორტირება უპირატესად საზღვაო გზით ხორციელდებოდა.

კავკასიის სანაპიროს სასაზღვრო სისტემაში ჩართვით გარკვეულწილად უზრუნველყოფილი იყო რომის იმპერიის აღმოსავლეთის პროვინციების მისადგომების უსაფრთხოება და რომაელთა გეოპოლიტიკური ინტერესების განმტკიცება კავკასიასა და აღმოსავლეთ მცირე აზიაში.

აღჭურვილობა, არტილერია და საზღვაო საქმე იბერია-კოლხეთში

მეომრის შეიარაღება. იბერიულ-კოლხური ხანის საბრძოლო საქმისა და შეიარაღების შესწავლისათვის მნიშვნელოვან მონაცემს გვანვდის ბრძოლის სცენის ამსახველი ფრიზი სოფ. გომში აღმოჩენილ სასმისზე. ურთიერთბრძოლის ეს სიუჟეტი ერთადერთია და ამიტომ უნიკალურიცაა ამ პერიოდის საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში. მას დანვრილებით განვიხილავთ, რათა მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნას იმდროინდელი შეიარაღების შესახებ.

საქართველოს მთიან მხარეში, ზემო რაჭაში, სოფ. გომში აღმოჩენილი ბრძოლის სცენის გამოსახულებიანი ვერცხლის სასმისი ამჟამად ქ. ქუთაისის მუზეუმში ინახება (დანვრილებით იხ. გამყრელიძე, 2002: 39-49).

სასმისს ოთხი ადამიანის ურთიერთბრძოლის სცენა ამკობს. მარცხნიდან პირველ მეომარს მოკლე ტანსაცმელი მოსავს, თავზე მუზარადი ახურავს, ზეანეულ ხელში საძვერებად გამზადებული მოკლე შუბი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში ოთხკუთხა ფარი უჭირავს. მეორე მეომარი მშვილდ-ისარს უმიზნებს პირველს. მას თავზე მუზარადი ახურავს, ტანზე უსახელო სამოსი აცვია. მესამე მეომარი მეორესთან ზურგით დგას, თავზე მუზარადი ახურავს, მარჯვენა ხელში სატევა-რი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში პირველი მეომრისნაირი ფარი უჭირავს. მეოთხე მეომრის ფიგურა სახით მესამისკენაა მიმართული და ხელში შუბი უჭირავს. მეომრების ქვემოთ



სოფ. გომის სასმისის გამოსახულებები

რვატოტიანი ხე და ერთმანეთისკენ ზურგით მდგარი შველი და მგელია გამოსახული. გამოსახულებების გადმოცემის ტექნიკა დაჭდევისა და ამოკანვრის ხერხებითაა შესრულებული. ბრძოლის სცენის კომპოზიციის მეომართა დინამიკური პოზები აგრესიული ექსპრესიის განწყობას ქმნის.


სოფ. გომში აღმოჩენილ სასმისზე გამოსახულ ოთხიდან ორ მეომარს ერთნაირი კონფიგურაციის ფარები უჭირავთ. ორივე ფარი ოთხკუთხაა, მარჯვენა ზედა კუთხე ამოჭრილი აქვს და მკლავზე მარყუჟით დამაგრებული ჩანს. ხელის ჩასაჭიდიც უნდა ჰქონოდა. ამგვარად, მებრძოლს ფარი უფრო მარჯვედ, მოხერხებულად ეკავა და თუ დასჭირდებოდა, ბრძოლის დროს ორივე ხელის ხმარება შეეძლო. ფარის მარჯვენა კუთხე ამოჭრილი იყო, რაც მეომარს ლავირების დროს გამოხედვის საშუალებას აძლევდა და მოხერხებული უნდა ყოფილიყო. ფარის ამგვარი დეტალი მხოლოდ ამ გამოსახულებებზეა აღნიშნული და სხვაგან არ გვხვდება. ამიტომ სავარაუდოა, ეს გამოსახედი საბრძოლო აღჭურვილობის განვითარებაში ადგილობრივ

ნოვაციად მივიჩნით. ფარზე რალაც ნიშანი (<), ემბლემა შეიმჩნევა.

ჰეროდოტეს (VII, 61) მიხედვით, ქსერქსეს ჯარში ირანელები ჩელტის წრიული ფარებით იყვნენ აღჭურვილნი. ეგეოსურ-ბერძნული სამყაროსათვის ოთხკუთხა ფარები დამახასიათებელი არაა. ადრეული რომაული ფარები წრიულია, ხოლო დაახლოებით ძვ.წ. III ს-დან ჩნდება ოთხკუთხა, ვერტიკალზე ოდნავ მოღუნული ფარები. პოლიბიოსის (ისტ. VI, 23, 2-4) გადმოცემით, ფარები შედგებოდა ხის ფირფიტებისაგან და დაფარული იყო ტყავით. ზედა და ქვედა მხარეს შესაკვრელად რკინის გარსაკრავები ერტყა. მოგვიანებით კუთხეებიანთან ერთად თანაარსებობდა ოვალური და მოგრძო, ნაკვეთილობოებიანი, რომბისებური, ექვსკუთხა ფარებიც. ფარის ცენტრში წრიული ლითონის უმბონი იყო.

მარკუს ფურიუს კამილუსის დიქტატორობისას რომაელი ქვეითის ძირითად ფარად ოთხკუთხა ფარი „სკუტუმი“ იქცა. აქედან მოყოლებული ახ.წ. III საუკუნემდე ამ ტიპის ფარები დომინირებენ რომის ქვეითთა არმიაში, ცხენოსნებს კი ოვალური ფარები ჰქონდათ. ამგვარი ოთხკუთხა ფარები უნდა ჰქონოდათ პომპეუსის ლეგიონერებს, როცა ძვ.წ. 65 წელს პირველად გამოჩნდნენ ტრანსკავკასიაში და იბერიის მეფე არტოკესთან მოუხდათ შეტაკება. რომის იმპერიის ეპოქაში ფარის ზომები შემცირდა. ის ძირითადად მეომრის ტორსს ფარავდა. დასავლეთ საქართველოში, ნებელდაში, სტეკლიას გორაზე გათხრილ IV ს-ით დათარიღებულ არქეოლოგიურ კომპლექსში, აღმოჩნდა ოთხკუთხა 50 X 70 სმ ზომის ხის ფარი, კუთხეებში რკინის სამაგრებითა და გარსაკრავით.

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ არქეოლოგიურ მონაცემებში ხშირად ჩნდება ფარის წრიული, ბრინჯაოს ან რკინის „გული“ ანუ უმბონი. უმბონის წრიულობა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ფარიც აუცილებლად წრიული იყო. საქართველოში ფარის ლითონის წრიული უმბონები და გარსაკ-



რავები არქეოლოგიურ ძეგლებზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ჩანს.

საყურადღებოა, რომ ე.წ. ჰოპლიტური, წრიული ფარებია აღმოჩენილი „წითელი შუქურას“ მე-7 და ახულ-აბას სამარხებში. ლითონის უმბონიან, ლითონითვე შეჭედილ და უცხოურ (მაგ. ჰოპლიტურ) ფარებს შეძლებული, წარჩინებული მეომრები ატარებდნენ. ეს შეიმჩნევა, მაგალითად, ვარსიძეანთკარის არქეოლოგიურ ძეგლზეც, სადაც 166 სამარხიდან მხოლოდ ორში დადასტურდა ფარის „გული“. რიგითი მეომრები ჩელტის ანუ ტოტებისაგან დანწული ლასტის ხის, ტყავადაკრულ

ფარებს ატარებდნენ, რომლებიც მინაში მოხვედრის გამო თითქმის არაა შემორჩენილი.

ბერძნულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება ქართველური მოსახლეობის, კოლხების, მოსუნიკების, მოსხების, ხალიბების ფარები. კერძოდ, ჰეროდოტე აღნიშნავს: „კოლხებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ, ჰქონდათ გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები, მოკლე შუბები და დანები“ (იხ. VII, 78,79). ქსენოფონტის „ანაბასისში“ ხალიბების ხარის ტყავისაგან გაკეთებული ფარები მოიხსენიება (იხ. IV, 7, 22). აქვე ნახსენებია, რომ მოსუნიკების მეომრებს „ყოველს ხელში ეკავა სუროს ფოთლის ნაირი ფარი, ხარის ტყავით დაფარული“ (V, 12). სტრაბონის ცნობით კი (XI,4, 5), ალბანელები „არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ ტყავის აბჯრები და ფარები იბერების მსგავსად“. აქ ნახსენებია რომაული „სკუტუმის“ მსგავსი ფარიც. მნიშვნელოვანია, რომ თხზულების ეს მონაკვეთი ქრონოლოგიურად კავკასიაში რომაელი სარდლის, პომპეუსის ალბანელებთან და იბერებთან ბრძოლის ხანას ეხება.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, კოლხები, ხალიბები, მოსუნიკები და იბერები ხარისტყავიან სუროს ფოთლის ფორმის ფარებს ხმარობდნენ. ეს ფარები ხის იყო და ტყავი ჰქონდა გადაკრული. არქეოლოგიურ მასალაში უმბონების დადასტურება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფარის კონსტრუქციაში ხშირად ლითონიც გამოიყენებოდა. სოფ. გომის სასამისზე კი მომცრო ფარებია გამოსახული ზედა კუთხეში გამოჭრილი გამოსახვით. ამ ფარების ეს ელემენტი მიგვითითებს სამხედრო აღჭურვილობის გამორჩეულ მხარეზე.

საერთოდ, ფარი თავდაცვითი შეიარაღების კატეგორიას განეკუთვნება. არქეოლოგიურ ძეგლებზე მცირეა ფარის აღმოჩენის შემთხვევები, რაც იმით აიხსნება, რომ ფარი ტყავგადაკრული ხისა იყო და მინაში ვერ შემოინახა. სამაგიეროდ, გვაქვს ლითონისაფარიანი ნიმუშები, რომელთა გარსაკრავების მიხედვით რამდენიმე სახის ფარი გაირჩევა. ესენია,

მთლიანად ლითონის ფირფიტებით დაფარული და ლითონის უმბონიანი ფარები. არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებულ ფარებს შორის ყველაზე ადრეულია „ნითელი შუქურას“ მე-7 სამარხში აღმოჩენილი არნივისგამოსახულებიანი წრიული ფარი, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. ასეთ ფარებს შიგნიდან მარყუჟი ჰქონდათ მკლავის გასაყრელად, კიდესთან კი – ტყავის სახელური. ლითონის ფირფიტით მთლიანად დაფარულ სახეობას განეკუთვნება ეშერის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ფარი. ამ ნაირსახეობას განეკუთვნება აგრეთვე კამარხევისა და ვარსიმაანთკარის სამარხების ფარები. რკინის ფურცლებისაგანაა შედგენილი ფარი, რომელიც ვანის ნაქალაქარში ნარჩინებული მეომრის სამარხში აღმოჩნდა. ბრინჯაოს ხუთი ნახევარსფერული უმბონი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზეც, ძვ.წ. II საუკუნით დათარიღებულ თორმეტსაფეხურიან საკურთხეველთან. სამი უმბონი აღმოჩნდა ჟინვალის სამაროვანზე ახ.წ. III საუკუნის სამარხებში.

ლითონით დაფარულ ფარებს უმეტესად წარჩინებული მეომრები ატარებდნენ. ფარი რომ მოცემული ეპოქის საქართველოს მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი შეიარაღების კატეგორია იყო, ამას მოწმობს ფარის გამოსახულებები სამადლოსა და სოფ. გომში აღმოჩენილ ჭურჭელებზე.

გომის სასმისზე ასახულ მეომრებს მოკლე სამოს-აბჯარი აცვიათ. ბექთარი აბჯრის სახეობაა, რომელსაც ლითონით გამყარებულ ჯავშანს უწოდებენ. ეს არის ლითონის ფირფიტებით დაფარული ტყავის ან ქსოვილის სამოსი. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ბრინჯაოსა და რკინის პატარა ფირფიტებია ნაპოვნი. მათ სხვადასხვა მოყვანილობა აქვთ. ძირითადად, გვხვდება 2,7 X 1,7 სმ ზომის ფირფიტები კიდეზე ნაჩვრეტებით, ქსოვილზე დასამაგრებლად. ვანის ნაქალაქარზე ათასამდე ბრინჯაოსა და რკინის ძვ.წ. IV საუკუნის ფირფიტა აღმოჩნდა. რკინის საჯავშნე ფირფიტების დიდი რაოდენობა დადასტურდა საირხის ნაქალაქარზეც. ტყავის ჯავშანს,

რომელიც ასეთი ფირფიტებით იყო დაფარული, ქერცლისებურს უწოდებენ. ჯავშნის გამოსახულებები წარმოდგენილია რელიეფებზე, მათ შესახებ მოგვითხრობენ წერილობითი წყაროები. ასეთი ჯავშანი ცნობილია აქემენიდური ირანიდან. ბერძენი მწერლები ახსენებენ ქართველურ მოსახლეობას, რომელთაც სელის აბჯრები ჰქონდათ. ქსენოფონტის „ანაბასისში“ ნათქვამია, რომ ხალიბებს „ჰქონდათ სელის აბჯრები მუცლის ქვედა ნაწილამდე, ხოლო ქვემოთ – მჭიდროდ დაგრეხილი თოკები“ (IV, 7, 15). სტრაბონის მიხედვით კი „ალბანელებს აქვთ ტყავის აბჯრები იბერების მსგავსად“ (XI, 4, 5). საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებულია ბრინჯაოსა და რკინის საჯავშნე ფირფიტები და ჯაჭვის რგოლები. კერძოდ, ისინი აღმოჩნდა: ვანში, ეშერში, თავილონში, კლდეეთში, ნებელდაში.


გომის სასამისის სამ მებრძოლს ფეხზე კოჭთან შეკრული ფეხსაცმელი აცვია. ცნობილია, რომ ბერძენი მეომრები ხშირად კნემიდებით იფარავდნენ ფეხებს. ხალიბებსაც ჰქონდათ კნემიდები (იხ. ქსენოფონტი, „ანაბასისი“, IV, 7, 16). მეომრის თავდაცვის ნაწილს შეადგენდა ლითონის სანვივე, რომლითაც ფეხს იფარავდნენ. ბრინჯაოს სანვივეები აღმოჩენილია საქართველოშიც: ახულ-აბაში და ვანის ნაქალაქარზე. ვანის ძვ.წ. IV საუკუნის სამარხის გათხრისას აღმოჩნდა, რომ მეომრის ფეხს ჯავშანი მუხლის ზემოთაც იცავდა. აბჯრის ასეთი დეტალი იშვიათია ანტიკურ სამყაროში და ითვლება, რომ ლითონის საბარკულები მარტო წარჩინებულ, შეძლებულ მეომრებს ჰქონდათ.

სასამისზე გამოხატულ ოთხივე მეომარს თავზე ახურავს ნახევარსფერული მუზარადი. ზოგიერთს ცხვირსაფარი და ყბების საფარიც მოუჩანს. წინა ანტიკურ ეპოქაში ცხვირსაფარი და ყბისსაფარი მუზარადებზე არ ჰქონდათ. ისინი არ იყო დამახასიათებელი არც ირანული სამყაროსათვის. ბერძნულ და შემდეგ რომაულ სამყაროში კი ყბასაფარები ხშირად გვხვდება.


საქართველოში არქეოლოგიურად აღმოჩენილია ე.წ. ქალ-კიდური, ჰოპლიტური მუზარადები სოხუმთან, ქუთაისთან, სოფ. კოხთან (აჭარა), ქ. ლანჩხუთთან. რომაული ნახევარ-სფერული მუზარადი აღმოჩნდა კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედში. რომის რესპუბლიკის ეპოქაში მუზარადებს სიმტკიცისათვის შუბლთან დამატებით ლითონის სარტყელს უკეთებდნენ – ისეთს, როგორც გომის სასმისზე პირველ მეომარს მოუჩანს. რესპუბლიკისა და იმპერიის ხანის რომაული მუზარადებისათვის ცხვირსაფარები ნაკლებადაა დამახასიათებელი. გომის სასმისზე, ალბათ, შერეული ტიპის, ბერძნულ-რომაული ან კოლხური ხის მუზარადებია მოცემული. კოლხურის შესახებ ცნობას გვანვდის ჰეროდოტე (VII, 79,78). ხის მუზარადები მოსხებასაც ეხურათ. უფრო მოგვიანო, კერძოდ, პომპეუსის იბერებთან ბრძოლის დროინდელ ამბებზე თხრობისას, სტრაბონი (XI,4,5) აღნიშნავს, რომ იბერები ტყავის მუზარადებს ხმარობდნენ.

მუზარადი თავდაცვითი შეიარაღების ერთ-ერთი კატეგორიაა. სოფ. გომის სასმისი და ნერილობითი წყაროები მოწმობს, რომ როგორც ძველი კოლხეთის, ასევე იბერიის მეომრებისათვის მუზარადი თავდაცვითი შეიარაღების აუცილებელ ნაწილს შეადგენდა.


გომის სასმისზე გამოსახულ პირველ მეომარს ზეანეულ ხელში, წვერით ქვემოთ, საძგერებლად გამზადებული მოკლე შუბი უჭირავს. შუბის წვერით ქვემოთ დახრა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს შუბი საძგერებელია და არა სატყორცნი. საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მონაცემებში შუბისპირები, სხვა იარაღთან შედარებით, პროცენტულად პირველ ადგილზე ჩანს, რაც იმის ნიშანია, რომ იმ დროს შუბი ძირითად საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. ამასვე ადასტურებს ნერილობითი ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც, შუბი წამყვანი იარაღი იყო კოლხების, ხალიბების, მოსხების და იბერებისათვის (იხ. ჰეროდოტე, VII, 78, 79; ქსენოფონტი, „ანაბა-




შუბისპირები



შუბი



ისრისპირები



მშელიდ-ისარი




შურდული

სისი“ V, 2, 22; V, 4, 12; V, 4, 25; სტრაბონი XI, 4, 5). „შუბოსანი იბერების“ სპეციალური რაზმის შესახებ აღნიშნავს პლუტარქეც (ლუკულუსი 31). შუბი შეტევეთი, სატყორცნ-საძგერებელი იარაღის ერთ-ერთი სახეობაა. ის შუბისპირისა და ტარისაგან შედგება. თავის მხრივ, შუბისპირი შედგება მასრისაგან და წვერიანი ორღესული საძგერებლისაგან. გვხვდება სახესხვაობები. კერძოდ, ე.წ. ვიწროპირიანი, წაგრძელებული რომბის ფორმის, მომრგვალებულმხრებიანი, გვერდებშეზნეილი სამ-

კუთხედის მოყვანილობის და ა.შ. შუბისპირის მასრა ქვემოთ გაფართოებულია, რაც უზრუნველყოფს ტარზე მორგებას. სამეცნიერო ლიტერატურაში სამკუთხათავიან შუბისპირებს ხელშუბისპირებად მიიჩნევენ.

ქართველური მოდგმის მეომრები ძირითადად შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი. ჰეროდოტეს, ქსენოფონტისა და სტრაბონის მიხედვით, შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი კოლხები, სასპერები, მოსხები, მოსუნიკები, ხალიბები. ჰეროდოტე და ქსენოფონტი არა მხოლოდ ასახელებენ ქართველური მოსახლეობის შეიარაღებას, არამედ ხშირად აღწერასაც გვთავაზობენ. კოლხებს ჰქონდათ „მოკლე შუბები“, ხოლო მოსხების „შუბის ნვერები გრძელი იყო“ (VII, 78-79), ხალიბებში კი „თითოეულს ორი შუბი ეპყრა“ (VII, 76). ხალიბებსვე, ქსენოფონტის მიხედვით, „ეკავათ ხუთი წყრთის სიგრძის შუბები“ (IV, 7, 15-16). მსუბუქი შუბები სატყორცნად გამოიყენებოდა, ხოლო სხვა – საძგერებლად. ვინროპირიანი შუბები უფრო აბჯრის გასარღვევად იყო გამიზნული. მოსუნიკების შეიარაღებაში ქსენოფონტი, თვითმხილველი ამ მოვლენებისა, მკვეთრად მიჯნავს სატყორცნ შუბს საძგერებლისაგან და ასე ახასიათებს მას: მონინაალმდეგემ მათ „დაუშინა შუბები. სხვებსაც ჰქონდათ შუბები, მაგრამ იმდენად მსხვილი და გრძელი, რომ კაცი ძნელად თუ შეძლებდა მის ტარებას“ (V, 4-25).

კოლხი მოისარი



გომის სასამისზე მეორე მეომარს მარცხენა ხელში მშვილდისარი უჭირავს და შუბიან მეომარს უმიზნებს. საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ისრისპირები პროცენტულად ცოტაა აღმოჩენილი. ალბათ,

იმ პერიოდში მშვილდ-ისარს სამხედრო შეიარაღებაში მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. ამასვე ადასტურებს ჰეროდოტესა (VII, 78, 79) და ქსენოფონტის (IV, 7, 15-16; IV, 8, 3; V, 2, 22; V, 4, 12) ცნობებიც. ისინი კოლხების, მოსხების, მოსუინიკების, ხალიბების შეიარაღების ჩამოთვლა-აღწერისას მშვილდ-ისარს არ ახსენებენ. სამაგიეროდ, მოგვიანებით რომაელების, კერძოდ, პომპეუსის ლაშქრობის დროს, იბერია-ალბანეთში სტრაბონი (XI,4,5) იბერების შეიარაღების ჩამოთვლისას მშვილდ-ისარსაც ახსენებს. მშვილდოსანი იბერების შესახებ გადმოგვცემს აპიანეც („მითრიდატეს ომები“ 101) და დიონ კასიოსიც (XXXVII, 2). სვანების მონამღული ისრების შესახებ აღნიშნავს სტრაბონი (XI, 2, 19).

მშვილდ-ისრის არსებობაზე არქეოლოგიურ მასალაში მიგვანიშნებენ ისრისპირები, ვინაიდან მშვილდის ხის საფუძველი მიწაში არ ინახება. მშვილდის კონსტრუქციის მთავარი პრინციპი უხსოვარი დროიდან მოდის. როგორც ჩანს, მისი ძირითადი ნაწილი, ხის საფუძველი, საგანგებოდ შერჩეული და შემდეგ დამუშავებული ტოტისაგან მზადდებოდა. მას ორივე ბოლოზე ლარის დასაჭიმად განკუთვნილი ამოღარული ნაჭდევეები აქვს. ლარი მსხვილი რქოსანი საქონლის ტყავისა ან მყესებისა იყო. მშვილდის შუა ნაწილი შემსხვილებული სახელურია. მისი სისქე ზრდიდა მხრების დრეკადობას. მშვილდზე მიგვანიშნებს აგრეთვე ბრინჯაოს ფირფიტა, რომელიც მშვილდის ბუდის წვერზე მაგრდებოდა. ამგვარი ფირფიტები დადასტურებულია ძვ. წ. IV ს-ით დათარიღებულ ივრისპირეთის №1 და №2 სამარხებში.

საქართველოში გამოსახულებების მიხედვით გვაქვს მარტივი მშვილდი, ე.წ. სეგმენტის ფორმის (მაგ., გომის სასამისზე) და შედგენილი, ორგზის მოხრილი ტიპის (მაგ., არაგვისპირის № 13 სამარხის ვერცხლის სურებზე გამოხატული). საქართველოში ნაპოვნ შესაბამისი ხანის ისრისპირებს შორის გვხვდება მცირე ზომის ისრისპირები, რომლებსაც უნდა შეესაბამებო-


დეს მსუბუქი, მცირე ზომის, ორგზის მოხრილი შედგენილი მშვილდი. ამ ტიპის მშვილდი გავრცელებული იყო ევრაზიაში, განსაკუთრებით კი ირანულ სამყაროში. საქართველოში სხვადასხვა სახის ისრისპირები გვხვდება. ისინი შედგება მასრისა და წვეტიანი თავისაგან; მზადდებოდა ბრინჯაოს, რკინის ან ძვლისაგან; იყო ორფრთიანი, სამფრთიანი, სამნახნაგა, ოთხნახნაგა და სხვ.

გომის სასმისზე მესამე და მეოთხე მებრძოლი ერთმანეთს მოკლე ორღესული სატევრით და შუბით ერკინებიან. რკინის სატევარი საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში შუბთან შედარებით ცოტაა აღმოჩენილი არმაზისხევში, კლდეეთში, ჩხორონყუში, ბრილსა და ნებელდაში. ჰეროდოტე (VII, 79) შუბებთან ერთად ახსენებს მოკლე სატევრებს, დანებს. ქსენოფონტი „ანაბასისში“ (IV, 7, 16) მიუთითებს, რომ ხალიბებს ქამარზე მოკლე სატევრები ეკიდათ.

სატევარი ინდივიდუალური, მთავარი შეტევითი საბრძოლო იარაღი იყო და ტარისაგან, ვადისა და პირისაგან შედგებოდა. ისინი ამ ეპოქაში უპირატესად ორპირღესულია. პირის სიგრძე ძირითადად 50-80 სმ-მდეა, ხოლო სიგანე – 4-6 სმ-მდე. იშვიათად გვხვდება ცალპირღესული სატევრები, რომლებსაც ხშირად ბერძნულ „მახაირებთან“ აიგივებენ. ეს ბერძნული იარაღი გარკვეული ტიპოლოგიური ნიშნებით ხასიათდება. კერძოდ, მას განსხვავებული, წაგრძელებული ტარი, ცალპირა განიერი, შუაში გაფართოებული პირი ჰქონდა. სპეციფიკური ტარისთავის გამო სატევრების ცალკე სახეობას წარმოადგენს ე.წ. ტარგოლიანი მახვილები. მათი ტარის ღერო ბრტყელი იყო და ხის გარსაკრავი რკინის ლურსმნით მაგრდებოდა; პირი ორღესულია. კიდევ ერთი სახეობა ორპირღესული სატევრისა ხასიათდება სწორი ვადით. მისი ტარი პირთან ერთადაა გამოჭედილი. ამ ტიპის სატევრები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. III საუკუნის სამარხებში, არმაზისხევის პიტიახშთა II-III სს. სამარხებში, სადაც სატევრები, როგორც

ინსიგნიები, ოქროს გარსაკრავებითაა შემკული. ასეთივეა მოდინახეს IV ს. სამარხებისა და კლდეეთის, ზემო ავჭალის, ჩხორონწყუს არქეოლოგიურ კომპლექსებში აღმოჩენილი სატვერები.

გომის სასმისის ქვედა სარტყელზე შველი და მგელია გამოხატული. ამ ჯიშის ცხოველები კავკასიონის ხეობებში დღესაც ბინადრობენ. შვლის უკან ხე მოჩანს. ვფიქრობთ, აქ ალეგორი-



სატვერები

ცული

ულად კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა ასახული. ზედა, მეომართა ბრძოლის სიუჟეტის, ალეგორიული გამოსახვა უნდა იყოს ქვედა სცენა, სადაც შველი – სიკეთეს, კარგს, მგელი – ბოროტებას, ცუდს და ხე ნაყოფიერებას, სიცოცხლის გამარჯვებას და მტრის დამარცხებას ასახავს.

გომის სასმისი ბრძოლაში დალუპული, წარჩინებული მეომრისათვის შესანიშნავად იყო დამზადებული და დაკრძალვის რიტუალში გამოიყენეს. ვფიქრობთ, მეომრებიანი სარტყლის ახსნაში, შესაძლოა ჩრდილოკავკასიელებთან, სარმატებთან ან ალანებთან ბრძოლაა გადმოცემული. სასმისის დამამზადებელმა ასახა ის, რაც ნანახი ჰქონდა. კავკასიონის სამხრეთ ფერდზე, სოფ. გომში დადასტურებული ვერცხლის სასმისი ძველი და ახალი ნელთალრიცხვის მიჯნით თარიღდება.

საომარი იარაღიდან გომის სასმისზე არ არის გამოსახული საბრძოლო ცული და შურდული, რომლებიც იმ ეპოქის მნიშვნელოვანი თავდასხმის იარაღი იყო. საბრძოლო ცულები გამოიყენებოდა შეტევეთი ხელჩართული ბრძოლისას. ის შედგება ყუის, სატარე ხვრელისა და პირისაგან. საქართველოში აღმოჩენილ რკინის საომარ ცულებში გამოიყოფა ორი ძირითადი სახეობა: ერთს მოკლე, დანახნაგებული ყუა და ოვალურხვრელიანი სატარე ჰქონდა, მეორე კი მოკლეყუიანი, ვინრონელი-

კოლხი მეშურდულე



ანი, ფართეპირიანი იყო. საომარ ცულს ატარებდნენ ქამარზე დაკიდებულს, ტარით ქვემოთ. რკინის საომარ ცულს ახსენებს ქსენოფონტი „ანაბასისში“ (V, IV, 13), როგორც მოსუინიკების შეიარაღების ერთ-ერთ კომპონენტს. რკინის საომარი ცულე-ბი საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI ს-დან ჩნდება და I სა-უკუნემდე გამოიყენება.


შურდული წარმოადგენდა ორად მოკეცილ სალტეს ან ბა-ნარს, რომელსაც შუაში ბრტყელი ნაწილი ჰქონდა ქვის ჩასა-დებად და სატყორცნად. ეს უძველესი და ადვილად ხელმისაწ-ვდომი იარაღი იყო. საქართველოს ძველ სამოსახლოთა ნან-გრევებში ხშირად ჩნდება 3-7 სმ დიამეტრის რიყის მრგვალი ქვები, რომლებსაც შურდულით ისროდნენ. ათასეულობით საშურდულე ქვაა ნაპოვნი ვანის ნაქალაქარზე. ანაკოფიაში ამგვარი ქვები სასიმაგრო კედელთან გამოვლინდა. შურდუ-ლის ქვების აღმოჩენები საკმაოდ ხშირია არქეოლოგიურ ძეგ-ლებზე. ის ქვეითი ლაშქრის სატყორცნ შეტევით იარაღად ით-ვლება.

ამრიგად, იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოში საბრძოლო იარაღის სხვადასხვა ხასიათის სახეობები იყო გან-ვითარებული. აქ არის შეიარაღების როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი სახეობები. ამ იარაღებიდან საქართველოს არ-ქეოლოგიურ ძეგლებზე წარმოდგენილია შუბები, საბრძოლო ცულები, სატევრები, მახვილები, მშვილდ-ისრები და შურდუ-ლები. ლითონის თავდაცვითი შეიარაღების ნიმუშები საქარ-თველოში წინარეანტიკური ხანიდანაც არის ცნობილი.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მეომრის სამარხი №9 კარგი ილუსტრაციაა წარჩინებული პირის დამარხვის წესი-სა. აქ წარმოდგენილია შეტევითი და თავდაცვითი შეიარაღ-ების ერთობლიობა. მიცვალებულს სამი მხრიდან შემოწყობილი ჰქონდა რკინის სხვადასხვა ტიპისა და ზომის შუბისპირები, რომელთა რაოდენობა 60-ს აღწევს; ასევე – რკინის მახვილე-ბი. რკინისა და ბრინჯაოს ისრისპირები მიმოფანტული იყო სა-

მარხის მთელ ფართობზე, ხოლო ორ ადგილზე მიჯრით იყო ჩანყობილი გარკვეული წესრიგით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი ტყავის კაპარჭში ეწყო. თავდაცვითი შეიარაღება წარმოდგენილია რკინის ფართა (რომელიც მეომარს ფერხთით ედო) და ქვედა კიდურების ბრინჯაოს ჯავშნით, კნემიდებითა და საბარკულებით. ამ სამარხში დაკრძალული პიროვნების მაღალი სოციალური სტატუსი სამარხში ჩატანებული ოქროსა და ვერცხლის ინვენტარითაც დასტურდება.

სამხედრო ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი მოწმობაა საბრძოლო ეტლების არსებობა. საქართველოში არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად შეიარაღების ეს სახეობა შემდეგი სახით გვაქვს წარმოდგენილი: ორი ეტლის ნაშთი უფლისციხიდან, ეტლის ბრინჯაოს მოდელი დედოფლისწყაროს რ-ნის ადგილ გოხებიდან, რელიეფი ეტლის გამოსახულებით ვანის ნაქალაქარიდან. გოხების ორბორბლიან ეტლს აქვს ჭვირული ძარა და ათმანიანი ბორბლები, რომლებზეც საბრძოლო ცელი იყო მიმაგრებული. ამ სახის ეტლები კლასიკურ ტიპად ითვლება, რომელიც ძვ.წ. VII-IV საუკუნეებში




საბრძოლო ეტლი

ბერძნულ სამყაროში იყო გავრცელებული. როგორც საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, არისტოკრატიული მმართველი წრეების სამხედრო საქმეში გარკვეული ადგილი ეკავა საბრძოლო ეტლს.

ძვ.წ. VI-ახ.წ. IV საუკუნეების საქართველოს შეიარაღების ყველა სახეობის განხილვის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართველური მოსახლეობა ფლობდა როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი შეიარაღების კომპონენტებს. შეტევითი ხასიათის იარაღიდან მთელი ამ პერიოდის მანძილზე წამყვანია შუბი, რომელიც ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით ხასიათდება. ასევე მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმარობენ სატევარსა და მახვილს. ჩნდება მშვილდ-ისარიც, თუმცა ის პროცენტულად საკმაოდ ჩამორჩება სხვა იარაღს. რაც შეეხება საბრძოლო ცულს, ის საკმაოდ პოპულარულია ძვ.წ. VI-I საუკუნეებში, შემდეგ კი ხმარებიდან გამოდის. თავდაცვითი შეიარაღების ელემენტებიდან გვხვდება ბექთარი, ფარი, მუზარადი და წვივსაფარი-კნემიდები. შემორჩენილია ძირითადად ლითონისგან დამზადებული ნიმუშები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იქნებოდა ხისა და ტყავის თავდაცვითი შეიარაღების ნივთებიც, რომლებიც მინაში არ შემონახა. ლითონის თავდაცვითი შეიარაღება მფლობელის მაღალ სოციალურ სტატუსზე მეტყველებს.

არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, რომელიც ძველი საქართველოს მოსახლეობის ან ცალკეულ მეომართა შეიარაღებას ასახავს, ჩანს, რომ იმ დროის ქართველი მეომარი ეპოქის შესაბამისი მიღწევების დარად იყო კარგად აღჭურვილი.

არტილერია. შეტევით იარაღთა შორის პოპულარობით სარგებლობდა ქვის სატყორცნი მანქანა-მოწყობილობები – ბალისტები. ბალისტის მოქმედების წყაროს ხარის კისრის დაგრეხილი ძარღვები შეადგენდა. მოცემული ეპოქის საქართველოს ციხე-ნაქალაქარების არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ყუმბარსატყორცნ, ონაგრის ან ბალისტას



შეტევა ყუმბარმტყორცნი ბალისტით


ტიპის მანქანებს თავდამსხმელებიც იყენებდნენ და ქალაქის დამცველებიც. თავდამსხმელები ყუმბარებით – ქალაქის ნაგებობებს, ხოლო ქალაქის გარნიზონი მომხდურების სააღყო მანქანა-მონყობილობებს აზიანებდნენ. ქვის ყუმბარები, უმეტესნილად, ვანის ნაქალაქარის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, თავდაცვითი კედლისა და კარიბჭის კომპლექსის ნანგრევებში დადასტურდა. ყუმბარმტყორცნი მანქანები ალბათ, ძირითადად გალავანთან იყო განლაგებული, რათა მონინააღმდეგის დასაზიანებელ ობიექტებთან უფრო ახლოს ყოფილიყო. ყუმბარმტყორცნიდან ნასროლი ჭურვი მონინააღმდეგეს 200-300 მ-ზე სწვდებოდა და აზიანებდა. ყუმბარები მიკვლეულია აგრეთვე უფლისციხის, მცხეთის, ეშერის, სოხუმის, ბიჭვინთის, ურბნისისა და ნოქალაქევის ნაქალაქარებზე.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტუფის ქვისაგან გამოთლილი მრგვალი ბირთვების, ყუმბარების დიამეტრი 10-დან 30 სმ-მდეა. შესაბამისად, ისინი სხვადასხვა კალიბრისა იყო. ასეთი, სპეციალურად მრგვლად გამოთლილი ყუმბარები, ეტყობა ძირითადად ქალაქის გარნიზონის იყო. მომხდურები კი

ჩვეულებრივ, არამრგვალ ლოდებს იყენებდნენ სატყორცნად, რომლებიც მდინარეების ქალებიდან მოჰქონდათ. ყუმბარ-ჭურვების სატყორცნი მანქანები გალავანსა და კოშკებზე იყო განთავსებული. მათ გვერდით ყუმბარების მარაგი ეწყო. ვანის ნაქალაქარზე 300-მდე ქვის მრგვლად გათლილი ყუმბარაა აღმოჩენილი. საერთოდ, ყუმბარმტყორცნების დამზადებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყო საჭირო. მათი ამოქმედება კი სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქში ყუმბარმტყორცნელთა ანუ არტილერისტთა სპეციალურად განვრთნილი მეომრები ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი იარაღი მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ქალაქებსა და სახელმწიფოებს ჰქონდათ.

ბალისტის ერთი-ერთი დეტალი ბიჭვინთის ნაქალაქარზე ერთ-ერთი კოშკშია აღმოჩენილი. ის მთავარი ღერძის ნაწილია, ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული და 20 სმ დიამეტრი აქვს. დატანებული აქვს კუბიანები და ნახვრეტები. ბიჭვინთური ბალისტის დეტალის ანალოგები ცნობილია სხვა არქეოლოგიური მასალებიდან. ამავე კოშკში რკინის ისრისპირებთან და შუბისპირებთან ერთად ქვის მრგვალი ჭურვების გროვები აღმოჩნდა, რომელთა დიამეტრი 7-15 სმ-ს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ქვის ამგვარი ჭურვები ნაქალაქარის სხვა მონაკვეთებზეცაა არქეოლოგიურად დადასტურებული.


რომაელი პოლიოკრეტიკოსი ვეგეციუსი (IV,8) მეომრებს ურჩევდა, ჭურვებად რიყის ქვები გამოეყენებინათ. ბიჭვინთის ბალისტის ხსენებული დეტალი აქ ბალისტების არსებობას მიუთითებს. გარდა ამისა, ეს იარაღი ბიჭვინთის, როგორც ქალაქის ეკონომიკურად დანიანურებლობის მაუწყებელიცაა, ვინაიდან მისი დამზადება სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მოითხოვდა. თანაც საჭირო იყო სპეციალურად მომზადებული მსროლელებისა და ტექნიკოსების ყოლა. აღსანიშნავია, რომ ფასისის გარნიზონსაც, არიანეს ცნობით, სამხედრო მანქანები ჰქონია (იხ. არიანე პერიპლუსი..., 9).



ყუმბარმტყორცნი

როგორც წესი, სატყორცნი მანქანები განლაგებული იყო გალავანზე ან კოშკზე. ძველი დროის პოლიოკრეტიკოსები რეკომენდაციებში აღნიშნავდნენ, მტრის მოახლოებისას საბრძოლო მანქანები უნდა გამოაგოროთ და იქიდან აწარმოოთ სროლაო (ვეგეციუსი II, 8). ბალისტათა საბრძოლოდ მომზადება დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ ტყორცნის სიხშირე და სისწრაფე მაინცდამაინც დიდი არ უნდა ყოფილიყო.

ტარანი. ტარანს ანუ ურნალს წარმატებით იყენებდნენ საფორტიფიკაციო კედლების, კოშკებისა და კარიბჭეების შესანგრევად იბერია-კოლხეთის პერიოდის საქართველოში. ეს საომარი საშუალება შეტევითი, საძვერებელი იარაღის მიძიმე სახეობა იყო და ლითონის თავისა და მსხვილი ძელისაგან შედგებოდა. ლითონის ტარანის პირი ნვეტიანი იყო, ქვემოთა



ურნალი



შეტევა ურნალით


მხარე გაფართოებული ჰქონდა, რაც უზრუნველყოფდა მისი მსხვილი ძელის თავზე მორგებას.

ტარანი ქალაქების ფორტიფიკაციის დასანგრევ ძირითად იარაღს წარმოადგენდა. ვანის ნაქალაქარზე არქეოლოგებმა ტარანის ერთი მეტრის სიგრძის რკინის ნაჭედი პირი აღმოაჩინეს, რომელიც სამფრთიანი წვეტიანი წვერის, ცილინდრული ტანისა და კონუსისებური ბოლოსაგან შედგება. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტარანი უნიკალურია და ამ სახის, ფორტიფიკაციის დამანგრეველი საძგერებელი მექანიზმი ჯერჯერობით მხოლოდ აქ არის დადასტურებული (იხ. ლორთქიფანიძე გ. 1976: 167), რაც სამხედრო საქმის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. საყურადღებოა პროკოპი კესარიელის (იხ. BP BG, VIII, 14; BP, II, 17) ცნობა იმის შესახებ, რომ არქეოპოლის-ნოქალაქევისა და პეტრა-ციხისძირის ციხესიმაგრეების კარიბჭეების შესანგრევად გამოყენებულ იქნა ტარანი, რომელსაც ანტიკურ სამყაროში ვერძის თავს ანუ „კრიოს მანქანებს“ უწოდებდნენ. ხშირად ტარანს ურემზე ამაგრებდნენ და ასე მიმართავდნენ კარიბჭეების შესაღწევად.

საზღვაო-სამხედრო საქმე. ძველ საქართველოში ზღვასთან ახლოს მდებარე რეგიონებში მცხოვრებლებს, სახმელეთო ბრძოლების გარდა, საზღვაო ბრძოლების გამოცდილებაც ჰქონდათ. ამის შესახებ ცნობები შემონახულია ბერძნულ-ლა-

თინურ წერილობით წყაროებში. ქსენოფონტი გადმოგვცემს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. 401 წელს ბერძენთა ჯარს საომარი ოპერაციების დროს ერთ-ერთმა ქართველური მოდგმის ხალხმა – მოსუნიკებმა ე.წ. საზღვაო-სადესანტო მხედრობა მიაშველეს. კერძოდ: „... გამოგიგზავნეთ ნავები და მებრძოლები, რომლებიც თქვენთან ერთად იომებენ...“; „... ისინი (მოსუნიკები) მოვიდნენ მორებისაგან გამოთლილი ნავებით. ყველა ნავში სამ-სამი მებრძოლი იჯდა; ორი მათგანი იარაღს ისხამდა და ნაპირზე გადმოდიოდა, ერთი კი რჩებოდა ნავში;“ „... ნაპირზე დესანტირებულები დაეწყენ ასეულებად ცალკეული დანაყოფების მიხედვით“, „... ყველას ხელში ეჭირა ფარი, ... შუბი.“ „...ემოსათ ტილოს სამოსი, ... თავზე ტყავის მუზარადები ეხურათ“. როცა მწყობრად დაეწყენ, ერთ-ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, სხვებმა ამ სიმღერის ტაქტს ფეხი აუწყვეს და გაემართნენ საბრძოლველად“ (იხ. „ანაბასისი“ V, IV, 9-14). ჰიპოკრატეც აღნიშნავს, რომ მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელზე ადგილობრივი მცხოვრებლები „აღმა-დაღმა დაცურავენ მთლიანი მორისაგან გამოთლილი ნავებით, რადგან აქ არხები ბევრია“ („ჰაერთა, წყალთა“... 15).

სტრაბონი მოგვითხრობს, რომ კავკასიონის გასწვრივ, ზღვასთან, კოლხეთში მცხოვრებნი „...ზღვაზე ყაჩაღობენ,



საბრძოლო ხომალდი



იბერიელი შუბოსანი

აქვთ მომცრო, ვინრო და მსუბუქი ნავები, რომლებ-
შიც დაახლოებით ოცდახუთი მეტრძოლი ეტე-
ვა, ... ბერძნები მათ კამარებს უწოდებენ.“ ...
ესენი ამ ნავებისაგან ფლოტილიებს ქმნიან
და თავს ესხმიან სატვირთო ხომალდებს,
...ქალაქებს და ამგვარად აკონტროლე-
ბენ ზღვას“ (სტრაბონი XI, II, 12). ტაცი-
ტუსის ცნობით: „...კამარებს უწოდებენ
დაბალგვერდებიან, ფართოძირიან,
სპეციალურ სამხედრო ნავებს; ასეთი
ნავები ბრინჯაოს ანდა რკინის სამაჯურე-
ბის გარეშეა შეკრული; როცა ზღვა ღელავს,
ტალღების სიდიდის მიხედვით ნავებს ფიც-
რებით სიმაღლეს უმატებენ, სანამ სახურა-
ვის თალივით, კამარასავით არ გადაიხუ-
რება... ამ ნავებს ორივე მხარეს ერთნაი-
რი ცხვირები და ერთნაირი ნიჩბები აქვთ“

(„ანალები“, III, 47). ნავ-კამარები ბრძოლის დროს მოძრაობ-
დნენ ნიჩბების საშუალებით, აფრას კი გრძელ მანძილზე გადა-
ადგილების დროს იყენებდნენ. ამ ტიპის ნავები გამოირჩეოდა
კარგი სანავიგაციო თავისებურებებით და ნაპირთან სწრაფი
მიდგომის უნარით, რაც ნაპირზე სამხედრო დესანტირებისას
ძალიან მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. კოლხების სამხედ-
რო ფლოტილიის შესახებ ცნობა მოიპოვება, აგრეთვე, ძვ.წ.
III საუკუნის ავტორ აპოლონიოს როდოსელთანაც (იხ. „არგო-
ნავტიკა“, II, 1090; IV, 235). აქვე აღსანიშნავია, რომ სოფ. ყო-
ლოთოში აღმოჩენილ ძვ.წ. III საუკუნის ბრინჯაოს ინტალიოზე
გამოსახულია ნიჩბებიანი კატარღა, რომელიც შესაძლოა ნავ-
კამარა იყოს.

კოლხეთში მოიპოვება „გემთსაშენი ყოველივე მასალა,
რადგან იზრდება მრავალრიცხოვანი ტყეები...“ „ამუშავებენ
დიდძალ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს“. მნიშვნელოვანია

ისიც, რომ სტრაბონი შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს „კოლხეთის ზღვას“ უწოდებს (იხ. სტრაბონი, XI, I, 6; II, 17), რითაც ხაზს უსვამს ძველი საქართველოს ამ რეგიონის მნიშვნელობას საზღვაო საქმის ცოდნის თვალთახედვით.

პონტოს სამეფოს სამხედრო საზღვაო ძალების გემების ეკიპაჟები ძირითადად კოლხეთის მოსახლეობისაგან კომპლექტდებოდა და ხომალდების ცალკეული ნაწილები და აღჭურვილობაც აქედან მიეწოდებოდა, კერძოდ – სელისა და კანაფის თოკები, აფრები, ხის მასალა და ფისი. სტრაბონი აღნიშნავს, რომ მითრიდატე ევპატორს სწორედ კოლხეთიდან „მისდიოდა უმეტესი ნაწილი საზღვაო-სანაოსნო ძალებში სამსახურისათვის“ (XI, II, 18).

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ანიკეტის ამბოხის ამბავი. ანიკეტი ადრე სამხედრო ფლოტის მეთაური ყოფილა. შესაძლოა, რომ იგი წარმომავლობით კოლხი იყო. როცა პოლემონის სამეფო რომაელებმა პროვინციად აქციეს, ანიკეტმა პროტესტი განაცხადა, რისთვისაც მკაცრად დასაჯეს და

დაატყვევეს. ანიკეტი გაიქცა, მიიმხრო პონტოს ადგილობრივი უკმაყოფილო და უპოვარი მცხოვრებლები და სათავეში ჩაუდგამათ. შემდეგ ამბოხებულებთან ერთად სწრაფად შეიჭრა სამხრეთ-აღმოსავლეთ პონტოში და აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი, სადაც ერთი რომაული დანაყოფი ამოხოცა და ნავსადგურში მდგარი ფლოტის ნაწილი ხელთ იგდო, ნაწილი კი დანვა. მან ტრაპეზუნტის გასწვრივ ზღვაზე კონტროლი დაანესა, სადაც „... ადგილობრივები



იბერიელი მხედარი

გაბედულად მოძრაობდნენ სახელდახელოდ აგებული ნავე-
ბით, რომლებსაც კამარებს უწოდებენ...“. ამის შემდეგ „ანი-
კეტი მდინარე ხობის (დღევანდელი მდ. ხობის) შესართავში“
თავისი საზღვაო ფლოტილიით დაბანაკდა (იხ. ტაციტუსი,
„ანალები“, III, 47,48).

როგორც ჩანს, იბერიულ-კოლხურ ხანაში საქართველოს
სამხედრო საზღვაო ფლოტის ძირითადი ძალა ნიჩბიანი კა-
ტარლები იყო. შემდგომ ბერძნული და რომაული, იმ დროი-
სათვის მოწინავე საზღვაო ტექნიკის გამოყენებაც დაიწყო
და მათი მსგავსი მოზრდილი ხომალდებიც ააგეს. საერთოდ,
ბუნებრივია, რომ საზღვაო საქმის განვითარებას ძველ საქარ-
თველოში ხელს უწყობდა მისი შავ ზღვასთან მდებარეობა და
სანაპიროზე ფართო სამდინარო ქსელის არსებობა.

მომდევნო პერიოდში კოლხეთში ნაოსნობის განვითარების
შესახებ აღნიშნავს ბიზანტიელი ავტორი აგათიაც. კერძოდ:
„ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები; ისინი სხვა ხალხებზეც
მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით...“ „... ახ-
ლანდელი მცხოვრებლები ზღვაოსნობენ რამდენადაც შესაძ-
ლოა და ამით ვაჭრობაში სარგებელს ნახულობენ...“ (იხ. აგა-
თია, III, 5).

იბერიის სამეფო აღმავლობის გზაზე

ძვ.წ. IV-II საუკუნეებში იბერიასა და კოლხეთს სახელმწიფო-ებრივი ცხოვრების უკვე საკმაოდ დიდი გზა ჰქონდა განვლილი. აქ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაგებობებს, მტკიცე ციხესიმაგრეებს, ხიდებს, წარჩინებულთა სასახლეებს, სახელმწიფო გზებს აგებდნენ. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, სასოფლო თემების მცხოვრებლები, მიწას ამუშავებდა. ომის დროს სამეფო ლაშქრის მრავალრიცხოვანი ძალა სწორედ ესენი იყვნენ. საზოგადოების წარჩინებულ წევრებად მეფის საგვარეულო, სამხედრო-სამოხელეო პირები და ქურუმები მიიჩნეოდნენ.

იბერია-კოლხეთის ბარი საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული, რაც აისახებოდა მინათმოქმედება-მესაქონლეობის, მევენახეობა-მებაღეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების დონეზე. მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი სავაჭრო გზა ინდოეთიდან შავ ზღვამდე კავკასიაზე გადიოდა. ამ გზის გაყოლებაზე კრამიტით დახურული მრავალი ქალაქი, სოფელი და სავაჭრო ნაგებობა იყო განლაგებული.

ძვ.წ. I საუკუნიდან იბერიის სამეფოს აღმავლობის და ძლიერების ხანა დაიწყო. ამას გარკვეულწილად ხელს უწყობდა ახალი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური სიტუაცია, კერძოდ – რომსა და პართიას შორის გაუთავებელი ქიშპი და ომი. იბერიის ხელისუფლება საგარეო ვითარებას თავის სასარგებლოდ მოხერხებულად იყენებდა. I საუკუნის პირველ ნახევარში იბერიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ თავისი საზღვრები გააფართოვა და მედგარი ბრძოლით აიღო მდ. არაქსთან მდე-



ასპარეჰი



უშა



უცნობი



ბელა



ზევსი



ზევსი



უჩა



უცნობი


*იბერიის არისტოკრატთა პორტრეტები
(დახატულია არქეოლოგიურად აღმოჩენილი ქრილაქების მიხედვით)*

ბარე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი არტაქსატა. ამ დროისათვის იბერიამ დაიბრუნა სამხრეთ-დასავლეთით მდინარეების: ჭოროხის, მტკვრისა და არაქსის სათავეების ტერიტორიები და ზღვის სანაპიროზე გავიდა.

საისტორიო წყაროები იბერიის სამეფოს სატახტო ქალაქად მცხეთას მოიხსენიებენ, რომელიც მდინარეების მტკვრის და არაგვის შესართავთან იყო გაშენებული. მცხეთაში ჯერჯერობით არქეოლოგიურად დადასტურებული ძირითადი სასიმაგრო ნაგებობებია: მთაქართლი და არმაზციხე, წინამური, ღართისკარი და ზადენი.

სტრაბონი გადმოგვცემს (XI, III, 5): „...მდ. მტკვრისა და არაგვის შერთვის ადგილას მდებარეობს გამაგრებული ნაგებობები კლდეებზე, რომლებიც დაცილებული არიან ერთმანეთს; მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე (არმაზციხე), ხოლო იქით – სევსამორა (წინამური).“ არმაზციხე ანუ ბაგინეთი თავისი საფორტიფიკაციო ნაგებობებით, ქალაქ მცხეთის აკრო-

არმაზციხის რეკონსტრუქცია



პოლისი ანუ მთავარი ციხე იყო. საისტორიო წყაროები გვაუწყებს და ამას არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს, რომ აქ ანგარიშგასანევი საფორტიფიკაციო სისტემა არსებობდა. ფარნავაზიანი მეფეები მუდმივად არმაზის აღმშენებლობა-გამაგრებით იყვნენ დაკავებულნი. კერძოდ, ფარნავაზმა „მოქმნა ზღუდე წყლით კერძო“. საურმაგამა „ინყო არმაზს შენებად“. მირვანმა „მთასა ზედა ალაშენა ციხე“, არსოკმა „ქალაქსა ზღუდენი მოაქმნა“ და არიკმა „შიდა ციხე ალაშენა არმაზსა“ (იხ. დ.ქ.ა.ლ.ძ.; 82). არმაზციხის ტერიტორია 15 ჰექტარია, ქართლის მთის ქედის ქვედა მხარეს, იქ, სადაც მდინარე მტკვარი ქართლის მთის კიდეს შემონერს. არმაზციხის სასიმაგრო კოშკებიან და კურტინებიან კედლებს მცირე ხეხვი საზღვრავს. აქ არქეოლოგიურად დაფიქსირებულია: დედა ციხე-აკროპოლისი, სამოქალაქო საცხოვრისი და სასიმაგრო ნაგებობები. მცხეთის აკროპოლისი ანუ დედა ციხე (არმაზციხე) კლდოვან შემადგენელზე განლაგებული საფორტიფიკაციო ადგილია. არმაზციხის ერთ-ერთი კარიბჭე კარსნისხევის მხარეს გადიოდა. არქეოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ სასიმაგრო

გალავნით შემოფარგლული ეს ტერიტორია ებმის ქართლის მთის ქედის გაყოლებაზე მდებარე სასიმაგრო ხაზს.

არმაზციხის სასიმაგრო ნაგებობების ცოკოლი ნაგებია კლდოვან ქანზე, ქვის თლილი კვადრები ერთმანეთთან მიჯრითაა დაწყობილი. ქვის რიგების წყობაში კვადრები ხის ან ლითონის სამაგრებით უკავშირდება ერთმანეთს. არმაზციხის სასიმაგრო კედლის შიდა სივრცე ამორფული ქვითა და თიხა-მიწითაა ამოვსებული.



არმაზციხეში საზოგადოებრივი და სამეურნეო ნაგებობების ნანგრევები აღმოჩნდა.

სტრაბონისეული „სევსამორა“ ანუ წინამური, არმაზციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ზე მდებარეობს. ის მდინარე არაგვის მარცხენა მხარეს, ქედსა და მის ფერდობზე იყო გაშენებული. წინამურის ქედის გაყოლებაზე არქეოლოგიურად დადასტურდა სასიმაგრო კედლები. ქედის კიდეზეა შესწავლილი წრიული საფორტიფიკაციო კოშკი. აქვე დადასტურებულია თლილი ქვები, ალიზი და კრამიტები.

წინამურის ქედის სასიმაგრო სისტემას აგრძელებს მცხეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარე ღართისკარის სასიმაგრო ნაგებობათა რიგი. აქ ბრინჯილელეს გასწვრივ კოშკები და თავდაცვითი კედლები გაითხარა. აქვე, სამხრეთ მხარეს, სამეურნეო და საზოგადოებრივი ნაგებობები აღმოჩნდა. ღართისკარის სასიმაგრო სისტემა მდ. არაგვის ორივე ნაპირზეა გაშენებული და დამრეც ფერდობებზე ტერასულადაა განლაგებული. თავდაცვითი კედლის სიგანე 2,50 მეტრია და მასში 7,5 X 7,5 მ ზომის სწორკუთხა კოშკებია გამართული. კოშკების გათხრისას აღმოჩნდა სართულშორის გადახურვის ხის დეტალები. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ სასიმაგრო სისტემა ფუნქციონირებდა ძვ.წ. II – ახ.წ. III საუკუნეებში.

პართიის სახელმწიფოს არშაკიანთა წარჩინებული საგვარეულო ჩაუდგა სათავეში, რომელსაც თავდაპირველად კასპიის ზღვის სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ეჭირა, ხოლო შემდეგ, ძვ.წ. II-I საუკუნეებში ის ამუდარიიდან ევფრატამდე გაფართოვდა. სატახტო ქალაქი იყო ქტეზიფონი მდ. ტიგროსზე. პართია აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა. პართიის ასეთი გაძლიერება რომის ამბიციებს აღმოსავლეთში საფრთხეს უქმნიდა, რის გამოც მათი საბრძოლო-პოლიტიკური შეტაკება გარდაუვალი გახდა.

კავკასიისათვის პართიისა და რომის ბრძოლამ მწვავე ხასი-



იბერიელების საბრძოლო წყობა

ათი მიიღო. ახ.წ. 35 წელს პართიის ხელისუფლებამ რომაელთა არმენიის ხელში ჩაგდება სცადა. იმპერატორმა ტიბერიუსმა ამ ბრძოლაში ურთიერთობის მოგვარება და მხარდაჭერა „მეგობარს“, იბერიის მეფე ფარსმანს სთხოვა. კერძოდ, ფარსმანს შეუთვალა, შენი ჯარით პართელების წინააღმდეგ პერმანენტულად იმოქმედო. ფარსმან იბერიელის ჯარმა პართელები მდ. არაქსისპირეთიდან განდევნა. პართიის მეფემ ჯარი შეიკისო და კავკასიისაკენ ისევ დაიძრა. ფარსმანმა დარიალის ხეობით თავისი მომხრე სარმატი მეომრები გადმოიყვანა. ფარსმანის მხედრობამ გამარჯვება მოიპოვა. ამ დამარცხებამ განარისხა პართიის მეფე. მან იბერიელების წინააღმდეგ მთელი ჯარი შეყარა. ბრძოლა გახანგრძლივდა. ამ დროს რომაელთა სარდლობამ ხმა დაარხია, ფარსმანს პართიის წინააღმდეგ ჯარით უნდა დავეხმაროთო.

ახ.წ. 51 წელს იბერიის ჯარი მდ. არაქსისპირეთში შეიჭრა და გარნის ციხესიმაგრეს მიაღება. ეს სიმაგრე ბუნებრივად კარგად დაცული და ძნელმისადგომი იყო და რომაელთა მცირე გარნიზონი იცავდა. იბერიელთა ჯარმა გარნის ციხესიმაგრე მედგარი ბრძოლით აიღო. კავკასიაში რომაელთა გავლენის

გაძლიერების გამო პარტიის სახელმწიფომ აქ ვერ შეძლო თავისი ბატონობის გავრცელება. შავ და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებზე ბატონობისათვის მიმდინარე ბრძოლაში უპირატესობა რომის მხარეს იყო. მიუხედავად ამისა, პარტიასთან მუდმივი ქიშპის გამო ამ რეგიონში რომმაც ვერ მოიკიდა მტკიცედ ფეხი. ახ.წ. II-III საუკუნეებში პართია შინაგან წინააღმდეგობათა და განუწყვეტელი საგარეო ომების გამო იმდენად დასუსტდა, რომ ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება არამყარი აღმოჩნდა და ეს უკიდევანო ქვეყანა მრავალ სამეფოდ დაიყო.

პარტიის დაქუცმაცებული სახელმწიფოს ხელახალი აღზევება ფარსის რეგიონიდან დაიწყო, რომელიც ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სპარსეთის ყურის სანაპიროსთან მდებარეობდა. ირანის ამ სახელმწიფოს გამაერთიანებელი გახდა წარჩინებული ქურუმის, სასანის ოჯახის წევრი არტაშირი. მან ჯერ ხელში ჩაიგდო მთელი ძალაუფლება ფარსში, ხოლო მოგვიანებით მთელი პართია დაიმორჩილა. ბოლოს არტაშირმა ბრძოლაში დაამარცხა პარტიის არშაკიანთა მეფე არტავანი. ამ გადამწყვეტი გამარჯვების აღსანიშნავად არტაშირმა კლდეზე თავისი რელიეფი ამოაკვეთინა, სადაც ის ცხენზე ამხედრებულია გამოსახული და ღმერთი სამეფო გვირგვინს ადგამს. შემდეგ არტაშირმა პარტიის სატახტო ქალაქი ქტეზიფონი აიღო. ამით კი ირანის ახალ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც სასანიანთა ირანის სახელისათა ცნობილი. ამჯერად რომს დაუპირისპირდა სასანიანთა ირანი, რომელმაც არშაკიანთა პარტიის საგარეო პოლიტიკა გააგრძელა. სასანიანებს სურდათ, ხმელთაშუა და შავ ზღვაზე გასულიყვნენ და კავკასიის ქვეყნები თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ. ამის გამო რომსა და ირანს შორის ბრძოლა გაჩაღდა. ორივე მხარე ესწრაფოდა ტრანსკავკასიის ხელში ჩაგდებას. კავკასიას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

და თანაც მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო მებრძოლი მხარეებისათვის. ვინც ტრანსკავკასიაში გაბატონდებოდა, მის ხელთ იქნებოდა ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი კავკასიონის მთიანეთის ბუნებრივი, ადვილად ჩასაკეტი გადასასვლელები. აქ, ჩრდილოეთ კავკასიაში, სამი მნიშვნელოვანი საუღელტეხილო გადასასვლელი იყო: არაგვ-დარიალის, რიონ-მამისონისა და კოდორ-ქლუხორის. ვინც ხეობებში გამავალ, ბუნებრივად დაცულ ამ გადასასვლელებზე მოიპოვებდა კონტროლს, ის სურვილისამებრ ჩაკეტავდა და გაალებდა მათ და ჩრდილო კავკასიის მომთაბარე-ნომადურ მეომარ ტომებსაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. სწორედ ამიტომ რომი და ირანი გადასასვლელების დაუფლებისათვის იბრძოდნენ.

სასანიანთა ირანსა და რომის იმპერიას შორის მიმდინარე ომების დროს ცვლილებები მოხდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრებაში. თანდათან შეიცვალა მეურნეობის წარმოების წესი და ტექნოლოგიები. მიმდინარეობდა საზოგადოებრივი განვითარების პროცესი. ამ პერიოდში რომის იმპერიასა და კავკასიაში ქრისტიანული იდეოლოგია დამკვიდრდა, ირანულ სამყაროში კი – მახდენობა ანუ ზოროასტრიზმი. ეკონომიკურ-პოლიტიკურმა კრიზისმა IV საუკუნის რომის იმპერიაში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. იმპერიის სხვადასხვა ნაწილში გახშირდა აჯანყებები. ხშირი იყო მომთაბარე ტომების თავდასხმებიც. ამის გამო 395 წელს რომის იმპერია დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიად გაიყო. 410 წელს გუთებმა აიღეს და გაძარცვეს ქალაქი რომი.

რომისა და სასანიანთა ირანის იმპერიებს შორის ომების შედეგად IV საუკუნეში უპირატესობა ირანის მხარემ იგდო ხელთ. ამ დროისათვის მდ. არაქსისპირეთი, იბერიის სამხრეთი და ალბანეთი ირანის გავლენის ქვეშ მოექცა.

როგორც ადრეც ვახსენეთ, ახ.წ. 30-იან წლებში იბერიის მეფე ფარსმან I რომაელებთან შეთანხმებით, სარმატთა

ჩრდილო-კავკასიური ტომისა და ალბანელთა დარაზმვით მდ. არაქსისპირეთში პართელებთან საომრად გაემართა. მოწინააღდგის ჯარს პარტიის მეფის შვილი ოროდი სარდლობდა. პართელთა დიდი ლაშქარი ძირითადად ცხენოსნებისაგან შედგებოდა. იბერიის მეფის ჯარი კი ამ დროისათვის ძლიერ ქვეითთა ლაშქარს და ცხენოსანთა სწრაფ რაზმებს ფლობდა. ამას ემატებოდა იბერიის მიერ დაქირავებული სარმატი და ალბანელი მეომრებიც. იბერთა მეფე ფარსმან I-მა ჩინებულად გამოიყენა ადგილობრივი გარემო-პირობები და ბრძოლის ნაცადი ხერხები. პარტიის ცხენოსანი ჯარი ასეთ მთავორიან გარემოში მოქმედებას მიუზღვევლი იყო. იბერიელთა ცხენოსნებმა ჯერ ისრები სტყორცნეს პართელებს, ხოლო შემდეგ ქვეითებმა მწყობრად მიიტანეს იერიში, რამაც პართელების სრული მარცხი განაპირობა. ბრძოლის პირველ ეტაპზე ფარსმანმა ალყა შემოარტყა მტრის საგუშაგოებს და ხელთ იგდო სტრატეგიული, საკვებისა და ფურაჟის მარაგი. ტაციტუსი გადმოგვცემს: ფარსმანი „...ამხედრებული მიადგა პართელთა სამხედრო ბანაკს, დაარბია ფურაჟის საცავები და ალყა შემოარტყა გამაგრებულ საგუშაგოებს...“ ბრძოლის წინ ფარსმანმა სიტყვით მიმართა თავის მხედრობას: „პართელების ბატონობა არ გვინწენვია. თუ ცდას არ დავაკლებთ, დიდ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით; ხოლო თუ მტერს ზურგი ვუჩვენეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებით... აქ ვაჟკაცი მხედრობაა, იქ კი საშოვარი“ (იხ. ტაციტუსი, „ანალები“, VI, 34).

ამ ბრძოლაში იბერთა მეფე ფარსმანი ჯარს პირადად მიუძღოდა. მან სწორად გათვლილი მანევრით მოახერხა პართელების დამარცხება. ამის შემდგომ პართელებმა კიდევ რამდენჯერმე სცადეს იბერებთან შეებმა, მაგრამ კვლავ მარცხი იწვნის.

ახ.წ. 50-იან წლებში მეფე ფარსმან I-მა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა რომაელ სარდალს გნეუს დომიციუს კორბულონს, რომელიც სამხრეთ ტრანსკავკასიაში პართელებს

ეომებოდა. სამაგიეროდ, იბერიამ მდ. არაქსამდე მიწები შემო-
იმტკიცა (იხ. ტაციტუსი, „ანალები“, XIV, 23).

II საუკუნის პირველ ნახევარში იბერიის სამეფო ტახტზე
ფარსმან II ქველი ავიდა. მის შესახებ „ქართლის ცხოვრება“
მიგვითითებს: „...ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხუ-
ად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა
დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართველი ბრძოლისა,
უშიში ვითარცა უხორცო...“ (ქ.ც. I: 51).

მეფე ფარსმან II უკვე შეუფარავად ებრძოდა რომის იმ-
პერიას და ცდილობდა რომაელების განდევნას ზღვისპირა
კოლხეთიდან და სამხრეთ ტრანსკავკასიიდან. იბერია თავისი
ინტერესების დაცვისათვის გაბედულად დაუპირისპირდა იმ
დროისათვის სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელ-
მწიფოებს, რომსა და პართიას. ხსენებული სახელმწიფოე-
ბი, როგორც ჩანს, იბერიის სამეფოს ანგარიშგასაწევ ძლიერ
ქვეყნად მიიჩნევდნენ. ამიტომ, იმპერატორ ანტონინუს პიუ-
სის (ახ.წ. 138-161 წწ.) დროს იბერიასა და რომს შორის ურთი-
ერთობები გამოსწორდა.

რომაელი ისტორიკოსი ელიუს სპარტიანი მოგვითხრობს,
რომ რომის იმპერატორი პატივს სცემდა იბერთა მეფე ფარ-
სმან II-ს, რადგან მისი სამხედრო მხარდაჭერა სჭირდებოდა
სამხრეთ ტრანსკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში.
ამის გამო იბერთა მეფეს ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი, საბ-
რძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი მებრძოლთა რაზმი
უბოძა. შესაძლოა, მცხეთაში სწორედ ეს ძვირფასი ნივთებია
არქეოლოგიურად აღმოჩენილი (იხ. მცხეთა, I). ახ.წ. 140 წელს
ფარსმან II ამალით, დიპლომატიური მისიით, იმპერიის სატახ-
ტო ქალაქ რომში ჩავიდა. აქ მას ზეიმით შეხვდნენ და პატივის-
ცემის ნიშნად ფარსმანის ქანდაკებაც კი აღმართეს (იხ. დიონ
კასიოსი, „რომის ისტორია“, LXX, 2).

იბერიის სამეფომ მოქნილი პოლიტიკით, რომსა და პართიას
შორის ლავირებით და წარმატებული ომების შედეგად საზღ-

ვრები გაიფართოვა. ქვეყანაში დიდძალი სიმდიდრე შემოვიდა, რამაც ეკონომიკური წინსვლა და წარმოების სწრაფი ტემპით განვითარება გამოიწვია.

კოლხეთ-იბერიაში ხშირი საბრძოლო მოქმედებები და ოპტიმალური, სტრესული სიტუაციები, რომლის დროსაც საჭირო იყო ორგანიზაციული საკითხების სწრაფი გადაწყვეტა, ხელს უწყობდა ადგილობრივ მოსახლეობაში საზოგადოებრივ კონსოლიდაციას და სოციალურად კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

ფარნავაზიანთა ეპოქის ქართლის ანუ იბერიის სამეფოს, რომელშიც კოლხეთის ნაწილიც შედიოდა, სამხედრო ორგანიზაციის საკმაოდ კარგი სისტემა ჰქონდა. როგორც ჩანს, იბერიელები ინფორმირებულნი იყვნენ ბერძენთა, ირანელთა და რომაელთა მონინავე სამხედრო ხელოვნების შესახებ. ისინი ამ ცოდნას მოხერხებულად უხამებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს.

სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ომის დროს ქვეყანას დაახლოებით 50000 ქვეითისა და 20000 ცხენოსნის მობილიზება შეეძლო. აგრეთვე: „დაბლობზე იბერთაგან უმეტესად მიწათმოქმედები სახლობენ, ესენი... მიდიელთა მსგავსად იცვამენ და იჭურვებიან. უფრო დიდ ნაწილს, რომლებიც მეომარი ბუნების არიან, უკავიათ მთიანი მხარე... მისდევენ მიწათმოქმედებასაც; როცა ომიანობაა ...თავისი სახსრებით მრავალი ათასი მეომარი გამოჰყავთ“. მეფეს, აგრეთვე, ჩრდილოკავკასიელი მომთაბარე მთიელების დაქირავებული რაზმები ჰყავდა. სტრაბონივე აღნიშნავს, რომ ალბანელებს „ომის დროს ეხმარება მთის ნომადური, მომთაბარე მოსახლეობა... ისევე, როგორც იბერებს“ (იხ. სტრაბონი XI, III, 3; IV, 5; ქ.ც. I: 23). ამრიგად, როგორც ჩანს, იბერიის მეფეს შეეძლო საომრად საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი გამოეყვანა. ამ ჯარის ნაწილი კარგად გაწვრთნილი იყო და მრისხანე ძალას წარმოადგენდა.

პომპეუსთან ომის დროს იბერიას, აპიანეს მონაცემებით,

შემდეგი რაოდენობის მეზრძოლი ჰყავდა: „...იბერთა მეფე არტოკე (არტაგი) 70.000 მეზრძოლით შეებრძოლა პომპეუსს... მდინარე მტკვართან“ (იხ. აპიანე, მითრიდატიკა, 103), მაშინ, როდესაც იმ დროისათვის რომის უძლიერეს, პომპეუსის არმიას, მახლობელ აღმოსავლეთში მითრიდატესთან საომრად დაწესრიგის დასამყარებლად 120.000 ქვეითი, 4.000 ცხენოსანი და 25 მაღალი რანგის სარდალი ჰყავდა (იხ. აპიანე, „მითრიდატიკა“, 94).

იბერიის სამეფოს უმაღლესი მთავარსარდალი მეფე იყო, რომლის ხელშიც სახელმწიფოებრივი მართვის მთავარი სადავეები იყრიდა თავს. მეფეს მთელი სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა ემორჩილებოდა. ხშირად ბრძოლის დროს მეფე ჯარს თავად მიუძღოდა.

სტრაბონის მონაცემებით, მეფის შემდეგ მეორე პირი მხედართმთავარი იყო, რომელიც სამეფო გვარიდან ინიშნებოდა (იხ. სტრაბონი XI, III, 6). ასეთივე მთავარი სამხედრო პირი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქვეყანაში სამხედრო საქმეს, ნახსენებია „ქართლის ცხოვრებაშიც“. იქვე აღნიშნულია, რომ მას ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციული მხარეების ხელმძღვანელები, ერისთავები ექვემდებარებოდნენ. თავის მხრივ, ერისთავებს ემორჩილებოდნენ ათასისთავები (იხ. ქ.ც., I: 24-25) და ასისთავები. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჯარი, პირობითად, ასეულებად და ათასეულებად იყო დაყოფილი.

მეფის შემდეგ მეორე პირის არსებობა, რომელსაც სამხედრო უწყება ებარა, იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოში უპირველესი მნიშვნელობა სამხედრო საქმეს ენიჭებოდა. მთავარსარდალი ერისთავთ-ერისთავი განაგებდა ამ უწყებას და ევალებოდა სამეფოს შეიარაღებული ძალების მართვა. ის, აგრეთვე, პასუხს აგებდა ჯარის მობილიზებაზე, მონინააღმდეგის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებასა და საბრძოლო წვრთნა-მზადყოფნაზე. ასეთივე მოვალეობები

ეკისრებოდათ გარკვეული ტერიტორიების მფლობელ ერის-
თავებს, რომლებიც მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორი-
ებს და აქედან გამოსულ მებრძოლებს ხელმძღვანელობდნენ.

სამხედრო-არისტოკრატიული გვარის შვილები ბავშვობი-
დანვე ერგეოდნენ სამხედრო წრეთობას, რადგან მომავალში
ეს მათი ძირითადი საქმე და მოვალეობა იქნებოდა. აღზრდა-
წვრთნაში წამყვანი ადგილი ნადირობას ენიჭებოდა. ნადირო-
ბა ომისათვის მზადების საუკეთესო ხერხი და სამხედრო-ფი-
ზიკური მომზადების კომპლექსური საშუალება იყო. ის მომა-
ვალ მეომარს იარაღის ხმარებას – შუბისა და ისრის მიზანში
ტყორცნის უნარს, ცხენოსნობას, სხვადასხვა საბრძოლო ხე-
რხს, სწრაფ მანევრირებას, მამაცობას, ფიზიკურ გამძლეობას
უვითარებდა და აჩვენებდა. ყოველივე ამას ნადირობისას სწავ-
ლობდნენ, რაც შემდგომ ომებში თავის გამოჩენის და მეფის
კარზე დანიშნულების საშუალებას აძლევდათ.

იბერიის სამეფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერ-
თეულებად იყო დაყოფილი (იხ. ქ.ც. I: 24). მათ ადგილობრივი
სამხედრო-არისტოკრატიის წარმომადგენლები, ერისთავები
მართავდნენ, რომელთაც ბერძნული და არამეული წერილო-
ბითი წყაროები სკეპტუხებად ან პიტიახშებად მოიხსენებს (იხ.
სტრაბონი XI, II, 18; წერეთელი, 1943: 37-43). ერისთავი, მისდა-
მი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე სამეფო ხელისუფლების
უმაღლესი წარმომადგენელი, აქ საჯარო და სამხედრო ხელი-
სუფალი იყო და ომის დროს საერისთავოდან გამოსულ ლაშ-
ქარს სარდლობდა. ერისთავის ინსიგნიებს ის მეფისაგან იღებ-
და. ეს იყო: კვერთხი-სკიპტრა, განსაკუთრებული საბეჭდავი-
ბეჭედი, მდიდრული სარტყელი და შეიარაღება. ხსენებული
ნივთები დოკუმენტურად დადასტურებულია საქართველოს
არქეოლოგიურ მასალაში; მაგ., მცხეთაში აღმოჩენილ დიდე-
ბულთა სამარხებში (იხ. მცხეთა, I).

იბერიის სამეფოს ერთ-ერთ ტერიტორიულ-ადმინისტრა-
ციულ ერთეულში, კერძოდ „კასპში“ შედიოდა უფლისციხეც.

უფლისციხის გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მონაცემები მნიშვნელოვანი წყაროა იბერია-კოლხეთის დროინდელი საქართველოს სამხედრო საქმის შესასწავლად. უფლისციხე შიდა ქართლში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, კვერნაქის ქედის კიდეზე მდებარეობს. ეს კლდოვანი მასივი, რომელშიც ქვაბულებია, სამკუთხა მოყვანილობისაა. უფლისციხე, საისტორიო წყაროების მიხედვით, ქალაქ კასპს ექვემდებარებოდა: „უფლისციხე კასპისა“ (იხ. დ. ქ. ა.ლ.დ.,: 81). სავარაუდოდ, უფლისციხე ის სიმაგრეა, რომელიც იცავს კასპს. I საუკუნეში მეფე არსუკი უფლისციხეში შესულა: მან „კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“ (დ.ქ.ა.ლ.დ.,: 82). „არსუკმა ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა“ (ქ.ც.,I: 33), რაც არქეოლოგიურადაც დასტურდება.

